სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი



ათინათი

დონე A1

ათინათი

დონე A1

2026

პროექტის ხელმძღვანელი
ნინო ბერიკაშვილი

მეთოდური ხელმძღვანელი
ნინო შარაშენიძე

რედაქტორი
მაია მღებრიშვილი

ილუსტრატორი და დიზაინერი
მარიამ ელიზბარაშვილი

ავტორები:

ნინო შარაშენიძე
მიორგი ნადირაშვილი
მიორგი ჭაუჭიძე
იზა მვირჯიშვილი
მაია მელაშვილი
თეიმურაზ შალამბერიძე
ნონა არევაძე-კოტორაშვილი

წინასიტყვაობა

ქართული ენის ოთხდონიანი სახელმძღვანელოსთვის (საანბანე, A1, A2, B1)

ენის შესწავლა მხოლოდ ახალი სიტყვებისა და გრამატიკული წესების ათვისება არ არის — ეს არის მოგზაურობა ახალ კულტურაში. სწორედ ამ იდეას ეფუძნება ქართული ენის შესასწავლი ოთხდონიანი სახელმძღვანელო „ათინათი“ (საანბანე, A1, A2, B1), რომელიც ქართული ენის შემსწავლელთათვის სწავლების თანამედროვე, კომუნიკაციური და პრაქტიკული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით შეიქმნა.

წინამდებარე სასწავლო კომპლექტი (სახელმძღვანელო და სამუშაო რვეული) მიზნად ისახავს ენის ათვისების პროცესი გახადოს მაქსიმალურად ინტერაქტიული, თანმიმდევრული და რეალურ ცხოვრებასთან დაახლოებული, რათა შემსწავლელებს გაუადვილდეთ ყოველდღიური კომუნიკაცია და ადგილობრივ სოციოკულტურულ გარემოში ინტეგრაცია.

სახელმძღვანელოში თითოეული თემა კომპლექსურად არის სტრუქტურირებული და დამუშავებული სპეციალური რუბრიკების მეშვეობით. ეს რუბრიკები ფარავს ენობრივი კომპეტენციის ყველა ძირითად მიმართულებას - მოსმენას, კითხვას, ლაპარაკსა და წერას, აგრეთვე ლექსიკასა და გრამატიკას. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს მასალის მრავალმხრივ გააზრებას: ენის შემსწავლელები ჯერ ეცნობიან თემატურ ლექსიკასა და ტექსტებს, შემდეგ კი სხვადასხვა რუბრიკის დახმარებით მიღებულ ცოდნას პრაქტიკულ, საკომუნიკაციო სიტუაციებში იყენებენ.

ვიმედოვნებთ, რომ ეს სახელმძღვანელო საიმედო გზამკვლევი გახდება როგორც მასწავლებლებისთვის, ისე მოსწავლეებისა და ყველა იმ დაინტერესებული პირისთვის, რომლებიც ქართული ენისა და კულტურის შესასწავლად პირველ ნაბიჯებს დგამენ.

გისურვებთ ნაყოფიერ და საინტერესო სასწავლო პროცესს!

სარჩევი

თემა 1. მე და ჩემი ოჯახი 6

თემა 2. ჩვენი სახლი 18

თემა 3. ჩემი დღეა 35

თემა 4. როგორია ჩემი მეგობარი? 59

თემა 5. საიდან ხართ? 72

თემა 6. როგორი ამინდია? 93

თემა 7. შინაური ცხოველები 104

თემა 8. ზოოპარკი 127

თემა 9. სუპერმარკეტში 139

თემა 10. საყიდლებზე, ტანსაცმლის მაღაზიაში 159

თემა 11. პროფესიები 177

თემა 12. საქართველო 193

ლექსიკა: დედა, მამა, ბებია, ბაბუა, და, ძმა, უფროსი, უმცროსი.

გრამატიკული საკითხი: პირის ნაცვალსახელები, კუთვნილებითი ნაცვალსახელები, არის > ა.

ზმნები: არის, მყავს.

თემის გახსნისთვის

1. დააკვირდით სურათს და წაიკითხეთ სიტყვები:



2. ჩაწერეთ შესაბამისი ასოები ისე, რომ მიიღოთ ოჯახის წევრების დასახელებები:

_ ე _ ა	_ ა _ ა	_ მ ა	_ ე _ ი ა
დ თ ტ	ბ ფ პ	ძ ც წ	ბ ფ პ

3. გაანაწილეთ მოცემული სიტყვები შესაბამის სვეტებში:

დედა / ძმა / ცოლი / ბებია / შვილი / პაპა / და / მამა / ქმარი / შვილიშვილი

		
დედა...		

ლექსიკა

4. გახაზეთ ნახატის შესაბამისი სიტყვა:



და / დედა / ბებია



ძმა / მამა / პაპა



დედა / პაპა / ბებია

5. დააკავშირეთ ნიმუშის მიხედვით:

დედა	პაპა
ცოლი	ძმა
ბებია	მამა
და	ქმარი

6. დააკვირდით ფოტოებს და წაიკითხეთ ახალი სიტყვები:



უფროსი ძმა





უმცროსი ძმა

7. ჩასვით მოცემული სიტყვები: უფროსი/უმცროსი



1. ეს არის ..... ძმა.

2. ეს არის ..... ძმა.



1. ეს არის ..... ძმა.

2. ეს არის ..... და.



1. ეს არის ..... და.

2. ეს არის ..... ძმა.

8. დააკვირდით სურათებს და ჩაწერეთ შესაბამისი სიტყვები:

პაპა, ბებია, მამა, გვანცა, ძმა



9. წაიკითხეთ მოცემული ინფორმაცია, დააკვირდით სქემებს და ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:



მე მყავს ძმა, დემეტრე.

დემეტრე არის ჩემი ძმა.

მე მყავს მამა, გიორგი.

გიორგი არის მამაჩემი.

ჩემი
შენი
მისი

ჩვენი
თქვენი
მათი





დედაჩემი, მამაშენი, დედამისი ...

მამაჩემი, მამაშენი, მამამისი ...

ბებიაჩემი, ბებიაშენი, ბებიამისი ...

ბაბუაჩემი, ბაბუაშენი, ბაბუამისი ...

ჩემი და, შენი და, მისი და ....

ჩემი ძმა, შენი ძმა, მისი ძმა ...

ბებიაჩემი / ძმა / დედაჩემი / მამაჩემი / ბაბუაჩემი

მე ვარ თამთა. გიორგი არის ..... . გვანცა არის ..... .

ისინი ჩემი მშობლები არიან. ქეთევანი არის ..... . ვახტანგი არის

..... . დემეტრე არის ჩემი ..... .

მშობლები = დედა და მამა

10. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს:

გამარჯობა, მე ვარ გიორგი. ეს არის ჩემი ოჯახი. გვანცა ჩემი ცოლია. დემეტრე და თამთა ჩვენი შვილები არიან.

ვახტანგი და ქეთევანი ჩემი მშობლები არიან. ვახტანგი არის მამაჩემი და დემეტრესა და თამთას ბაბუა. ქეთევანი დედაჩემია და დემეტრესა და თამთას ბებია.

დემეტრე და თამთა ვახტანგისა და ქეთევანის შვილიშვილები არიან.

ნიმუში: ვინ არის გიორგის ცოლი? გიორგის ცოლი არის გვანცა.

1. ვინ არის ვახტანგისა და ქეთევანის შვილი? ..... .

2. ვინ არის დემეტრესა და თამთას პაპა? ..... .

3. ვინ არის გიორგის დედა? ..... .

4. ვინ არის დემეტრესა და თამთას დედა? ..... .

5. ვინ არიან ვახტანგისა და ქეთევანის შვილიშვილები? ..... .

11. თავიდან წაიკითხეთ ტექსტი და მონიშნეთ, სწორია (+) თუ არასწორი (-) ინფორმაცია:

#	ინფორმაცია	სწორია	არასწორია
1	გიორგის ცოლი არის ნათია.		
2	დემეტრე და თამთა ქეთევანისა და ვახტანგის შვილიშვილები არიან.		
3	გიორგის დედა არის ციალა.		
4	გვანცას შვილები არიან დამიანე და თეკლე.		
5	თამთას ძმა არის დემეტრე.		

გრამატიკა



შვილიშვილი



შვილიშვილ-ებ-ი

12. დააკვირდით ილუსტრაციას და გაანაწილეთ სიტყვები ცხრილში:

დები / პაპა / შვილები / ძმა / პაპები / დედა / მამები / ბაბუები / და / მამა / დედები / ბაბუა / ძმები / შვილი

	
შვილი	შვილები

13. დააკვირდით ფოტოებს, ჩაწერეთ სურათის შესაბამისი სიტყვა:



დ<u>ებ</u>ი



.....



.....



.....



.....

შვილ-ი - შვილ-ებ-ი	დედა - დედა-ებ-ი
ცოლ-ი - ცოლ-ებ-ი	მამა - მამა-ებ-ი
ქმარ-ი - ქმარ-ებ-ი	და - და-ებ-ი

14. ა) დააკვირდით სქემას და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

მე ვარ	ჩვენ ვართ
შენ ხარ	თქვენ ხართ
ის არის	ისინი არიან
ეს არის	ესენი არიან



..... არის ჩემი და.



..... არიან ჩემი დები.



..... არის ჩემი ძმა.



..... არიან ჩემი ძმები.

ბ) ჩასვით ზმნის სწორი ფორმები:

1. მე ..... გვანცას შვილი.
2. ის ..... ვახტანგის შვილიშვილი.
3. შენ ..... დათოს დედა.
4. ჩვენ ..... ქეთევანის შვილიშვილები.
5. ისინი ..... ნუნუს შვილები.
6. თქვენ ..... ერეკლეს ძმები.
7. ეს ..... მარიამის მამა.
8. შენ ..... გიორგის შვილი.

გ) დააკვირდით სქემას და ხაზგასმული სიტყვები გაანაწილეთ დაბოლოების მიხედვით:

მერაბ-ის	ანა-ს
თინათინ-ის	ელენე-ს
თამარ-ის	ირაკლი-ს
დავით-ის	ტატო-ს
თამაზ-ის	ნუნუ-ს

-ს	გვანცა-ს,
-ის	ვახტანგ-ის,

15. დააკვირდით სქემას და ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

- გამარჯობა. მე ვარ ელენე. ვინ გყავს ოჯახში?

- მე ..... დედა, ბაბუა და ძმა.

- მამა არ გყავს?

- არა, მამა არ ..... . შენ ვინ ..... ?

- მე ..... დედა, მამა, და და შვილი.

- ეს ვინ არის?

- ეს არის ნინო.

- ვინ ..... ნინოს?

- ნინოს ..... დედა, მამა, უმცროსი ძმა და ბებია. ბაბუა არ ..... .

16. შეცვალეთ ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: მე მყავს და. *ის არის ჩემი და.*
მას ჰყავს მამა. *ის არის მამამისი.*

1. თქვენ გყავთ შვილი.

ის არის ..... შვილი.

2. მას ჰყავს დედა.

ის არის ..... .

3. მათ ჰყავთ შვილიშვილი.

ის არის ..... შვილიშვილი.

4. მე მყავს პაპა.

ის არის ..... .

5. ჩვენ გვყავს მშობლები.

ისინი არიან ..... მშობლები.

6. შენ გყავს ბებია.

ის არის ..... .

17. შეცვალეთ წინადადება ნიმუშის მიხედვით:

არის ➞ ~~არის~~ ➞ ა

ეს არის დედა. = ეს დედაა. ~~ეს არის დედაა.~~

ნიმუში: ის არის მამაჩემი ➞ ის მამაჩემია.

1. ეს არის მათი შვილიშვილი ➞ .....

2. ეს არის უმცროსი და ➞ .....

3. ის არის პაპა ➞ .....

4.ის არის უფროსი ძმა ➞ .....

ლაპარაკი

18. გადაიღეთ ვიდეო თქვენი ოჯახის შესახებ და წარადგინეთ:

გამოიყენეთ ფრაზები: მე მყავს ... ის არის... დედა, მამა, ძმა, და, ბებია, პაპა, უფროსი, უმცროსი...

წერა

19. დააკვირდით ფოტოს და ნიმუშის მიხედვით შეადგინეთ წინადადებები. გამოიყენეთ: ჰყავს, ჰყავთ, დედა, მამა, ცოლი, ბებია, და, ძმა.



1. ზაზას ჰყავს ცოლი.

2. .....

3. .....

4. .....

5. .....

6. .....

7. .....

8. .....

20. დაწერეთ ტექსტი თქვენი ოჯახის შესახებ:

.....

.....

.....

.....

.....

.....

02 ჩვენი სახლი

ლექსიკა: ფერები; რიცხვები; ოთახები, ავეჯი, ჭურჭელი, მარჯვნივ, მარცხნივ...

გრამატიკული საკითხი: -ზე და -ში თანდებულები, -იან სუფიქსის წარმოება;

ზმნა: აქვს.

თემის გახსნისთვის

1. დააკვირდით სურათს და წაიკითხეთ სიტყვები:



2. კვლავ წაიკითხეთ პირველი დავალების სიტყვები და შეადგინეთ წინადადებები, გამოიყენეთ: ეს არის...



ეს არის ავტოფარეხი.



1. .....



2. .....



3. .....



4. .....



5. .....



6. .....



7. .....

ლექსიკა

3. დააკვირდით სურათს და წაიკითხეთ სიტყვები:



4. წაიკითხეთ სიტყვები და გაანაწილეთ ოთახების მიხედვით:



ჯამი



ტაფა



სკამი



თეფში



ფარდა



აბაზანა



საწოლი



უნიტაზი



საათი



პირსაბანი



დანა



ტელევიზორი



ჭურჭლის კარადა



ტახტი



ქვაბი



სარკე



ჩანგალი



თარო



მაცივარი



ჭიქა



გაზქურა



სავარძელი



ტანსაცმლის კარადა



მაგიდა



კოვზი



სარეცხის მანქანა



სანათი

			

5. წაიკითხეთ ფერები და გაიმეორეთ:

წითელი	ნაცრისფერი	ლურჯი	სტაფილოსფერი
იასამნისფერი	ყვითელი	ვარდისფერი	თეთრი

			
ყავისფერი	შავი	მწვანე	ცისფერი

6. კიდევ წაიკითხეთ ფერები და დააკავშირეთ ერთმანეთთან:

ყვითელი	
შავი	
წითელი	
მწვანე	
თეთრი	
ლურჯი	

7. დააკვირდით სქემას და ფოტოების მიხედვით ჩაწერეთ ფერების დასახელებები:

ვარდი - ვარდ + ის + ფერი = ვარდისფერი

ნაცარი + ნაცრ + ის + ფერი = ნაცრისფერი

იასამანი - იასამნ + ის + ფერი = იასამნისფერი

ცა - ც + ის + ფერი = ცისფერი

ყავა - ყავ + ის + ფერი = ყავისფერი

სტაფილო - სტაფილო + ს + ფერი = სტაფილოსფერი



ნაცრისფერი



.....



.....



.....



.....



.....

8. დააკვირდით მე-4 სავარჯიშოს ფოტოებს და ჩაწერეთ, რა ფერია ოთახები:

1. სამზარეულო არის ვარდისფერი.

2. კაბინეტი არის .....

3. საძინებელი არის .....

4. სააბაზანო არის .....

9. წაიკითხეთ და გაიმეორეთ:

0 ნული	1 ერთი	2 ორი	3 სამი	4 ოთხი
5 ხუთი	6 ექვსი	7 შვიდი	8 რვა	9 ცხრა
10 ათი				

10. კიდევ ერთხელ დააკვირდით წინა დავალებას. ჩაწერეთ ციფრები სიტყვიერად ნიმუშის მიხედვით:



11. დაასახელეთ ციფრები სიტყვიერად:

8 5 3 1 7 2 9 0 4 6

12. დააკვირდით ფოტოს და შეასრულეთ დავალებები:



ა) მონიშნეთ, რა ფერის სახლებია ფოტოზე:

სტაფილოსფერი ☐ ლურჯი ☐ მწვანე ☐ ყვითელი ☐

ყავისფერი ☐ წითელი ☐ შავი ☐

ბ) შეავსეთ ცხრილი ნიმუშის მიხედვით:

	#	ფერი
სახურავი	ოთხი	წითელი
კარი		
აივანი		
ფანჯარა		

13. წაიკითხეთ ტექსტი და შეასრულეთ დავალებები:



მე ვარ დემეტრე. ეს არის ჩემი სახლი. ჩემი სახლი ორსართულიანია.

პირველ სართულზე არის დიდი სამზარეულო და სასტუმრო ოთახი. სამზარეულო ვარდისფერია. აქ არის მაცივარი, გაზქურა, ჭურჭლის კარადა, მაგიდა და სკამები. სამზარეულოს მარცხნივ არის სასტუმრო ოთახი.

სასტუმრო ოთახში არის ერთი ტახტი, ერთი სავარძელი და წიგნების თარო.

მეორე სართულზე არის სამი ოთახი: ორი საძინებელი და სააბაზანო. პატარა საძინებელი ჩემია. ოთახში მაქვს ყავისფერი საწოლი, მაგიდა და ყვითელი სკამი.

დიდი საძინებელი ჩემი მშობლებისაა. აქ დგას საწოლი, ტანსაცმლის კარადა, სარკე და ლურჯი სავარძელი.

პირველი სართული - პირველ სართულ-ზე

მეორე სართული - მეორე სართულ-ზე

ჭურჭელი - ჭურჭლის კარადა - ჭურჭლის კარადა

ტანსაცმელი - ტანსაცმლის კარადა - ტანსაცმლის კარადა

ა) ტექსტის მიხედვით შემოხაზეთ სწორი წინადადებები:

1. დემეტრეს სახლი სამსართულიანია.

2. დიდი საძინებელი დემეტრეს მშობლებისაა.

3. სასტუმრო ოთახში არის შავი ტახტი და სავარძელი.

4. პირველ სართულზე არის სააბაზანო და საძინებელი.

5. დემეტრეს ოთახი პატარაა.

6. სამზარეულოში ლურჯი ფარდაა.

ბ) გაასწორეთ არასწორი წინადადებები და დაწერეთ:

.....

.....

.....

.....

.....

გ) კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი, ჩაწერეთ შესაბამისი სიტყვები:

ერთსართულიანი / ორსართულიანი

1. დემეტრეს სახლი არის .....

სამზარეულო / სააბაზანო

2. პირველ სართულზე არის სასტუმრო ოთახი და .....

ნაცრისფერი /ვარდისფერი

3. სამზარეულო არის .....

სარკე / სკამი

4. დემეტრეს აქვს საწოლი, მაგიდა და ყვითელი .....

სააბაზანო / საძინებელი

5. მშობლებს აქვთ დიდი .....

გრამატიკა

14. დააკვირდით ზმნის ფორმებს და ჩასვით საჭირო სიტყვა:

მე მაქვს	ჩვენ გვაქვს
შენ გაქვს	თქვენ გაქვთ
მას აქვს	მათ აქვთ

1. საძინებელში მე ..... ლურჯი კარადა.

2. თქვენ ..... ყავისფერი სამზარეულო.

3. მას ..... წითელი სავარძელი.

4. სამზარეულოში მათ ..... შავი მაგიდა.

5. სააბაზანოში შენ ..... დიდი სარკე.

6. ჩვენ ..... პატარა სახლი.

15. ჩასვით სიტყვა სწორი ფორმით ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: გიორგი/გიორგის გიორგი არის სააბაზანოში.

1. მარიამი/მარიამს ..... აქვს ორი საძინებელი პირველ სართულზე.

2. დედაჩემი/დედაჩემს ..... აქვს ყვითელი ფარდები სასტუმრო ოთახში.

3. მამაჩემი/მამაჩემს ..... არის აივანზე.

4. ნანა/ნანას ..... აქვს თეთრი სამზარეულო.

5. ჩემი და/ჩემს დას ..... ეზოშია.

16. დააკვირდით ფოტოებს და წაიკითხეთ:


მარჯვნივ


მარცხნივ


უკან


წინ


-ში


-ზე

17. დაწერეთ ნიმუშის მიხედვით:

1. ხე არის სახლ-ის მარჯვნივ.

2. .....

3. .....

4. .....

18. დააკვირდით ფოტოებს და შემოხაზეთ სწორი წინადადება:



ა) თეფშები არის კარადაზე
ბ) თეფშები არის კარადაში.



ა) ჭიქა არის მაგიდაზე.
ბ) ჭიქა არის მაგიდაში.



ა) სარკე არის კარადის მარცხნივ.
ბ) სარკე არის კარადის მარჯვნივ.

19. დააკვირდით ფოტოს და შეასრულეთ დავალებები:



ა) ჩაწერეთ სწორი დაბოლოება:

-ზე / - ში

1. ტახტი, მაგიდა და კარადები დგას ოთახ..... .
2. ჭიქა არის მაგიდა..... .
3. თეფშები არის კარადა..... .
4. საათი არის კედელ..... .
5. ქვაბი და ტაფა დგას გაზქურა..... .
6. წიგნები არის თარო..... .

ბ) გაანაწილეთ ხაზგასმული სიტყვები დაბოლოების მიხედვით:

-ზე	-ში

გ) ჩაწერეთ შესაბამისი სიტყვა:

მარჯვნივ წინ მარცხნივ უკან

1. პატარა მაგიდა დგას ტახტის ..... .
2. გაზქურა დგას კარადის ..... .
3. თარო არის ტახტის ..... .
4. საათი არის ფანჯრის ..... .
5. ქვაბი დგას ტაფის ..... .

20. დააკვირდით ფოტოებს, წაიკითხეთ წინადადებები და გამუქებული სიტყვები ჩასვით შესაბამის ადგილზე:



საწოლი არის
ერთადგილიანი



სახლი არის
ოთხსართულიანი



კარადა არის
სამთაროიანი



სახლი არის
ხუთოთახიანი



ტახტი არის
ორადგილიანი

1. საწოლზე არის ერთი ადგილი. საწოლი არის ..... .
2. სახლს აქვს ოთხი სართული. სახლი არის ..... .
3. ტახტზე არის ორი ადგილი. ტახტი არის ..... .
4. კარადას აქვს სამი თარო. კარადა არის ..... .
5. სახლს აქვს ხუთი ოთახი. სახლი არის ..... .

21. დაწერეთ ნიმუშის მიხედვით:

1. დიდი ეზო ➜ დიდეზოიანი
2. ექვსი ოთახი ➜ ..... .
3. დიდი აივანი ➜ ..... .
4. ათი სართული ➜ ..... .
5. ცხრა თარო ➜ ..... .
6. ოთხი ადგილი ➜ ..... .

22. გაასწორეთ შეცდომები:

1. სახლს არის დიდეზოიანი.
2. სავარძელს აქვს ერთადგილიანი. .....
3. კარადა არის ოთხი თარო. .....

4. სახლს აქვს ცხრასართულიანი. .....

5. ტახტი არის სამი ადგილი. .....

ლაპარაკი

23. უპასუხეთ შეკითხვებს და ისაუბრეთ თქვენი სახლის შესახებ: რამდენსართულიანია? რამდენი ოთახია? რა დგას? რა ფერია? სად დგას?

გამოიყენეთ:

- ჩემი სახლი არის ..... .
- ის არის ..... ოთახიანი.
- სასტუმრო ოთახში / საძინებელში / სამზარეულოში / სააბაზანოში / კაბინეტში დგას ..... .
- ..... დგას ..... ის/-ს წინ/უკან/მარჯვნივ/მარცხნივ...
- პირველ/მეორე/მესამე სართულზე არის .....

წერა

24. მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

1. სართული / სახლი / არის / ორი

.....

2. პირველი სართული / სამი / არის / ოთახი

.....

3. ტახტი / სავარძელი / დგას / სასტუმრო ოთახი / მაგიდა

.....

4. არის / თარო / წიგნები

.....

5. გაზქურა / არის / სამზარეულო / მაცივარი / ჭურჭლის კარადა

.....

6. აქვს / სახლი / დიდი ეზო / აივანი

.....

7. დიდი მაგიდა / ტახტი / დგას / წინ

.....

8. მარჯვნივ / საწოლი/ არის / ტანსაცმლის კარადა

.....

25. დააკვირდით ფოტოს და დაწერეთ ტექსტი ამ სახლის შესახებ:



.....

.....

.....

.....

03

ჩემი დღე

ლექსიკა: რიცხვები 1-დან 100-მდე, საათი, დღის აქტივობები.

გრამატიკული საკითხი: კომპოზიტები.

ზმნები: იღვიძებს, იბანს, იხეხავს, საუზმობს, მიდის, მოდის, დადის, სადილობს, უყურებს, ვახშმობს, იძინებს.

თემის გახსნისთვის

1. დააკვირდით ილუსტრაციებს და ისაუბრეთ ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: რომელი საათია? ახლა რვა საათია.

08:00



რვა საათია

7:30



რვის ნახევარია

13:00



პირველი საათია

15:00



სამი საათია

19:00



შვიდი საათია

07:00



23:00



14:00



07:30



08:30



შვიდი საათია	თერთმეტი საათია	ორი საათია	რვის ნახევარია	ცხრის ნახევარია

2. ჩაწერეთ, რომელ საათზე რას აკეთებს ლიკა:

#	მოქმედება	საათი
1	 ლიკა იღვიძებს	*ნიმუში: ლიკა იღვიძებს შვიდ საათზე.*
2	 ლიკა ხელ-პირს იბანს	.....
3	 ლიკა კბილებს იხეხავს	.....
	 ლიკა საუზმობს	.....



ლიკა უნივერსიტეტში მიდის

.....



ლიკა სახლში მოდის

.....



ლიკა სადილობს

.....



ლიკა ტელევიზორს უყურებს

.....



ლიკა ვახშმობს

.....



ლიკა იძინებს

.....

3. ილუსტრაციის ქვეშ დაწერეთ შესაბამისი საქმიანობა:

ლიკა იღვიძებს, ლიკა ხელ-პირს იბანს, ლიკა კბილებს იხეხავს, ლიკა საუზმობს, ლიკა უნივერისტეტში მიდის, ლიკა სახლში მოდის, ლიკა სადილობს, ლიკა ტელევიზორს უყურებს, ლიკა ვახშმობს, ლიკა იძინებს.






....





....





....

4. დააკვირდით სქემას და შეავსეთ ცხრილი:

დილა (00:06 – 12:00)	შუადღე (12:00 –17:00)	საღამო (17:00 – 21:00)
დილას	შუადღისას	საღამოს
დილის შვიდ საათზე	შუადღის ორ საათზე	საღამოს რვა საათზე

08:00	**დილა / დილას**	**დილის რვა საათზე**
10:00		
13:00		
15:00		
18:00		
21:00		

5. შეარჩიეთ შესაბამისი ზმნა და ჩასვით წინადადებაში:

ა) დილის შვიდ საათზე ლიკა ..... . (იძინებს / იღვიძებს)

ბ) დილის რვის ნახევარზე ლიკა ..... .
(ხელ-პირს იბანს / ტელევიზორს უყურებს)

გ) დილის რვის ნახევარზე ლიკა ..... .
(კბილებს იხეხავს / უნივერისტეტში მიდის)

დ) დილის რვა საათზე ლიკა ..... . (საუზმობს/ვახშმობს)

ე) დილის ცხრის ნახევარზე ლიკა ..... .
(უნივერსიტეტში მიდის/ სახლში მოდის)

ვ) პირველ საათზე ლიკა ..... . (სახლში მოდის / ვახშმობს)

ზ) ორ საათზე ლიკა ..... .(სადილობს / საუზმობს)

თ) სამ საათზე ლიკა ..... .
(კბილებს იხეხავს / ტელევიზორს უყურებს)

ი) შვიდ საათზე ლიკა ..... .(ვახშმობს / სადილობს)

კ) თერთმეტ საათზე ლიკა ..... . (იღვიძებს / იძინებს)

6. შეავსეთ წინადადებები წინა დავალებების მიხედვით:

ნიმუში: დილის შვიდ საათზე ლიკა იღვიძებს.

ა) ..... ლიკა ხელ-პირს იბანს.

ბ) ..... ლიკა კბილებს იხეხავს.

გ) ..... ლიკა საუზმობს.

დ) ..... ლიკა უნივერსიტეტში მიდის.

ე) ..... ლიკა სახლში მოდის.

ვ) ..... ლიკა სადილობს.

ზ) ..... ლიკა ტელევიზორს უყურებს.

თ) ..... ლიკა ვახშმობს.

ი) ..... ლიკა იძინებს.

7. დააკვირდით ცხრილს და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1	ერთი	11	თერთმეტი < **(ა)თ-ერთ-მეტი**
2	ორი	12	თორმეტი < (ა)თ+ორ+მეტი
3	სამი	13	ცამეტი < (ა) ცა+მეტი < (ა) თ+სამ+მეტი
4	ოთხი	14	თოთხმეტი < (ა) თ+ოთხ+მეტი
5	ხუთი	15	თხუთმეტი < (ა)თ+ხუთ+მეტი
6	ექვსი	16	თექვსმეტი < (ა)თ+ექვს+მეტი
7	შვიდი	17	ჩვიდმეტი < (ა)თ+შვიდ+მეტი
8	რვა	18	თვრამეტი < (ა)თ+რვა+მეტი
9	ცხრა	19	ცხრამეტი <(ათ)+ცხრა+მეტი
10	ათი	20	ოცი
21	ოცი და ერთი		> ოცდაერთი
22	ოცი და ორი		> ოცდაორი
23	ოცი და სამი		> ოცდასამი

24	ოცი და ოთხი	> ოცდაოთხი
25	ოცი და ხუთი	> ოცდახუთი
26	ოცი და ექვსი	> ოცდაექვსი
27	ოცი და შვიდი	> ოცდაშვიდი
28	ოცი და რვა	> ოცდარვა
29	ოცი და ცხრა	> ოცდაცხრა
30	ოცი და ათი	> ოცდაათი

8. ცხრილის დახმარებით ზეპირად დაასახელეთ ქვემოთ მოცემული რიცხვები და ტელეფონის ნომრები:

8, 13, 6, 27, 18, 28, 24, 4, 23, 16, 30, 21, 5, 17, 25, 12...

5 24 19 21, 3 13 30 29, 8 27 18 09, 599 12 15 30

9. დაალაგეთ ქვემოთ არეული თანმიმდევრობით მოცემული რიცხვები, მიუწერეთ შესაბამისი ციფრები და დაასახელეთ:

თერთმეტი, ოცდაშვიდი, რვა, თვრამეტი, სამი, თოთხმეტი, ოცდაათი, ცამეტი, ოცი, თორმეტი, ოცდაორი.

სამი, ...

.....

.....

10. შეავსეთ გამოტოვებული რიცხვითი სახელები და წაიკითხეთ:

6 - ექვსი	7-შვიდი			10 - ათი
11-თერთმეტი				15-თხუთმეტი
		18-თვრამეტი		

11. დააკვირდით ცხრილებს და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

21=20+1	ოც(ი)	და	ერთი	> ოცდაერთი
22=20+2	ოც(ი)	და	ორი	> ოცდაორი
30=30+10	ოც(ი)	და	ათი	> ოცდაათი
40=2X20	ორი ოცი			> ორმოცი
41=40+1	ორმოც(ი)	და	ერთი	> ორმოცდაერთი
41=40+2	ორმოც(ი)	და	ორი	> ორმოცდაორი
50=40+10	ორმოც(ი)	და	ათი	> ორმოცდაათი
51=40+11	ორმოცი	და	თერთმეტი	> ორმოცდათერთმეტი
60=3X20	სამ(ი)ოცი			> სამოცი

31	ოცდათერთმეტი	41	ორმოცდაერთი	51	ორმოცდათერთმეტი
32	ოცდათორმეტი	42	ორმოცდაორი	52	ორმოცდათორმეტი
33	ოცდაცამეტი	43	ორმოცდასამი	53	ორმოცდაცამეტი
34	ოცდათოთხმეტი	44	ორმოცდაოთხი	54	ორმოცდათოთხმეტი
35	ოცდათხუტმეტი	45	ორმოცდახუთი	55	ორმოცდათხუთმეტი
36	ოცდათექვსმეტი	46	ორმოცდაექვსი	56	ორმოცდათექვსმეტი
37	ოცდაჩვიდმეტი	47	ორმოცდაშვიდი	57	ორმოცდაჩვიდმეტი
38	ოცდათვრამეტი	48	ორმოცდარვა	58	ორმოცდათვრამეტი
39	ოცდახცრამეტი	49	ორმოცდაცხრა	59	ორმოცდაცხრამეტი
40	ორმოცი	50	ორმოცდაათი	60	სამოცი

12. ზემოთ მოცემული ცხრილის გამოყენებით დათვალეთ ხმამაღლა ქვემოთ მოცემული რიცხვები და წაიკითხეთ ტელეფონის ნომრები:

20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33.

2 34 54 42, 2 37 41 31, 577 42 55 50, 532 43 58 32.

13. გამოიყენეთ წინა დავალების ცხრილი და შეავსეთ გამოტოვებული რიცხვები და წაიკითხეთ ხმამაღლა:

43 - ორმოცდასამი				47 - ორმოცდა-შვიდი
			51 - ორმოცდათე-რთმეტი	
		55-ორმოცდა-თხუთმეტი		

14. დააკვირდით ცხრილებს და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

61=3X20+1	სამ(ი)ოც(ი)	და	ერთი	> სამოცდაერთი
62=20+2	სამ(ი) ოც(ი)	და	ორი	> სამოცდაორი
70=3X20+10	სამ(ი) ოც(ი)	და	ათი	> სამოცდაათი
71=3X20+11	სამ(ი) ოც(ი)	და	თერთმეტი	> სამოცდათერთმეტი
80=4X20	ოთხ(ი) ოცი			> ოთხმოცი
81=40+1	ოთხმოც(ი)	და	ერთი	> ოთხმოცდაერთი
90=4X20+10	ოთხმოც(ი)	და	ათი	> ოთხმოცდაათი
91=4X20+11	ოთხმოც(ი)	და	(ა)თერთმეტი	> ოთხმოცდათერთმეტი
92=4X20+12	ოთხმოც(ი)	და	(ა)თორმეტი	> ოთხმოცდათორმეტი
100	ასი			

15. ზემოთ მოცემული ცხრილის გამოყენებით წაიკითხეთ ხმამაღლა ქვემოთ მოცემული რიცხვები:

67, 68, 69, 79, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93

16. გამოიყენეთ წინა დავალების ცხრილი, შეავსეთ გამოტოვებული რიცხვები და წაიკითხეთ ხმამაღლა:

72 - სამოცდათო-რმეტი				76 - სამოცდათექ-ვსმეტი
		79 - სამოცდა-ცხრამეტი		
	84 - ოთხმოცდაო-თხი			

17. დააკავშირეთ ასაკის აღმნიშვნელი რიცხვი შესაბამის ფოტოსთან:



ორმოცდაათი წლის



სამი წლის



სამოცდათხუთმეტი წლის



თერთმეტი წლის



ოცდახუთი წლის

18. ჩასვით ასაკის აღმნიშვნელი სიტყვები წინადადების გამოტოვებულ ადგილებში:

ოცდახუთი, სამი, თერთმეტი,

ორმოცდახუთი, სამოცდახუთი

ა) ლიკა სტუდენტია და ის ..... წლისაა.

ბ) ლიკას ჰყავს უმცროსი და. ის ..... წლისაა და სკოლაში დადის.

გ) ლიკას პატარა ძმა ..... წლისაა.

დ) ლიკას მამა ..... წლისაა.

ე) ლიკას ბაბუა ..... წლისაა.

კითხვა

19. წაიკითხეთ ტექსტი:

ლიკა აბულაძე

ლიკა აბულაძე 25 წლისაა. ის დედ-მამასთან ცხოვრობს და უნივერსიტეტში სწავლობს. მას ჰყავს პატარა და-ძმა: სამი წლის დაჩი და 11 წლის მართა. ლიკას დედ-მამა არიან მარიკა და მერაბი. ისინი კაფეში მუშაობენ.

ლიკა დილით რვის ნახევარზე იღვიძებს, ხელ-პირს იბანს, კბილებს იხეხავს, საუზმობს. აბულაძეები დილით ერთად საუზმობენ. მათი საუზმე ტრადიციულია: ჩაი, ყავა, რძე, პური, კარაქი, ყველი, კვერცხი, მურაბა.

ცხრა საათზე ლიკა უნივერსიტეტში მიდის.

ლიკა პირველ საათზე სახლში მოდის, ორ საათზე სადილობს და სამ საათზე ტელევიზორს უყურებს.

ლიკა შვიდ საათზე ვახშმობს და თერთმეტ საათზე იძინებს.

20. უპასუხეთ შეკითხვებს:

ა) რომელ საათზე იღვიძებს ლიკა აბულაძე?

ბ) რამდენი წლის არიან დაჩი და მართა?

გ) რას აკეთებს ლიკა დილით?

დ) რომელ საათზე მიდის ლიკა უნივერსიტეტში?

ე) რომელ საათზე მოდის ლიკა სახლში? რომელ საათზე სადილობს?

ვ) რომელ საათზე ვახშმობს ლიკა? რომელ საათზე იძინებს?

21. მონიშნეთ სწორი და არასწორი წინადადებები:

#	წინადადება	სწორი	არასწორი
1	ლიკა აბულაძე 25 წლისაა.		
2	ლიკა აბულაძის ძმა 5 წლისაა.		
3	ლიკა აბულაძის მამა არის მერაბი.		
4	ლიკა დილით ცხრის ნახევარზე იღვიძებს.		
5	ლიკა ორ საათზე სადილობს და ხუთ საათზე ტელევიზორს უყურებს.		
6	ლიკა თორმეტ საათზე იძინებს.		

22. მოცემული სიტყვებიდან ჩასვით საჭირო ზმნის ფორმა წინადადებებში:

იღვიძებს - იღვიძებენ; იბანს - იბანენ; საუზმობს - საუზმობენ;

სადილობს - სადილობენ; ვახშმობს - ვახშმობენ;

ა) მერაბი და მარიკა დილით ერთად ..... .

ბ) აბულაძეების ოჯახში ყველაზე ადრე დაჩი ..... .

გ) ლიკა დილით ხელ-პირს ..... .

დ) აბულაძეები დილით ერთად ..... .

ე) ლიკა საღამოს შვიდ საათზე ოჯახში ..... .

ვ) მერაბი და მარიკა შვიდ საათზე ..... .

ზ) ლიკას მშობლები ორ საათზე კაფეში ..... .

23. დააკვირდით მოცემულ სიტყვებს და ჩასვით წინადადებებში:

დედა, მამა > დედ-მამა,
ცოლი, ქმარი > ცოლ-ქმარი,
და, ძმა > და-ძმა

ა) ლიკას პატარა ..... ჰყავს. და 11 წლისაა, ძმა — სამის.

ბ) ლიკას უმცროსი ..... სკოლაში სწავლობს.

გ) აბულაძეების ოჯახში ყველაზე ადრე პატარა ..... იღვიძებს.

დ) ლიკას ..... დილით სამსახურში მიდის.

ე) მერაბ აბულაძე არის დაჩის, მართასა და ლიკას ..... .

ვ) მერაბი არის მარიკას ..... . ხოლო მარიკა არის მერაბის

..... .

ზ) ..... ერთად სადილობს სამსახურში.

24. დააკავშირეთ ერთმანეთთან პირველი და მესამე პირების ზმნები:

მე ვიღვიძებ	ის იბანს
მე ვდგები	ის მიდის
მე ვიბან	ის მუშაობს
მე ვიხეხავ	ის სადილობს
მე ვსაუზმობ	ის ლაპარაკობს
მე მივდივარ	ის იღვიძებს
მე მოვდივარ	ის ვახშმობს
მე ვმუშაობ	ის საუზმობს
მე ვსწავლობ	ის სწავლობს
მე ვსადილობ	ის იძინებს
მე ვლაპარაკობ	ის იხეხავს
მე ვვახშმობ	ის მოდის
მე ვიძინებ	ის დგება

25. გამოიყენეთ წინა დავალების ცხრილი, შეარჩიეთ ზმნის შესაბამისი ფორმები და შეავსეთ წინადადებები:

ა) დილით ადრე ვდგები და ხელ-პირს ..... .

ბ) ლიკა დილით ოჯახში ..... .

გ) მერაბი კაფეში 9 საათზე ..... .

დ) მე უნივერსიტეტში ..... .

ე) ლიკა საღამოს ..... და ..... .

26. დააკავშირეთ საათის მაჩვენებელი შესაბამის ფრაზასთან:

1. ვიღვიძებ შვიდ საათზე.	08:30
2. ვიბან რვის ნახევარზე.	08:00
3. რვა საათზე ვსაუზმობ.	14:00
4. უნივერისტეტში მივდივარ ცხრის ნახევარზე.	13:00
5. პირველ საათზე სახლში მოვდივარ.	15:00
6. ორ საათზე ვსადილობ.	19:00
7. სამ საათზე ტელევიზორს ვუყურებ.	07:00
8. შვიდ საათზე ვვახშმობ.	23:00
9. თერთმეტ საათზე ვიძინებ.	07:30

27. დააკვირდით სქემას და შეავსეთ წინადადებები:

სად? ... ში		
სახლ-ში	კაფე-ში	უნივერსიტეტ-ში

ა) ლიკა დილით ..... საუზმობს.

ბ) მერაბი ..... მუშაობს.

გ) ლიკა ..... სწავლობს.

დ) ლიკა ..... მიდის.

ე) მერაბი დილით ..... მიდის.

ვ) ლიკა პირველ საათზე ..... მოდის.

28. წაიკითხეთ დიალოგი და უპასუხეთ შეკითხვებს:

— ლიკა, სად ხარ?

— სახლში ვარ, მერაბ. შენ სად ხარ?

— მე კაფეში ვარ. მე და დედა აქ ვსადილობთ. შენ სად სადილობ?

— მე სახლში ვსადილობ. მე და დაჩი ვსადილობთ. მერე ტელევიზორს ვუყურებთ.

— ძალიან კარგი! აბა, ნახვამდის!

— კარგად, მამა!

შეკითხვები:

1) ვინ საუბრობს?

ა) ლიკა და მარიკა; ბ) მარიკა და მანანა; გ) ლიკა და მერაბი; დ) მერაბი და მანანა.

2) სად არის ლიკა?

ა) უნივერსიტეტში; ბ) სახლში; გ) ეზოში; დ) სკოლაში.

3) რას აკეთებს ლიკა?

ა) ტელევიზორს უყურებს; ბ) წიგნს კითხულობს; გ) სადილობს; დ) ვახშმობს.

4) რას აკეთებს ლიკა სადილის შემდეგ?

ა) ვახშმობს; ბ) ტელევიზორს უყურებს; გ) საუზმობს; დ) ხელ-პირს იბანს.

29. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ დიალოგი და აღნიშნეთ, სწორია თუ არა მოცემული წინადადებები:

წინადადება	კი	არა
1. ლიკა არის სახლში, მერაბი — კაფეში.		
2. ლიკა ორ საათზე სადილობს და ახლა წიგნს კითხულობს.		
3. ლიკა სადილის შემდეგ ტელევიზორს უყურებს.		
4. მარიკა და მერაბი კაფეში სადილობენ.		

30. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

— ლიკა, სად ხარ?

— სახლში ვარ, მერაბ. შენ სად ხარ?

— მე კაფეში ვარ. მე და დედა აქ ..... (1). შენ სად სადილობ?

— მე სახლში ..... (2). მე და დაჩი ვსადილობთ. მერე ტელე-ვიზორს ..... (3).

— ძალიან კარგი! აბა, ... (4)!

— კარგად, მამა!

31. დაალაგეთ არეული დიალოგი და წაიკითხეთ მეწყვილესთან ერთად:

	— ახლა უნივერსიტეტში ვარ, ვსწავლობ. შენ სად ხარ?
2	— გამარჯობა, მარიკა! მადლობა, კარგად ვარ. შენ როგორ ხარ?
	— ნახვამდის, დედა!
	— მე კაფეში ვარ, ვმუშაობ. ამ საღამოს ერთად ხომ ვვახშმობთ?
1	— გამარჯობა, ლიკა! როგორ ხარ?
	— კარგი, ლიკა, აბა, კარგად!
	— კი, დედა, აუცილებლად... შვიდ საათზე სახლში ვარ.
	— მეც კარგად ვარ. ლიკა, სად ხარ ახლა?

32. ზეპირად უპასუხეთ შეკითხვებს ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში:
— რომელ საათზე იღვიძებ?
— შვიდ საათზე ვიღვიძებ.

ა) — რომელ საათზე იბან ხელ-პირს?

ბ) რომელ საათზე საუზმობ/სადილობ/ვახშმობ?

გ) რომელ საათზე უყურებ ტელევიზორს?

დ) რომელ საათზე იძინებ?

33. წინა დავალების შეკითხვები დაუსვით მეწყვილეს და მოუსმინეთ პასუხებს. შემდეგ თქვენ უპასუხეთ მეწყვილის ამავე შეკითხვებს:

34. მოცემული ჩარჩოს მიხედვით ისაუბრეთ თქვენი დღის რეჟიმის შესახებ — როდის რას აკეთებთ:

.....საათზე ვიღვიძებ და ხელ-პირს ვიბანი.

.....საათზე ვსაუზმობ.

.....საათზე სამსახურში (სკოლაში) მივდივარ.

.....საათზე ვსადილობ.

.....საათზე სახლში მოვდივარ.

.....საათზე ტელევიზორს ვუყურებ.

.....ვვახშმობ.

.....საათზე ვიძინებ.

35. დააკვირდით სქემას და ისაუბრეთ, რომელ საათზე რას აკეთებენ თქვენი ოჯახის წევრები:

რომელი საათია?	**რომელ საათზე?**
დილის შვიდი საათია.	***დილის შვიდ საათზე დედაჩემი იღვიძებს.***

დილის ცხრა საათია.	დილის ცხრა საათზე ....
შუადღის ორი საათია.	შუადღის ორ საათზე ....
შუადღის სამი საათია.	შუადღის სამ საათზე ....
საღამოს ექვსი საათია.	საღამოს ექვს საათზე ....
საღამოს რვა სააათია.	საღამოს რვა საათზე ....
ღამის თერთმეტი საათია.	ღამის თერთმეტ საათზე ....

წერა

36. აღწერეთ, რას აკეთებს ლიკა:

ლიკა შვიდ საათზე იღვიძებს. .....
.....
.....
.....

37. დააკვირდით ჩანაწერებს და გამოიცანით, რას საქმიანობს მისი ავტორი. რომელი მუშაობს კაფეში და რომელი არის სტუდენტი?

დილით შვიდ საათზე ვიღვიძებ და ვდგები. ხელ-პირს ვიბანი, ვსაუზმობ და უნივერსიტეტში მივდივარ. ორ საათზე სახლში მოვდივარ და ვსადილობ, ვისვენებ და ტელევიზორს ვუყურებ. საღამოს ვახშმის შემდეგ ისევ ტელევიზორს ვუყურებ და 11 საათზე ვიძინებ.	დილით შვიდ საათზე ვიღვიძებ და ვდგები. დილის ტუალეტის შემდეგ ვსაუზმობ და კაფეში მივდივარ. კაფეში ვსადილობ და შემდეგ, სამ საათზე, სახლში მოვდივარ. შვიდ საათზე ვვახშმობ და შემდეგ ტელევიზორს ვუყურებ. ღამის თორმეტ საათზე ვიძინებ.

38. უპასუხე კითხვებს:

- რომელ საათზე იღვიძებ?

.....

- რომელ საათზე საუზმობ?

.....

- სად მიდიხარ დილით?

.....

- რომელ საათზე სადილობ?

.....

- რას აკეთებ სადილის შემდეგ?

.....

- რომელ საათზე ვახშმობ?

.....

- რომელ საათზე იძინებ?

.....

39. წინა დავალების მიხედვით დაწერეთ ტექსტი „ჩემი ერთი დღე“:

.....

.....

.....

.....

.....

.....

40. დასვით შეკითხვები და აღწერეთ, როდის რას აკეთებს თქვენი მეგობარი:

ჩემი მეგობარი იღვიძებს... .....

.....

.....

.....

.....

.....

ლექსიკა: ნათესავები (ბიძა, ბიძაშვილი, დეიდა...), ფერები (ყავისფერი, წაბლისფერი, ნაცრისფერი...).

გრამატიკული საკითხი: ზედსართავები (მაღალი, მოკლე, სწორი...); მე - ჩემი; არის > ა.

ზმნები: მაქვს-გაქვს...

თემის გახსნისთვის

1. დააკვირდით სახეს და მონიშნეთ სწორი და არასწორი წინადადება ცხრილში:



#	წინადადება	დიახ	არა
1	ადამიანს აქვს ორი შუბლი.		
2	ადამიანს აქვს ერთი წარბი.		
3	ადამიანს აქვს ერთი ცხვირი.		
4	ადამიანს აქვს ორი ტუჩი.		
5	ადამიანს აქვს ერთი შუბლი.		
6	ადამიანს აქვს ორი ნიკაპი.		
7	ადამიანს აქვს ორი ყური.		
8	ადამიანს აქვს ერთი ყელი.		
9	ადამიანს აქვს ლოყები.		

2. დააკვირდით სქემას და ჩასვით წინადადებებში საჭირო სიტყვები:

გრძელი + თმა	> გრძელთმიანი
მოკლე + ხელები	> მოკლეხელებიანი
დიდი + ცხვირი	> დიდცხვირიანი

ა) ლიკას მეგობარს მოკლე თმა აქვს. ის არის ..... .

ბ) ჩემი მეგობარი არის ..... . მას მოკლე ცხვირი აქვს.

გ) ლიკას აქვს წითელი თმა. ის არის ..... .

დ) ლიკას დედა არის ..... . მას აქვს გრძელი თმა.

3. დააკვირდით ილუსტრაციებს და დააკავშირეთ. ჩაწერეთ შესაბამისი ციფრი:



1. შავგვრემანი ქალი



2. ქერა ქალი



3. წითური კაცი



4. წაბლისფერთმიანი კაცი



5. გრძელთმიანი ქალი



6. მოკლეთმიანი კაცი

ა	აქვს მოკლე წაბლისფერი თმა და თაფლისფერი თვალები, სწორი ცხვირი და თხელი ტუჩები.	დ	აქვს წითური თმები და ცისფერი თვალები, კეხიანი ცხვირი და სქელი ტუჩები.
ბ	აქვს გრძელი შავი თმები და შავი თვალები, სწორი ცხვირი და სქელი ტუჩები.	ე	აქვს გრძელი ქერა თმები და ცისფერი თვალები, სწორი ცხვირი და სქელი ტუჩები.
გ	აქვს გრძელი თმები და სქელი ტუჩები, პატარა ცხვირი და მუქი ყავისფერი კანი.	ვ	აქვს მოკლე შავი თმა და მოკლე ცხვირი. სქელი ტუჩები და ვიწრო თვალები.

ლექსიკა

4. დააკავშირეთ ერთმანეთთან:

1	თეთრი
2	შავი
3	წითელი
4	ყვითელი
5	მწვანე
6	ლურჯი
7	ყავისფერი
8	თაფლისფერი
9	ცისფერი
10	იისფერი
11	წაბლისფერი



5. დააკვირდით სქემას და დააკავშირეთ ერთმანეთთან:

გრძელი + თმა + იანი = გრძელთმიანი = ადამიანი, რომელსაც აქვს გრძელი თმა

სქელი + ცხვირი + იანი = სქელცხვირიანი = ადამიანი, რომელსაც აქვს სქელი ცხვირი

1	შავი თმა
2	წაბლისფერი თმა
3	ქერა თმა
4	წითური თმა
5	თხელი ტუჩები
6	სქელი ტუჩები

თხელტუჩებიანი
წითურთმიანი
სქელტუჩებიანი
ქერათმიანი
შავთმიანი
წაბლისფერთმიანი

6. გამოიყენეთ წინა დავალების ცხრილი და შეცვალეთ წინადადება ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში:

ჩემს ძმას აქვს წაბლისფერი თმა.
ის არის წაბლისფერთმიანი.

ა) დედაჩემს აქვს თხელი ტუჩები.

.....

ბ) მამაჩემს აქვს შავი თმა.

.....

გ) ლიკას აქვს ქერა თმა.

.....

დ) ჩემს ბებიას აქვს ჭაღარა თმა.

.....

ე) ჩემს ბაბუას აქვს სქელი ტუჩები.

.....

7. ა) დააკვირდით სქემას:

ბიძა არის დედის ან მამის ძმა.	ბიძის შვილი არის **ბიძაშვილი.**
დეიდა არის დედის და.	დეიდის შვილი არის **დეიდაშვილი.**
მამიდა არის მამის და.	მამიდის შვილი არის **მამიდაშვილი.**
ბიძა არის მამიდის ქმარიც და დეიდის ქმარიც.	
ბიცოლა არის ბიძის ცოლი.	

ბ) ჩასვით სწორი სიტყვა:

1. მამის და არის .....

2. მამიდის ქმარი არის .....

3. დეიდის შვილი არის .....

4. მამიდის შვილი არის .....

5. დეიდის ქმარი არის.....

6. მამიდის ქმარი არის .....

8. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს:

მე და ჩემი მეგობარი ჩემს ნათესავებთან

მე ლიკა ვარ. მე და ჩემი მეგობარი ჩემს სოფელში ვართ, შუქრუთში. ჩემი მეგობარი თაკო ჩემი კურსელია. ის 23 წლისაა. მაღალია და წაბლისფერი თმები აქვს, თეთრი სახე და შავი თვალები.

სოფელში ბიძაშვილები მყავს, 16 წლის მაია და გიგა. ისინი ჯერ სკოლაში დადიან, მეათე კლასში არიან და ძალიან კარგად სწავლობენ.

ისინი ტყუპები არიან და ერთმანეთს ჰგვანან. მაიაც ქერაა და გიგაც, მაიასაც

ცისფერი თვალები აქვს და გიგასაც. მაიას გრძელი თმები აქვს, გიგას — მოკლე. ჩემი ბიცოლა, ნაზი, 54 წლისაა და ძალიან უყვარს თავისი ოჯახი. ის მაღალი და მსუქანი ქალია, ქერა და ცისფერი თვალები აქვს, მოკლე სწორი ცხვირი და გრძელი თმები.

ბაბუა ჭაღარაა და ბებიაც ჭაღარაა.

შეკითხვები:

ა) სად არიან ლიკა და მისი მეგობარი?
ბ) რა ჰქვია ლიკას მეგობარს და რამდენი წლისაა იგი?
გ) როგორი გარეგნობა აქვთ ლიკას ბიძაშვილებს?
დ) რამდენი წლისაა ლიკას ბიცოლა და როგორი ქალია იგი?

9. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და მონიშნეთ სწორი და არასწორი წინადადებები:

#	წინადადება	დიახ	არა
1	ლიკას ბიძაშვილებს ქერა თმები აქვთ.		
2	ლიკას ბიძაშვილებს თაფლისფერი თვალები აქვთ.		
3	ლიკას ბიცოლას ნაზი ჰქვია და ის 54 წლისაა.		
4	ლიკას ბაბუას ჭაღარა თმები აქვს.		

გრამატიკა

10. დააკვირდით სქემას და შეავსეთ წინადადებები:

ნიმუში:

შავი თმა > *შავთმიანი*
წითელი თმა > *წითელთმიანი*

ა) ჩემს ძმას აქვს შავი თმები. ის არის ..... .

ბ) ლიკას მამას აქვს თაფლისფერი თვალები. ის არის ..... .

გ) ჩემი ძმა არის ..... . მას აქვს სქელი ტუჩები.

დ) ლიკას დეიდაშვილი არის ..... . მას აქვს ქერა თმები.

11. დააკვირდით სქემას და გადაწერეთ წინადადებები მოკლე ფორმით:

მაგიდაზე არის ორი წიგნი.	არის > ა	მაგიდაზე ორი წიგნია. მაგიდაზეა ორი წიგნი.
ჩემი დეიდაშვილი არის მაღალი ბიჭი.	არის > ა	ჩემი დეიდაშვილი მაღალი ბიჭია.

ა) ჩემი ბიძა არის 65 წლის კაცი.

.....

ბ) ჩემი მამიდა არის შავთმიანი.

.....

გ) ლიკას დეიდაშვილი არის მოკლეთმიანი.

.....

დ) მერაბს აქვს გრძელი ცხვირი.

.....

12. დააკვირდით ცხრილში მოცემულ ზმნის ფორმებს და შეავსეთ წინადადებებში გამოტოვებული ადგილები:

მე მაქვს	ჩვენ გვაქვს
შენ გაქვს	თქვენ გაქვთ
მას აქვს	მათ აქვთ

ა) ლიკას ბიძაშვილს ქერა თქმა ..... . (აქვს/მაქვს)

ბ) ლიკას ბიძას შავი თმები ..... . (აქვს/ აქვთ)

გ) — ბაბუა, შენ ჭაღარა თმა ..... ? (გაქვს/აქვთ)

დ) მე გრძელი თმა და მოკლე ცხვირი ..... . (მაქვს/ გვაქვს)

13. დააკვირდით ცხრილს და დააკავშირეთ ილუსტრაცია შესაბამის წარწერასთან:

1		ლურჯი საღებავი
2		სილამაზის სალონი
3		შავი საღებავი
4		ცისფერი საღებავი
5		თმის შეღებვა
6		ყვითელი საღებავი
7		წითელი საღებავი

14. წაიკითხეთ დიალოგი და უპასუხეთ შეკითხვებს:

— ალო, სილამაზის სალონია?
— დიახ, გისმენთ, ქალბატონო!..
— თმის შეღებვა მინდა, თუ შეიძლება...
— დიახ, შეიძლება, რა თქმა უნდა... რა გქვიათ თქვენ?
— ლიკა...
— ქალბატონო ლიკა, რა ფერის თმა გინდათ?
— წაბლისფერი თმა მინდა...
— გასაგებია... მოკლე თმები გაქვთ თუ გრძელი?
— გრძელი თმა მაქვს,
— გასაგებია... კეთილი. მობრძანდით ხვალ, პირველი საათის შემდეგ.
— დიდი მადლობა, ნახვამდის!
— ხვალამდე!

შეკითხვები:

ა) ვინ რეკავს სილამაზის სალონში?
ბ) რა უნდა ლიკას სილამაზის სალონში?
გ) რა ფერის თმა უნდა ლიკას?
დ) როდის მიდის ლიკა სილამაზის სალონში?

15. ნიმუშის მიხედვით აღწერეთ თქვენი მეგობარი ან ნათესავი:

ნიმუში: არის მაღალი კაცი, 35 წლის. აქვს თაფლისფერი თმები და ლურჯი თვალები. აქვს მოკლედ შეჭრილი თმები და გრძელი ცხვირი. არის მსუქანი და აქვს წითელი ლოყები...

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

16. იმუშავეთ წყვილებში. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში:

მე მაქვს ცისფერი თვალები და ყავისფერი თმები, მოკლე ცხვირი და წითელი ლოყები.
ვარ მაღალი და მსუქანი.
მაქვს მოკლე თმები და თხელი ტუჩები.

ა) რა ფერის თმები და თვალები გაქვს?

ბ) როგორი თმები აქვს თქვენს დედას? მამას? მეგობარს?

გ) როგორი თვალები აქვს თქვენს დედას? მამას? მეგობარს?

დ) როგორი გარეგნობა აქვს იმ ადამიანს, რომელიც ბოლოს ნახე?

17. დააკვირდით ფოტოებს და აღწერეთ ზეპირად შეკითხვების მიხედვით:

ა) როგორი თმები აქვს — მოკლე თუ გრძელი?
ბ) რა ფერის თმა აქვს?
გ) როგორი ტუჩები აქვს? ცხვირი?
დ) რა ფერის თვალები აქვს?..

იაპონელი მამაკაცი	ქართველი ქალი
	

იტალიელი ბიჭი	ბრაზილიელი გოგონა
	

წერა

18. დააკვირდით ფოტოებს, შეარჩიეთ ორი ფოტო და დაწერეთ მისი აღწერა:

იაპონელი მამაკაცი	ქართველი ქალი
	
იტალიელი ბიჭი	ბრაზილიელი გოგონა
	

1. .....

.....

.....

.....

.....

.....

2. .....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

19. აღწერეთ თქვენი ოჯახის წევრი ან ნაცნობი:

აქ აღწერეთ:

.....

.....

.....

.....

.....

.....

ლექსიკა: ქვეყნების სახელწოდებები.

გრამატიკული საკითხი: წარმომავლობა - -ელ, -ურ, -დან.

ზმნები: ცხოვრობს, მუშაობს, იცის, ლაპარაკობს.

თემის გახსნისთვის

1. დააკვირდით რუკას და იპოვეთ მითითებული ქვეყნები. მონიშნეთ ქვეყანა, სადაც ცხოვრობთ:

ჩინეთი სომხეთი საქართველო იტალია უკრაინა გერმანია
აზერბაიჯანი საფრანგეთი თურქეთი მექსიკა კანადა



2. წაიკითხეთ წინადადებები და უპასუხეთ შეკითხვებს:

იტალია არის ევროპაში. იტალიის დედაქალაქია რომი. იტალიის სახელმწიფო ენაა იტალიური.

საქართველო არის ევროპაში. საქართველოს დედაქალაქია თბილისი. საქართველოს სახელმწიფო ენაა ქართული.

შეკითხვები:

ა) რომელი ქვეყნის ენაა ქართული?
ბ) რომელი ქვეყნის ენაა იტალიური?

დაიმახსოვრეთ:

ქვეყანა	ადამიანი	ენა, პროდუქტი
საქართველო	**ქართვ-ელი**	**ქართ-ული**
იტალია	იტალი-ელი	იტალი-ური
ჩინ-ეთი	ჩინ-ელი	ჩინ-ური

3. წაიკითხეთ ტექსტები და უპასუხეთ შეკითხვებს:



გამარჯობა!

მე მქვია სიუი. ვცხოვრობ ჩინეთში, ვარ ჩინელი. ჩემი მშობლიური ენა არის ჩინური.



გამარჯობა!

მე მქვია მიშელი. ვცხოვრობ საფრანგეთში, ვარ ფრანგი. ჩემი მშობლიური ენა არის ფრანგული.



გამარჯობა!

მე მქვია არმენი. ვცხოვრობ სომხეთში, ვარ სომეხი. ჩემი მშობლიური ენა არის სომხური.



გამარჯობა!

მე ვარ აითანი. ვცხოვრობ საქართველოში, ვარ აზერბაიჯანელი და კარგად ვიცი ქართული ენა.



გამარჯობა!

მე მქვია დავითი. ვცხოვრობ საქართველოში, თბილისში, ვარ ქართველი.



გამარჯობა.

მე მარიეტა ვარ. იტალიაში ვცხოვრობ. იტალიელი ვარ, მაგრამ კარგად ვლაპარაკობ გერმანულად.

ა) სად ცხოვრობს სიუი?
ბ) ვინ ცხოვრობს საფრანგეთში?
გ) სად ცხოვრობს არმენი?
დ) რომელი ენა იცის აითანმა?
ე) სადაურია დავითი?
ვ) რომელ ენაზე ლაპარაკობს მარიეტა?

4. დაუკავშირეთ სიტყვები ერთმანეთს:

ნიმუში: საქართველო - ქართველი, სომხეთი - სომეხი

	ქვეყანა
1	ინგლისი
2	სომხეთი
3	აზერბაიჯანი
4	ჩინეთი
5	იტალია
6	საფრანგეთი
7	ნორვეგია
8	თურქეთი
9	უკრაინა
10	რუსეთი

ადამიანი
იტალიელი
ჩინელი
ინგლისელი
თურქი
უკრაინელი
სომეხი
აზერბაიჯანელი
ფრანგი
ნორვეგიელი
რუსი

5. დაუკავშირეთ სიტყვები ერთმანეთს:

ნიმუში: *საქართველო - ქართ**ული**, მაგრამ სომხეთი - სომხ**ური***

	ქვეყანა
1	აზერბაიჯანი
2	კორეა
3	გერმანია
4	რუსეთი
5	სომხეთი
6	ინგლისი
7	ჩინეთი
8	იტალია
9	საფრანგეთი
10	შვედეთი

ენა, პროდუქტი
ინგლის**ური**
რუს**ული**
კორე**ული**
ფრანგ**ული**
აზერბაიჯან**ული**
გერმან**ული**
შვედ**ური**
სომხ**ური**
იტალი**ური**
ჩინ**ური**

6. ილუსტრაციას მიუწერეთ შესაბამისი ფრაზა:

ა) ჩინელი გოგონა, ბ) ჩინური ჩაი, გ) ფრანგული ყველი,
დ) ქართული ღვინო, ე) სომეხი ბიჭი, ვ) ფრანგი გოგონა,
ზ) იტალიური პიცა, თ) გერმანული მანქანა



.....



.....



.....



.....



.....



.....



.....



.....

7. ჩასვით სიტყვები სწორად:

ა) ნინო არის ..... გოგონა. (ქართველი/ქართული)

ბ) ანამ კარგად იცის ..... ენა. (ინგლისელი/ინგლისური)

გ) აითანს მოსწონს ..... ცეკვა. (ინდოელი/ინდური)

დ) ედუარდი არის ..... . (სომეხი/სომხური)

ე) მე მიყვარს ..... ტკბილეული. (ფრანგი/ფრანგული)

ვ) ზაზას ჰყავს ..... მეგობარი. (იაპონელი/იაპონური)

ზ) საქართველოში ძალიან პოპულარულია ..... მანქანები. (იაპონელი/იაპონური)

თ) მერსედესი ..... მანქანაა. (გერმანელი/გერმანული)

ი) შექსპირი არის ..... დრამატურგი. (ინგლისელი/ინგლისური)

კ) ეს ..... ენაა. (ქართველი/ქართული)

8. დააკვირდით და დაიმახსოვრეთ, როდის არის ქართული და როდის არის ქართულად:

მე ვიცი ქართული. მე ვიცი გერმანული. მან იცის ფრანგული.	ჩვენ ვიცით ინგლისური. თქვენ იცით ესპანური. მათ იციან ჩინური.
მე კარგად ვლაპარაკობ ქართულად. შენ კარგად ლაპარაკობ გერმანულად. ის კარგად ლაპარაკობს იაპონურად.	

9. წაიკითხეთ ტექსტები და უპასუხეთ შეკითხვებს:

გამარჯობა,

მე მქვია დავითი. ვცხოვრობ საქართველოში და ვარ **ქართველი**. ჩემი მშობლიური ენა არის **ქართული**. კარგად ვიცი **ინგლისური** ენა, რადგან სტუდენტური პროგრამით ინგლისში ვსწავლობდი. **რუსული** და **ფრანგული** არც ისე კარგად ვიცი. ძალიან მიყვარს მოგზაურობა და **იტალიური** საჭმელი. ჩემს უცხოელ მეგობრებს კი **ქართული** ღვინო მოსწონთ.

გამარჯობა,

მე მქვია აითანი. მე ვარ **აზერბაიჯანელი** და ვცხოვრობ საქართველოში. ჩემი მშობლიური ენა არის **აზერბაიჯანული**, მაგრამ ძალიან კარგად ვიცი **ქართული** ენა. ვსწავლობ უნივერსიტეტში და მომწონს თბილისში ცხოვრება. ბევრი **ქართველი** მეგობარი მყავს. მომწონს **იმერული** ხაჭაპური და **კახური** ჩურჩხელა.

გამარჯობა,

მე ვარ მარიეტა. ვცხოვრობ **იტალიაში** და ვარ **იტალიელი**. ვარ სტუდენტი. მე ძალიან კარგად ვიცი **იტალიური** და **გერმანული** ენები და ახლა ვსწავლობ **ქართულ ენას**. მომწონს **გერმანული** ლიტერატურა და კლასიკური მუსიკა. მყავს დედა, მამა და ორი ძმა.

გამარჯობა,

მე ვარ სიუი. მე **ჩინელი** ვარ და მე ვცხოვრობ **საქართველოში**. ვარ სტუდენტი. **საქართველოში** ვსწავლობ და ვმუშაობ. ჩემი მშობლიური ენა არის **ჩინური**. კარგად ვლაპარაკობ **ინგლისურად, რუსულად** და ახლა ვსწავლობ **ქართულ ენას**, მაგრამ **ქართულად** ვერ ვლაპარაკობ.
მომწონს საქართველო და ქართველი ხალხი.

გამარჯობა,

მე მქვია არმენი. ვცხვრობ **საქართველოში**, ჯავახეთში.ვარ სომეხი. ჩემი მშობლიური ენა არის **სომხური**. **ქართული ენა** ძალიან კარგად ვიცი. სტუდენტი ვარ და ახლა თბილისში ვცხოვრობ. ძალიან მომწონს საქართველოს დედაქალაქი თბილისი და ბევრი **ქართველი** თუ **აზერბაიჯანელი** მეგობარი მყავს

გამარჯობა,

მე მქვია მიშელი, ვარ საფრანგეთიდან. ორი წელია **საქართველოში** ვცხოვრობ. **ქართველი** მეგობრები მყავს. მომწონს საქართველო, **ქართული** საჭმელი, ღვინო, კულტურა. **ქართული ენა** არ ვიცი, ახლა ვსწავლობ.

ა) სად ცხოვრობს დავითი?
ბ) რომელია აითანის მშობლიური ენა?
გ) სადაურია მარიეტა?
დ) რომელ ენას სწავლობს სიუი?
ე) რომელი ენა იცის ძალიან კარგად არმენმა?
ვ) რა მოსწონს მიშელს?
ზ) სადაური საჭმელი მოსწონს დავითს?
თ) რომელ ენებზე ლაპარაკობს სიუი?
ი) რომელ ენას სწავლობს მიშელი?

10. წაიკითხეთ წინადადებები და დაწერეთ, ვინ ამბობს:

1	მოსწონს ქართული ღვინო.	
2	საქართველოში სწავლობს და მუშაობს.	
3	უყვარს გერმანული ლიტერატურა და მუსიკა.	
4	ცხოვრობს ჯავახეთში.	
5	მოსწონს ხაჭაპური და ჩურჩხელა.	

6	მომწონს იმერული ხაჭაპური.	
7	სტუდენტური პროგრამით ინგლისში სწავლობდა.	

11. მონიშნეთ სწორი (+) და არასწორი (-) ინფორმაცია:

1	მიშელმა კარგად იცის ქართული ენა.	
2	მარიეტა სწავლობს ქართულ ენას.	
3	დავითი საფრანგეთში სწავლობდა.	
4	აითანი სწავლობს თბილისში.	
5	არმენს ძალიან მოსწონს ერევანი.	
6	სიუის მშობლიური ენა არის ჩინური.	
7	მიშელს მოსწონს ქართული სამზარეულო.	
8	მარიეტა არის სტუდენტი.	
9	არმენი არის სომეხი.	
10	დავითი არის ქართველი.	

12. გახაზეთ შესაფერისი სიტყვა:

ა) არმენმა იცის (ქართული/ქართულად).

ბ) დავითი კარგად ლაპარაკობს (ინგლისური/ინგლისურად).

გ) მარიეტა არის (იტალიელი/იტალიური).

დ) სიუი სწავლობს (ქართული/ქართულს).

ე) აითანს მოსწონს(ხაჭაპური/ხაჭაპურს).

ვ) მიშელი არის (ფრანგი/საფრანგეთი).

ზ) მიშელმა არ იცის (ქართული/ქართულად).

თ) მარიეტა კარგად ლაპარაკობს (გერმანული/გერმანულად).

ი) სიუიმ იცის (რუსული და გერმანული ენები/ რუსულად და გერმანულად).

კ) სიუი მუშაობს და სწავლობს (საქართველოში/ქართული).

13. აირჩიეთ წინადადებისთვის სწორი სიტყვა:

სწავლობს, ქართულად, ინგლისური, ქართული ენა, ცხოვრობს, იცის, მოსწონს, ფრანგი, ჩინელი, უყვარს.

ა) დავითმა კარგად იცის ..... ენა.

ბ) აითანი კარგად ლაპარაკობს ..... .

გ) არმენი ახლა ..... თბილისში.

დ) მიშელი არის ..... .

ე) აითანს ..... ხაჭაპური.

ვ) დავითს ..... იტალიური სამზარეულო.

ზ) სიუი არის ..... .

თ) მარიეტა ..... ქართულ ენას.

ი) არმენმა კარგად იცის ....

კ) მარიეტამ ..... გერმანული ენა.

14. დააკვირდით ცხრილში მოცემულ ფორმებს და შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

#	ქვეყანა	სადაური? (ვინ?)
1	საქართველო	ქართველი
2	იტალია	იტალიელი
3	საფრანგეთი	ფრანგი
4	აზერბაიჯანი	აზერბაიჯანელი
5	სომხეთი	სომეხი
6	პორტუგალია	პორტუგალიელი
7	იაპონია	იაპონელი
8	გერმანია	გერმანელი
9	ბრაზილია	ბრაზილიელი
10	ინგლისი	ინგლისური
11	ესპანეთი	ესპანელი
12	უკრაინა	უკრაინელი

ნიმუში:

მე ვარ საქართველოდან. მე ვარ ქართველი.

ა) ჩემი მეზობელი არის იტალიიდან.

.....

ბ) ჩემი მეგობარი არის იტალიიდან.

.....

გ) შენი მეზობელი საფრანგეთიდანაა?

.....

დ) შენი მეგობარი აზერბაიჯანიდანაა?

.....

ე) მისი მეზობელი სომხეთიდანაა.

.....

ვ) მისი მეგობარი პორტუგალიიდანაა.

.....

ზ) ჩვენი მეზობელი არის იაპონიიდან.

.....

თ) ჩვენი მეგობარი არის გერმანიიდან.

.....

ი) თქვენი მეზობელი ბრაზილიიდანაა?

.....

კ) თქვენი მეგობარი ინგლისიდანაა?

.....

ლ) მათი მეზობელი ესპანეთიდანაა.

.....

მ) მათი მეგობარი უკრაინიდანაა.

.....

15. დააკვირდით ცხრილს და შეავსეთ წინადადებებში გამოტოვებული სიტყვები ნიმუშის მიხედვით:

#	ქვეყანა	სადაური? (ვინ?)	სადაური? (რა?)
1	საქართველო	ქართველი	ქართული
2	იტალია	იტალიელი	იტალიური
3	საფრანგეთი	ფრანგი	ფრანგული
4	აზერბაიჯანი	აზერბაიჯანელი	აზერბაიჯანული
5	სომხეთი	სომეხი	სომხური
6	პორტუგალია	პორტუგალიელი	პორტუგალიური
7	იაპონია	იაპონელი	იაპონური
8	გერმანია	გერმანელი	გერმანული
9	ბრაზილია	ბრაზილიელი	ბრაზილიური
10	ინგლისი	ინგლისელი	ინგლისური
11	ესპანეთი	ესპანელი	ესპანური
12	უკრაინა	უკრაინელი	უკრაინული

ნიმუში:

ჩემი ნათესავი ქართველია. მან კარგად იცის ქართული ენა.

ა) ჩემი ნათესავი იტალიელია. მან კარგად იცის ..... სამზარეულო.

ბ) ჩემი ბიძაშვილი ფრანგია. მან კარგად იცის ..... კინო.

გ) ჩემი მამიდაშვილი აზერბაიჯანელია. მან კარგად იცის ..... კულტურა.

დ) ჩემი დეიდაშვილი სომეხია. მან კარგად იცის ..... ენა.

ე) ჩემი მეგობარი პორტუგალიელია. მან კარგად იცის ..... კანონები.

ვ) ჩემი მეგობარი იაპონელია. მან კარგად იცის ..... ტრადიციები.

ზ) მისი მეზობელი გერმანელია. მან კარგად იცის ..... მუსიკა.

თ) მისი ნათესავი ბრაზილიელია. მან კარგად იცის ..... ფეხბურთი.

ი) მისი ბიძაშვილი ინგლისელია. მან კარგად იცის ..... ლიტერატურა.

კ) მისი მეგობარი ესპანელია. მან კარგად იცის ..... ცეკვა.

ლ) მისი მეუღლე უკრაინელია. მან კარგად იცის ..... სიმღერა.

16. დააკვირდით ცხრილს და შეადგინეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

მე ვიცი ქართული.	ჩვენ ვიცით ქართული.
შენ იცი ქართული.	თქვენ იცით ქართული.
მან იცის ქართული.	მათ იციან ქართული.

ნიმუში:

მე ქართველი ვარ. მე კარგად ვიცი ქართული.

ა) მე იტალიელი ვარ. მე კარგად ვიცი ..... .

ბ) შენ ფრანგი ხარ. ..... .

გ) ის აზერბაიჯანელია. ..... .

დ) ჩვენ სომხები ვართ. ..... .

ე) თქვენ პორტუგალიელები ხართ. ..... .

ვ) ისინი იაპონელები არიან. ..... .

ზ) მე გერმანელი ვარ. ..... .

თ) შენ ინგლისელი ხარ. ..... .

ი) ის ინგლისელია. ..... .

კ) ჩვენ ესპანელები ვართ. ..... .

ლ) თქვენ უკრაინელები ხართ. ..... .

17. დააკვირდით ცხრილს და შეადგინეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

მე ვლაპარაკობ	ჩვენ ვლაპარაკობთ
შენ ლაპარაკობ	თქვენ ლაპარაკობთ
ის ლაპარაკობს	ისინი ლაპარაკობენ

ნიმუში:

*მე კარგად ვიცი ქართული. მე კარგად ვლაპარაკობ ქართულ**ად**.*
(ქართული > ქართულად)

*მან კარგად იცის იტალიური. ის კარგად ლაპარაკობს იტალიურ**ად**.*

ა) მე კარგად ვიცი ფრანგული. ..... .

ბ) მე კარგად ვიცი აზერბაიჯანული. ..... .

გ) მე კარგად ვიცი სომხური. ..... .

დ) მე კარგად ვიცი პორტუგალიური. ..... .

ე) მან კარგად იცის იაპონური. ..... .

ვ) მე კარგად ვიცი გერმანული. ..... .

ზ) მე კარგად ვიცი თურქული. ..... .

თ) მე კარგად ვიცი ინგლისური. ..... .

ი) მე კარგად ვიცი ესპანური. ..... .

კ) მე კარგად ვიცი უკრაინული. ..... .

18. წაიკითხეთ დიალოგი და აირჩიეთ სწორი პასუხი:

- აითან, გამარჯობა. როგორ ხარ?
- გამარჯობა, დავით. მადლობა, კარგად ვარ. შენ როგორ ხარ?
- მადლობა, მეც კარგად ვარ. აითან, კინოში მოდიხარ? ხვალ არის ახალი ფილმის პრემიერა.
- კი, მოვდივარ, დავით. ძალიან მიყვარს კინო.
- მეც მიყვარს კინო. ევროპული ფილმები ძალიან მიყვარს. ვფიქრობ, ეს იტალიური ფილმი კარგი იქნება.
- ფილმი ქართულ ენაზეა.მე იტალიური ენა არ ვიცი, ამიტომ აუცილებლად ვნახავ.
- კარგი იქნება, თუ ვნახავთ.
- მეც ასე ვფიქრობ.
- კარგი. ხვალამდე.
- ნახვამდის.

I. აითანი და დავითი ლაპარაკობენ...

ა) ფილმის შესახებ. ბ) წიგნის შესახებ. გ) მეგობრების შესახებ.

II. ფილმის პრემიერა არის...

ა) დღეს. ბ) ხვალ. გ) ზეგ.

III. ფილმი არის...
ა) იტალიური. ბ) ფრანგული. გ) ინდური.

IV. ფილმი არის...

ა) იტალიურ ენაზე. ბ) ქართულ ენაზე. გ) ინგლისურ ენაზე.

19. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ დიალოგი და აღნიშნეთ, ვინ ამბობს:

		დავითი	დავითი
1	კინოში მოდიხარ? ხვალ არის ახალი ფილმის პრემიერა.		
2	ევროპული ფილმები ძალიან მიყვარს.		
3	ძალიან მიყვარს კინო.		
4	მე იტალიური ენა არ ვიცი.		

20. მონიშნეთ სწორი (+) და არასწორი (-) ინფორმაცია:

#	ინფორმაცია	სწორი	არასწორი
1	ფილმის პრემიერა ზეგ არის.		
2	ფილმი იტალიურია.		
3	აითანმა იტალიური ენა არ იცის.		
4	დავითს უყვარს ინდური ფილმები.		

ლაპარაკი

21. დააკავშირეთ შეკითხვები და პასუხები ერთმანეთს:

1	გამარჯობა! რა გქვიათ?	მე ვცხოვრობ მარნეულის სოფელ თამარისში.
2	რომელია თქვენი მშობლიური ენა?	სკოლის შემდეგ მე ვსწავლობდი ქუთაისის უნივერსიტეტში.
3	რომელი ენები იცით?	ჩემი მშობლიური ენა არის ქართული.
4	სად ცხოვრობთ?	მე მიყვარს ფრანგული და იაპონური ფილმები.
5	სად სწავლობ-დით?	გამარჯობა! მე მქვია ნანა.
6	რომელია თქვენი საყვარელი ფილმი?	დიახ, მიყვარს მუსიკის მოსმენა. მაგალითად, ქართულ სიმღერებს ვუსმენ ხშირად.
7	მუსიკას თუ უსმენთ?	მე ვიცი ქართული, ინგლისური, ფრანგული და რუსული ენები.

22. შეადგინეთ ტექსტი მოცემული ფრაზების გამოყენებით:

მე მქვია...
მე ვარ...
მე ვცხოვრობ...
მე ვიცი...
ვლაპარაკობ ქართულად...
ვსწავლობ ქართულს...
მომწონს ქართული...

წერა

23. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ვიცი ვლაპარაკობ მიყვარს მომწონს ვცხოვრობ ვსწავლობ ვარ ცხოვრობს უყვარს

ა) .....

ბ) .....

გ) .....

დ) .....

ე) .....

ვ) .....

ზ) .....

თ) .....

ი) .....

24. შეავსეთ დიალოგებში გამოტოვებული ადგილები:

I დიალოგი

- გამარჯობა, სიუი.
- გამარჯობა, არმენ. როგორ ხარ?
- ..... , სიუი..... . შენ როგორ ხარ?
- მადლობა, მეც კარგად ვარ. არმენ, ... ?
- კი, მე ახლა თბილისში ვცხოვრობ.
- არმენ, ... ?
- კი, მომწონს. თბილისი ძალიან ლამაზი ქალაქია.
- მეც მომწონს თბილისი.
- .... ?
- არა, ქართულ ენას ახლა არ ვსწავლობ. ქართული ენა სკოლაში ვისწავლე და ძალიან კარგად ვლაპარაკობ ქართულად.

II დიალოგი

- გამარჯობა სიუი. შენ სადაური ხარ?
- ..... , ...
- სიუი, როგორი ქვეყანაა ჩინეთი?
- ....
- ქართული ენა იცი?
- ..... , ...
- რომელი ენა იცი?
- ..... .
- მეც ვიცი ინგლისური ენა. ფრანგულს ახლა ვსწავლობ.
- ნახვამდის, მარიეტა.
- ნახვამდის, სიუი.

25 დაწერეთ ტექსტი თქვენ შესახებ. დაიხმარეთ შემდეგი შეკითხვები:

- რა გქვია?
- სადაური ხარ?
- სად ცხოვრობ?
- რომელი ენა იცი?
- რომელ ენას სწავლობ?
- რა გიყვარს?

26. დაწერეთ ტექსტი მეგობრის, ოჯახის წევრის ან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით:



სახელი - დარია

ქვეყანა - უკრაინა

ენები - უკრაინული. ინგლისური.

საყვარელი საქმელი - ფრი.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

ლექსიკა: საათი; ამინდი.

გრამატიკული საკითხი: -იან მაწარმოებელი.

ზმნები: უყვარს, აკეთებს, ამზადებს, კრეფს, კითხულობს.

თემის გახსნისთვის

1. უპასუხეთ შეკითხვებს ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში:

როგორი ამინდი გიყვარს?
მე მიყვარს მზიანი ამინდი.

ა) წელიწადის რომელი დრო გიყვარს?

ბ) როგორი ამინდი გიყვარს: მზიანი თუ წვიმიანი?

2. დააკავშირეთ ამინდის აღწერა წელიწადის დროებთან:

ა) წვიმა, სიგრილე, ტემპერატურა 10-15 გრადუსი, მცირე ქარი.
ბ) მზიანი ამინდი, სითბო, ტემპერატურა 20-25 გრადუსი.
გ) მზიანი ამინდი, სიცხე, ტემპერატურა 35-40 გრადუსი.
დ) თოვლი, ღრუბლიანი ამინდი, სიცივე, ყინვა, ტემპერატურა 0-5 გრადუსი.

გაზაფხული	ზაფხული	შემოდგომა	ზამთარი
			
.....	.....	.....	.....

3. დააკავშირეთ სიტყვები. აღნიშნეთ, წინა დავალების რომელ ილუსტრაციას/ილუსტრაციებს შეესაბამება თითოეული წყვილი:

1. მზიანი	ა. ღრუბელი
2. ქარიანი	ბ. მზე
3. წვიმიანი	გ. თოვლი
4. თოვლიანი	დ. წვიმა
5. ღრუბლიანი	ე. ქარი

4. დააკვირდით სიტყვების წყვილებს, შეარჩიეთ საჭირო სიტყვა და ჩასვით წინადადებაში:

მზე - მზიანი; ღრუბელი - ღრუბლიანი; წვიმა - წვიმიანი;

თოვლი - თოვლიანი; ქარი - ქარიანი.

ორშაბათი - ორშაბათს

სამშაბათი - სამშაბათს

ოთხშაბათი - ოთხშაბათს

ხუთშაბათი - ხუთშაბათს

პარასკევი - პარასკევს

შაბათი - შაბათს

კვირა - კვირას

ა) ორშაბათს, დილის ექვს საათზე, ... ამოვიდა.

ბ) სამშაბათს ..... დილა იყო.

გ) ოთხშაბათს ცაზე ბევრი ..... იყო.

დ) ხუთშაბათს ..... ამინდია.

ე) პარასკევს ..... მოვიდა.

ვ) შაბათს ..... ამინდი იყო.

ზ) კვირას დიდი ..... მოვიდა.

თ) დღეს ..... დილა გათენდა.

ი) გუშინ ..... დღე იყო.

კ) დღეს დილით ..... იყო.

5. წაიკითხეთ სიტყვათა წყვილები და ჩასვით წინადადებაში ერთ-ერთი:

თოვლი - თოვს

წვიმა - წვიმს

ქარი - ქრის

ა) ზამთარში საქართველოს მთაში ხშირად ..... .

ბ) ზამთარში საქართველოს მთაში ხშირად მოდის ..... .

გ) თინა ბებიას არ უყვარს ..... .

დ) დღეს სოფელში მთელი დღე ..... .

ე) შემოდგომაზე ცივი ქარი ხშირად ..... .

ვ) გუშინ ..... იყო და ფოთლები ჩამოყარა.

6. დააკავშირეთ ამინდის ტემპერატურა საათთან:

1. 10° C	ა. 07:00
2. -2° C	ბ. 14:30
3. 5° C	გ. 09:30
4. 15° C	დ. 18:30

7. დააკავშირეთ ერთმანეთს საათის ციფრული და სიტყვიერი აღნიშვნები:

08:00	ცხრის ნახევარი
08:30	პირველი საათი
09:30	სამი საათი
11:00	ექვსის ნახევარი
12:30	რვა საათი
13:00	თერთმეტი საათი
14:30	ათის ნახევარი
15:00	ათის ნახევარი
17:30	სამის ნახევარი
21:30	პირველის ნახევარი

8. დააკვირდით ილუსტრაციებს, შემდეგ წაიკითხეთ <u>თინა ბებიას ერთი დღე</u> და მიუწერეთ შესაბამისი წელიწადის დრო:

ბოსტანი	ვაშლის კრეფა	გოზინაყი	ჩურჩხელა
			
.....	.....	.....	.....

თინა ბებიას დღიური

ორშაბათი

დილით ყოველთვის შვიდის ნახევარზე **ვდგები**, **ვსაუზმობ** და ბოსტანში მივდივარ.

ბოსტანში 1 საათი **ვმუშაობ**. კარგი კიტრი და პამიდორი მაქვს.
მერე საჭმელს **ვაკეთებ**.

წელიწადის დრო: .....

ხუთშაბათი

ყოველ დილით ადრე **ვდგები, შვიდის ნახევარზე** და ბავშვების საუზმეს **ვამზადებ**.

ძალიან კარგი ამინდია. ცხელა და ბავშვები დღეს მდინარეზე **მიდიან**.

წელიწადის დრო: .....

პარასკევი

დღეს ცუდი ამინდი არის. წვიმს და ქარი ქრის. ძალიან ცივა. გუშინ მზე იყო და მსხალი და ვაშლი ზამთრისთვის დავკრიფე. ზამთარში გემრიელია.
ბავშვებთან ყოველ საღამოს ვლაპარაკობ.

წელიწადის დრო: .....

კვირა

მთელი დილაა თოვს. მე კი გოზინაყს და ჩურჩხელას ვაკეთებ. დღეს ბავშვები მოდიან.

წელიწადის დრო: .....

9. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ თინა ბებიას დღიური და შეავსეთ ცხრილი ამინდის შესახებ ინფორმაციით ნიმუშის მიხედვით:

ორშაბათი	კარგი ამინდი, ცოტა სიცხე
სამშაბათი	არ არის ინფორმაცია.
ოთხშაბათი	
ხუთშაბათი	
პარასკევი	
შაბათი	
კვირა	

10. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ თინა ბებიას დღიური და უპასუხეთ შეკითხვებს:

ა) რამდენი საათი მუშაობდა თინა ბებია ორშაბათს?
ბ) რომელ საათზე ადგა თინა ბებია ხუთშაბათს?
გ) კვირის რომელ დღეს ელოდება ბებია შვილიშვილებს?
დ) რომელ დღეს წერს ბებია კიტრსა და პამიდორზე?
ე) წელიწადის რომელ დროს კრეფს იგი ხილს?
ვ) შემოდგომის ხილი როდის არის ძალიან გემრიელი და ტკბილი?

11. წაიკითხეთ წინადადებები და აღნიშნეთ, სწორია თუ არა:

#	წინადადება	კი	არა	არ არის ინფორმაცია
1	ორშაბათს თინა ბებია ბოსტანში მუშაობს.			
2	სამშაბათს ბავშვები კინოში მიდიან.			
3	ხუთშაბათს ბავშვები მდინარეზე მიდიან.			
4	პარასკევს ცუდი ამინდია.			
5	შაბათს ბებია გოზინაყს და ჩურჩხელას აკეთებს.			
6	კვირას ბავშვები მოდიან.			

12. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ თინა ბებიას დღიურები და შეადგინეთ მისი დღის რეჟიმი:

თინა ბებიას დღის რეჟიმი	
რას აკეთებს თინა ბებია დილით?	
რას აკეთებს თინა ბებია დღის განმავლობაში?	
რას აკეთებს თინა ბებია საღამოს?	

გრამატიკა

13. აირჩიეთ და ჩაწერეთ ზმნის სწორი ფორმა:

ა) მე დილით ყოველთვის ადრე ..... . (ვდგები/დგება)

ბ) თინა ბებია 8 საათზე ..... . (ვსაუზმობ/საუზმობს)

გ) მე კარგად ..... ფეხბურთს. (ვთამაშობ/თამაშობს)

დ) მე ..... საჭმელს. (ვაკეთებ/აკეთებს)

ე) გოგონა ..... გაკვეთილებს. (ვამზადებ/ამზადებს)

ვ) ორი ბიჭი ვაშლს ..... . (ვკრეფ/კრეფს)

ზ) მე ბევრს ..... . (ვლაპარაკობ/ლაპარაკობს)

თ) ლია გოზინაყს ..... . (ვჭამ/ჭამს)

ი) ფარიდი ქართულ ენას ..... . (ვსწავლობ/სწავლობს)

კ) დედა წიგნს ..... . (ვკითხულობ/კითხულობს)

14. მოცემული სიტყვები სწორად გაანაწილეთ ტექსტში:

მუშაობს, დგება, მიდის, სადილობს, ვახშმობს, საუზმობს, იძინებს

დილით თინა ბებია 8 საათზე ..... . 9 საათზე ..... . 10 საათზე თინა ბებია მეზობელთან მიდის. ის ორ საათზე ..... . თუ კარგი ამინდია, ეზოში ..... . თინა ბებია 9 საათზე ..... და 11 საათზე ..... .

15. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა:

ა) თინა ბებია ყოველ დილით 06:30-ზე ..... . (ადგა/დგება)

ბ) ის საღამოს ადრე ..... . (დაიძინა/იძინებს)

გ) თინა ბებია მეზობელთან ..... . (მივდივარ/მიდის)

დ) ქალი ყოველ დღე ეზოში ..... . (მუშაობს/იმუშავა)

ე) სტუდენტი ავტობუსით ..... . (მიდის/მივდივარ)

ვ) ბებია სერიალს ..... . (უყურებს/უყურა)

ზ) ბავშვი 7 საათზე ..... . (ვვახშმობ/ვახშმობს)

16. იმუშავეთ წყვილებში.მოუსმინეთ დიალოგს და უპასუხეთ შეკითხვებს:

დიალოგი

— გამარჯობა, მაკა, როგორ ხართ, დედიკო?
— გამარჯობა, დედა! ჩვენ — კარგად, შენ როგორ ხარ?
— მეც კარგად ვარ. მამა ხვალ მოდის სოფელში. როგორი ამინდია თქვენთან?
— აქ კარგი ამინდია. გუშინ თოვდა, მაგრამ დღეს აღარ თოვს. მზე გამოვიდა, მაგრამ თოვლი არ დნება. მაინც დაბალი ტემპერატურაა და ყინავს.
— ბებია როგორაა? ხომ არ აბრაზებთ?
— არა, არ ვაბრაზებთ, პირიქით — ყველაფერში ვეხმარებით... დედა, მამა რომელ საათზე წამოვა?
— დილით წამოვა, ათი საათის მერე. ორ საათზე სოფელში იქნება.
— კარგი, დედა! აბა, კარგად!
— კარგად, შვილო! მომიკითხე ბებია და ბავშვები!

შეკითხვები:

I) ვინ და ვინ საუბრობენ?

ა) დედა და შვილი; ბ) მამა და შვილი;
გ) ბებია და შვილიშვილი; დ) ბაბუა და შვილიშვილი.

II) რის შესახებ არ საუბრობენ?

ა) ამინდის შესახებ; ბ) ბებიას შესახებ; გ) მამას შესახებ; დ) ბაბუას შესახებ.

17. გაიხსენეთ დიალოგი და მონიშნეთ სწორი პასუხი:

#	წინადადება	კი	არა
1	მაკა დედას ელაპარაკება.		
2	გუშინ თოვდა, მაგრამ დღეს კარგი ამინდია.		
3	მაკა ბებოს არ აბრაზებს.		
4	მამა ათ საათზე იქნება სოფელში.		

5	მამა ხვალ მიდის სოფელში.		
6	სოფელში მაღალი ტემპერატურაა და არ ყინავს.		

ლაპარაკი

18. დააკავშირეთ ფრაზები და შეადგინეთ წინადადებები:

გაზაფხულზე	ცივა. ხშირად ყინავს და თოვლი მოდის. ზოგან დიდი თოვლიც მოდის.
ზაფხულში	გრილა. ხშირად წვიმს და ქარიანი ამინდია.
შემოდგომაზე	თბილა. თოვლი დნება და ხშირად მზიანი ამინდია.
ზამთარში	მაღალი ტემპერატურა და სიცხეა.

ა) .....

ბ) .....

გ) .....

დ) .....

19. დაუსვით მასწავლებელს ან მეწყვილეს შეკითხვები და ცხრილში ჩაიწერეთ მათი პასუხები:

ა) როგორი ამინდია გაზაფხულზე?
ბ) როგორი ამინდია ზაფხულში?
გ) როგორი ამინდია შემოდგომაზე?
დ) როგორი ამინდია ზამთარში?

პასუხების ცხრილი:

ამინდი გაზაფხულზე	
ამინდი ზაფხულში	
ამინდი შემოდგომაზე	
ამინდი ზამთარში	

20. გამოიყენეთ წინა დავალებები და ისაუბრეთ:

ა) როგორი ამინდია დღეს?
ბ) როგორი ამინდი იყო გუშინ?

წერა

21. შეავსეთ დიალოგში გამოტოვებული ადგილები:

წვიმს, ღრუბლიანი, სიცივე, ცივა, სითბოა.

— გამარჯობა, როგორ ხარ?

— გამარჯობა, ნინო! გმადლობ, კარგად. შენ როგორ ხარ?

— მეც კარგად. როგორი ამინდია სოფელში?

— ..... ამინდია, მაგრამ არ წვიმს. ახლა ცოტა .... , მაგრამ ისე ..... . თქვენთან როგორი ამინდია?

— აქ ძალიან ..... , მაგრამ ..... არაა. ერთი კვირაა სულ წვიმს.

22. დაწერეთ ტექსტი, რომელშიც ჩაწერთ:

- სად ხარ დღეს?
- რას აკეთებ?
- როგორი ამინდია?

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

07

შინაური ცხოველები

ლექსიკა: შინაური ცხოველებისა და მათი ნაშიერების სახელები; ცხოველთა საცხოვრისები.

გრამატიკული საკითხი: ზედსართავი სახელები - დიდი, პატარა, გრძელი, მოკლე, საშუალო; -ურ მაწარმოებელი, -თან თანდებული.

ზმნები: უყვარს, მოსწონს, აქვს, ჭამს, ჰქვია.

1. ივარაუდეთ, რა იქნება მთავარი თემა?

ა. სოფელი;
ბ. ცხოველები;
გ. ფრინველები.

2. დაასახელეთ, რომელი ცხოველების სახელები იცით?

დააკვირდით:





სად?	
შინ (სახლში)	გარეთ
შინ(ა)+ური=შინაური შინაური ცხოვრობს შინ (სახლში).	გარე~~თ~~+ური=გარე-~~ურ~~(ლ)ი=გარეული გარეული ცხოვრობს გარეთ (ტყეში...).



გარეული



შინაური

3. მონიშნეთ შესაბამისი უჯრა:

ცხოველები		შინაური - ცხოვრობს ადამიანებთან ერთად	გარეული - ცხოვრობს ადამიანებისგან შორს
			
			
			
			
			

			
			
			

ლექსიკა

4. დააკვირდით, წაიკითხეთ და დაიმახსოვრეთ:

		
კატა	ძროხა	ძაღლი

		
ღორი	ცხენი	კამეჩი
		
ცხვარი	ვირი	თხა

5. ჩაწერეთ ცხრილში შესაბამისი სიტყვა:






....






....

დაიმახსოვრეთ: ცხოველის შვილს ნაშიერი ჰქვია.

6. დააკავშირეთ ცხოველი თავის ნაშიერთან:

















ბატკანი



კნუტი



ლეკვი



თიკანი



კვიცი



ხბო



ბაჭია

7. მოუსმინეთ ვიდეოს და ჩაწერეთ წინადადებაში საჭირო სიტყვა:

1. ძროხის ნაშიერს ..... ჰქვია.

2. თხის ნაშიერს ..... ჰქვია.

3. ღორის ნაშიერს ..... ჰქვია.

4. ცხენის ნაშიერს ..... ჰქვია.

5. ცხვრის ნაშიერს ..... ჰქვია.

6. ვირის ნაშიერს ..... ჰქვია.

7. ძაღლის ნაშიერს ..... ჰქვია.

8. კურდღლის ნაშიერს ..... ჰქვია.

9. კამეჩის ნაშიერს ..... ჰქვია.

10. კატის ნაშიერს..... ჰქვია.

8. დააკვირდით, წაიკითხეთ და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება:



ბოსელი



თავლა



საღორე



ფარეხი

9. ჩასვით წინადადებაში გამოტოვებული სიტყვა:

1. ცხვრის სახლს ..... ჰქვია.

2. ძროხის სახლს ..... ჰქვია.

3. ცხენის სახლს ..... ჰქვია.

4. ღორის სახლს ..... ჰქვია.

10. დააკვირდით, წაიკითხეთ და შეასრულეთ შემდეგი სავარჯიშო:

		
ყური/ყურები	ულვაში/ულვაშები	კუდი

	
რქა/რქები	ფაფარი

11. ჩასვით წინადადებებში საჭირო სიტყვა:

კუდი ულვაშები ყური ფაფარი რქა.

ა) ცხენს აქვს ლამაზი ..... .

ბ) კურდღელს აქვს ორი ..... .

გ) კატას აქვს ერთი ..... .

დ) კატას აქვს ლამაზი ..... .

ე) ძაღლს აქვს ორი ..... .

ვ) ძროხას აქვს ორი ..... .

12. დააკვირდით, წაიკითხეთ და დაიმახსოვრეთ:

		
დიდი	საშუალო	პატარა

	
გრძელი	მოკლე

13. ჩასვით შესაბამისი სიტყვა:

კურდღელს აქვს ..... ყურები. (გრძელი/ მოკლე) კატას აქვს ..... ყურები. (გრძელი/ მოკლე) კატას აქვს ..... კუდი (გრძელი/მოკლე) კურდღელს აქვს ..... კუდი. (გრძელი/ მოკლე)

14. დააკავშირეთ:











ძვალი



ბალახი



სტაფილო



თევზი

15. ჩასვით სიტყვა გამოტოვებულ ადგილას:

რძე	სტაფილო	ბალახი	ხორცი	ძვალი	თევზი

1. კურდღლის საჭმელია ..... .

2. ძაღლის საჭმელია ..... და ..... .

3. ძროხის და ცხენის საჭმელია ..... .

4. კატის საჭმელია ..... და ..... .

წაიკითხეთ ტექსტი და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

შინაური ცხოველები

I ძაღლი, კატა, ცხენი, ძროხა, კამეჩი, ვირი, ცხვარი, თხა, კურდღელი და ღორი შინაური ცხოველები არიან. ცხენი, ძროხა და კამეჩი დიდი ზომის ცხოველები არიან, თხა და ცხვარი - საშუალო ზომისა, ძაღლი, კატა და კურდღელი პატარა ცხოველები არიან.

II ძროხას, კამეჩს, ცხვარსა და თხას რქები აქვთ, ცხენსა და ვირს ფაფარი აქვთ; ცხენს გრძელი ფაფარი აქვს. ვირის ფაფარი მოკლეა. კურდღელს გრძელი ყურები და მოკლე კუდი აქვს. კატას გრძელი კუდი და პატარა ყურები აქვს. ღორს მოკლე ფეხები აქვს.

III შინაური ცხოველები ადამიანებთან ცხოვრობენ. ძაღლს თავისი პატარა სახლი აქვს, ცხენი და ვირი ცხოვრობენ თავლაში, ძროხა და კამეჩი ბოსელში ცხოვრობენ; ღორი საღორეშია, ცხვარი და თხა ფარეხში ცხოვრობენ. კატას ადამიანებთან მოსწონს ყოფნა და თბილ ოთახში ცხოვრობს.

IV ცხოველის შვილს ნაშიერი ჰქვია. ცხენის ნაშიერი კვიცია, ძროხის ნაშიერს ხბო ჰქვია, ცხვრის ნაშიერს ჰქვია ბატკანი, თხას ჰყავს თიკანი, ღორს ჰყავს გოჭი. კამეჩის ნაშიერს ზაქი ჰქვია, ძაღლის ნაშიერი ლეკვია, კურდღელს ჰყავს ბაჭია, კატას - კნუტი, ვირის ნაშიერს ჩოჩორი ჰქვია.

V ცხენი, ძროხა, კამეჩი, ვირი, ცხვარი და თხა ბალახს ჭამენ, ძაღლს ძვალი უყვარს, კატას რძე და თევზი მოსწონს, კურდღელი სტაფილოს და კომბოსტოს ჭამს.

16. შემოხაზეთ სწორი პასუხი:

1. სად ცხოვრობენ შინაური ცხოველები?
ა. ტყეში;
ბ. ადამიანების სახლში;
გ. ადამიანებთან ახლოს.

2. ცხენი ცხოვრობს:
ა. ბოსელში;
ბ. თავლაში;
გ. საღორეში.

3. ცხენის ნაშიერს ქვია:
ა. ხბო;
ბ. ზაქი;
გ. კვიცი.

4. ფაფარი აქვს:
ა. ცხენს;
ბ. ძროხას;
გ. თხას.

5. კურდღლის კუდი არის:
ა. გრძელი;
ბ. საშუალო სიგრძის;
გ. მოკლე.

6. რქები არ აქვს:
ა. ძროხას;
ბ. ცხენს;
გ. კამეჩს.

7. გრძელი ყურები აქვს:
ა. ცხენს;
ბ. კატას;
გ. კურდღელს.

8. ძროხა ცხოვრობს:
ა. ფარეხში;
ბ. თავლაში;
გ. ბოსელში.

17. დააკავშირეთ აბზაცები სათაურებთან:

I აბზაცი	ა. რას ჭამენ შინაური ცხოველები
II აბზაცი	ბ. დიდი და პატარა შინაური ცხოველები
III აბზაცი	გ. შინაური ცხოველების ნაშიერები
IV აბზაცი	დ. შინაური ცხოველების გარეგნულ ნიშნები
V აბზაცი	ე. სად ცხოვრობენ შინაური ცხოველები

18. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. დაასახელეთ დიდი ზომის ცხოველები.
2. რომელ ცხოველებს აქვთ ფაფარი?
3. რას ჭამს კურდღელი?
4. რომელ ცხოველს უყვარს ძვალი?
5. რა ჰქვია კურდღლის ნაშიერს?
6. სად ცხოვრობს ცხვარი?
7. რომელი ცხოველის ნაშიერია ზაქი?
8. რომელ ცხოველს ჰყავს გოჭები?
9. რომელ ცხოველს აქვს გრძელი კუდი და პატარა ყურები?

19. ა) რომელია სწორი და არასწორი ინფორმაცია? მონიშნეთ შესაბამისი უჯრა:

	დიახ	არა
1. კამეჩს აქვს რქები.		
2. კურდღლის ნაშიერს ლეკვი ჰქვია.		
3. ძროხასა და კამეჩს აქვთ რქები.		
4. ცხვრის ნაშიერს თიკანი ჰქვია.		
5. კნუტი კატის ნაშიერია.		
6. კატა ჭამს თევზს.		
7. ცხენი ბალახს ჭამს.		
8. ვირს გრძელი ფაფარი აქვს.		
9. კურდღელს მოკლე ყურები აქვს.		

ბ) არასწორი ინფორმაცია გაასწორეთ:

1. .....

2. .....

3. .....

4. .....

დააკვირდით სიტყვების დაბოლოებას: ძაღლ-ის ნაშიერ-ს ლეკვ-ი ჰქვია.

ლეკვ-ი ძაღლ-ის ნაშიერ-ი-ა (ნაშიერ-ი არის)

გაიხსენეთ:

- რა? – (ის) თხა, კურდღელი
- რას? – (მას) თხას, კურდღელს

ვინ? – (ის) დედა, კაცი
ვის? – (მას) დედას, კაცს

მას აქვს ის. (ძაღლს აქვს სახლი.)
მას ჰყავს ის. (ძაღლს ჰყავს ლეკვი.)

(ნანას აქვს წიგნი.)
(ნანას ჰყავს ძაღლი).

მე მაქვს წიგნი. შენ გაქვს წიგნი. მას (დედას, ძმას...) აქვს წიგნი.	მე მყავს ძაღლი. შენ გყავს ძაღლი . მას (დედას, ძმას...) ჰყავს ძაღლი.

სიყვარული	მოწონება	ჭამა
მე მ-იყვარ-ს	მე მო-მ-წონ-ს	მე ვ-ჭამ
შენ გ-იყვარ-ს	შენ მო-გ-წონ-ს	შენ ჭამ
მას უყვარ-ს	მას მო-ს-წონ-ს	ის ჭამს
ჩვენ გვ-იყვარ-ს	ჩვენ მო-გვ-წონ-ს	ჩვენ ვ-ჭამ-თ
თქვენ გ-იყვარ-თ	თქვენ მო-გ-წონ-თ	თქვენ ჭამ-თ
მათ უყვარ-თ	მათ მო-ს-წონ-თ	ისინი ჭამ-ენ

20. გადაანაწილეთ სიტყვები სწორად:

ძაღლი ტელევიზორი ღორები გოჭები ძროხები წიგნები კატა
ცხენი თავლა მაგიდა ღორი ბავშვი ტელეფონი ცხვარი
რვეული ხბო კნუტი კვიცი ბოსელი

ჰყავს	აქვს

დააკვირდით და შეასრულეთ დავალება:

მე მომწონს ის (ვაშლი) შენ მოგწონს ის (ვაშლი) მას (ბიჭს) მოსწონს ის (ვაშლი)	მაგრამ:	მე ვჭამ მას (ვაშლს) შენ ჭამ მას (ვაშლს) ის (ბიჭი) ჭამს მას (ვაშლს)
მე მიყვარს ის (ვაშლი) შენ გიყვარს ის (ვაშლი) მას (ბიჭს) უყვარს ის (ვაშლი)		

21. ჩასვით შესაბამისი სიტყვა:

1. ..... უყვარს თევზი
2. ..... უყვარს ძვალი.
3. ..... უყვარს სტაფილო.
4. ..... უყვარს ბალახი.

1. ..... ჭამს თევზს.
2. ..... ჭამს ძვალს.
3. ..... ჭამს სტაფილოს.
4. ..... ჭამს ბალახს.

22. აირჩიეთ და ჩაწერეთ შესაბამისი ზმნა:

უყვართ	მოსწონს	ჰყავს	ჰქვია	უყვარს	ჰყავს	ჭამს

ნიმუში: გვანცას ბებია და ბაბუა ჰყავს.

1. გიას ეს წიგნი ..... .

2. ჩემი კურდღელი სტაფილოს ..... .

3. ბაბუას .....ცხენი, მას ..... ლამაზა.

4. გვანცას და გიას ..... კნუტები.

5. გვანცას ძალიან ..... სოფელი.

23. ჩაწერეთ სიტყვები სწორი ფორმით:

1. .... ჰყავს. (კატა / კნუტი)

2. .... ჭამს. (ძროხა / ბალახი)

3. .... და ..... უყვარს. (ძაღლი /ხორცი / ძვალი)

4. .... ჰყავს. (ცხენი / კვიცი)

5. .... და ..... უყვარს. (კატა / თაგვები / რძე)

6. .... მოსწონს. (კურდღელი / სტაფილო)

გაიხსენეთ: ზოგჯერ -ში, -ზე ან -თან ბოლოსართიანი სიტყვები ადგილს გამოხატავს და უპასუხებს კითხვაზე- სად? დააკვირდით წარმოების წესს:
წიგნი - წიგნ-ში / წიგნ-ზე / წიგნ-თან ხე - ხე-ზე / ხე-ში / ხე-ს-თან

24. წინადადებებში სიტყვებს შეურჩიეთ სწორი დაბოლოება (-ში / -ზე / -თან) და ჩაწერეთ:

1. საქათმეს..... არის საღორეც.

2. სახლ..... ორი მანქანა დგას.

3. ცხენი თავლა..... შევიდა.

4. ნანას ჩანთა..... აქვს რვეულები და წიგნები.

5. ეზო..... ერთი თეთრი კატა დადის.

6. ეკა პირველ სართულ..... ცხოვრობს.

7. მაიას ყვავილი აივან..... დგას.

8. კნუტი ოთახ..... თამაშობს.

9. წიგნი თარო..... დევს.

10. დედა წიგნს მაგიდა..... დებს.

25. ჩასვით დიალოგში გამოტოვებული სიტყვები:

მქვია გქვია ჰქვია
ვცხოვრობ ცხოვრობ ცხოვრობს
მომწონს მოგწონს მოსწონს
მიყვარს გიყვარს უყვარს
მყავს გყავს ჰყავს.

დიალოგი 1.

- შენ ვინ ხარ?
- მე სოფია ვარ. შენ რა ..... ?
- გამარჯობა, სოფია. მე ლია ..... .

- ეს შენი ძაღლია?
- დიახ, ჩემია.
- რა ..... ?
- მას რექსი ..... .

დიალოგი 2.

- გამარჯობა, ლია. შენ სად ..... ?
- მე თბილისში ..... , შენ?
- მე სოფელში ..... .
- სოფელში ცხოველები გყავთ?
- დიახ, ძროხა და ცხენი გვყავს.
- სად ..... თქვენი ცხოველები?
- ძროხა ბოსელში ..... , ცხენი - თავლაში.
- დიალოგი 3.
- სოფია, შენ ..... ცხოველები?
- დიახ, ...
- შენს ძმასაც ..... ცხოველები?
- კი, ძალიან.
- რომელი ცხოველი ..... ?
- მე ..... კატა.
- შენს ძმასაც ..... ცხოველი?
- დიახ, ჩემს ძმას ძაღლი ჰყავს, სახელად ჯეკა.

26. აირჩიეთ სწორი პასუხი:

1. ქეთის ჰყავს .....
ა. კატა ბ. ძაღლი გ. კურდღელი

2. დათოს ჰყავს .....
ა. ძაღლი ბ. თხა გ. კატა

3. ქეთის ძაღლს ჰქვია .....
ა. ჯეკა ბ. ჯამბო გ. ჯოლი

4. ქეთის ძაღლი არის .....
ა. ლამაზი და პატარა ბ. ლამაზი და დიდი გ. უშნო და დიდი

5. დათოს კატა არის .....
ა.შავი და ლამაზი ბ. თეთრი და პატარა გ. თეთრი და ლამაზი

27. დიალოგის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რომელი ცხოველი ჰყავს ქეთის?
2. რა ჰქვია ქეთის ძაღლს?
3. როგორია ქეთის ძაღლი?
4. სად ცხოვრობს ქეთის ძაღლი?
5. რომელი ცხოველი ჰყავს დათოს?
6. როგორია დათოს კატა?
7. სად ცხოვრობს დათოს კატა?

28. აღნიშნეთ სწორი (+) და არასწორი (-) ინფორმაცია:

წინადადება	სწორია +	არასწორია -
1. ქეთის ჰყავს თეთრი და ლამაზი კატა		
2. დათოს კატას აქვს თავისი სახლი.		
3. ქეთის ძაღლი ცხოვრობს სოფელში და აქვს სახლი.		
4. დათოს კატა არის დიდი და ლამაზი.		
5. ქეთის ჰყავს დიდი და ლამაზი ძაღლი.		
6. ქეთის ძაღლს ჯეკა ჰქვია.		

29. დაალაგეთ დიალოგი სწორი თანმიმდევრობით და გაითამაშეთ:

	-როგორი ლამაზი და დიდია. რა ჰქვია?
	-დიახ, დათო, ჩემი ძაღლია.
1	-ქეთი, ეს შენი ძაღლია?
	- არა, მე კატა მყავს.
	-თეთრი და ლამაზია. ჩვენთან ცხოვრობს სოფელში.
	- დიახ, სახლში. და შენი ძაღლი?
	- როგორია? სად ცხოვრობს?
	- ჯეკა. დათო, შენც გყავს ძაღლი?
	- ჩემი ძაღლიც ჩემთან, მაგრამ მას თავისი სახლი აქვს.
	-სახლში?
	-რა საინტერესოა.

30. შეკითხვების დახმარებით ისაუბრეთ ცხოველების შესახებ:





1. რომელ ცხოველებს ხედავთ სურათებზე?
2. როგორი ცხოველები არიან? შინაური თუ გარეული / დიდი, საშუალო თუ პატარა?
3. როგორია პირველ ფოტოზე გამოსახული ცხოველი?(აღწერეთ გარეგნობა)
4. როგორია მეორე ფოტოზე გამოსახული ცხოველი?(აღწერეთ გარეგნობა)
5. სად ცხოვრობენ ეს ცხოველები?
6. რა ჰქვიათ მათ ნაშიერებს?
7. რას ჭამენ ეს ცხოველები?

31. ისაუბრეთ, რომელი ცხოველი გიყვართ, რომელი ცხოველი გყავთ ოჯახში და როგორია ის, სად ცხოვრობს, რა ჭამს, რა უყვარს...

წერა

32. შეავსეთ დიაგრამა:



33. დაწერეთ პასუხები კითხვებზე:

1. რომელი შინაური ცხოველები იცი?

.....

2. რომელი შინაური ცხოველი გყავს?

.....

3. რა ჰქვია შენს შინაურ ცხოველს (ძაღლს, კატას...)?

.....

4. როგორია შენი შინაური ცხოველი (ძაღლი, კატა...)?

.....

5. სად ცხოვრობს ის? (ძაღლი, კატა...)

.....

34. გამოიყენეთ ზემოთ მოცემული პასუხები და დაწერეთ ტექსტი:

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

35. დაწერეთ ტექსტი სამი შინაური ცხოველის შესახებ ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში:

ცხენი არის შინაური ცხოველი. ის არის დიდი და ლამაზი. ის არის შავი, თეთრი და ყავისფერი. მას აქვს ოთხი ფეხი, ორი ყური, გრძელი კუდი და ლამაზი ფაფარი. ცხენის ნაშერს კვიცი ჰქვია.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

ლექსიკა: გარეული ცხოველები და ფრინველები.

გრამატიკული საკითხი: ზედსართავი სახელი-ანტონიმები; -იან ბოლოსართის გამოყენება.

ზმნა: ჰგავს (უღლება ახლანდელ დროში).

თემის გახსნისთვის

1. დააკვირდით სურათებს და წაიკითხეთ:



ბუ



მგელი



დათვი



არწივი



მერცხალი



მელა



ხოხობი



ლომი



ვეფხვი



ფარშავანგი



ჯიხვი



ყვავი



თუთიყუში



მაიმუნი



მტრედი



სირაქლემა



ნიანგი



სპილო



კუ



აქლემი

2. სურათზე მოცემული ცხოველები გაანაწილეთ ცხრილში ნიმუშის მიხედვით:

ცხოველები	**ფრინველები**
დათვი	არწივი

3. დააკვირდით სიტყვებს, გახაზეთ სწორი ვარიანტი და ჩაწერეთ:





1. თუთიყუშს აქვს ..... . (ფრთა/რქა)
2. ჯიხვს აქვს ..... . (რქა/ფრთა)
3. მტრედს აქვს ..... . (ნისკარტი/რქა)
4. ფარშავანგს აქვს ..... . (ფრთა/რქა)
5. დათვს აქვს ..... . (კუდი/ნისკარტი)
6. ბუს აქვს ..... . (რქა/ფრთა)

4. დააკვირდით პირველი დავალების ფოტოებს და გამოიცანით, რა არის:

1. ეს ფრინველი ცხოვრობს ტყეში. აქვს დიდი თავი და თვალები. .....
2. ეს ცხოველი ცხოვრობს ტყეში. არის ყავისფერი და უყვარს ბანანი. .....
3. ამ ფრინველს აქვს დიდი ტანი და პატარა თავი. .....
4. ამ ცხოველს აქვს ხორთუმი, დიდი ყურები და პატარა კუდი. .....
5. ის გაზაფხულის პირველი ფრინველია. .....

5. წაიკითხეთ ტექსტები და ამოწერეთ სიტყვები ნიმუშის მიხედვით:

	
სპილო არის დიდი ცხოველი. მას აქვს დიდი თავი, ფართო ყურები, მოკლე კისერი, მსხვილი ფეხები და გრძელი ხორთუმი.	ჟირაფს აქვს გრძელი კისერი, პატარა თავი, ვიწრო ყურები, წვრილი ფეხები და პატარა რქები.

ნიმუში: დიდი თავი

..... თავი

..... ყურები

..... კისერი

..... ფეხები

..... ხორთუმი

..... თავი

..... ყურები

..... კისერი

..... ფეხები

..... რქები

6. დააკავშირეთ საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები ერთმანეთთან:



7. მოცემული სიტყვებით (თავი, ფეხები, კისერი, ყურები, რქები, მოკლე, გრძელი, ფართო, ვიწრო, დიდი, პატარა, მსხვილი, წვრილი) შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: ირემს აქვს დიდი რქები.

1. .....

2. .....

3. .....

4. .....

5. .....

6. .....

7. .....

8. .....

კითხვა

8. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

ზოოპარკში

დღეს კვირაა და ზოოპარკში ბევრი ხალხია. მშობლები ბავშვებთან ერთად მოდიან ცხოველების სანახავად.

- დედა, ნახე ზოლიანი ცხენი! - ეუბნება ნიკა დედას.

- ჰგავს ცხენს, მაგრამ ეს ცხენი არ არის. ამ ცხოველს ზებრა ჰქვია და აფრიკაში ცხოვრობს. მას შავი და თეთრი ზოლები აქვს.

- კიდევ რომელი ცხოველები ცხოვრობენ აფრიკაში?

- აფრიკაში ცხოვრობენ ლომი, ვეფხვი, ჟირაფი, სპილო. ზოოპარკშიც ცხოვრობენ. ნახე, იმ ვოლიერში დიდი სპილოა. სპილოს მარცხნივ აქლემის გალიაა, დააკვირდი, აქლემს როგორი კუზი აქვს ზურგზე.

დედა და ნიკა სპილოს ვოლიერთან მიდიან. ნიკა უყურებს, როგორ სვამს სპილო

წყალს ხორთუმით.
- ნახე, სპილოს მარჯვნივ მაიმუნის გალიაა!
- რამდენი მაიმუნია! ისინი ხეებზე ცხოვრობენ და ბანანს ჭამენ?
- დიახ, მაიმუნები ხეებზე ცხოვრობენ და ძალიან უყვართ ბანანი. ჟირაფები კი ხის ფოთლებს ჭამენ.
- ჟირაფს გრძელი კისერი და ყავისფერი ლაქები აქვს.
- აქ ფრინველები არ არიან?
- ზოოპარკში ფრინველები გალიაში ცხოვრობენ. ნახე, მაიმუნების წინ ფარშავანგების გალიაა.
- როგორი ლამაზია! დედა, კიდევ მოვიდეთ აქ! - ამბობს ნიკა.
- აუცილებლად, შვილო, - იღიმის დედა.

1. სად არიან ნიკა და დედა?

2. რომელი ცხოველები არიან ზოოპარკში?

3. სად არის მაიმუნის გალია?

4. სად ცხოვრობენ სპილო, ლომი, ვეფხვი და ჟირაფი?

5. რომელი ფრინველი ნახა ნიკამ ზოოპარკში?

9. მონიშნეთ, სწორია (+) თუ არასწორი (-) წინადადებები:

	სწორი(+)	არასწორი(-)
1. მაიმუნები ცხოვრობენ ხეზე.		
2. ზოოპარკში ცოტა ხალხია.		
3. ჟირაფს აქვს წითელი ლაქები.		
4. სპილო წყალს ხორთუმით სვამს.		
5. ზებრა ჰგავს ცხენს.		

10. არასწორი (-) წინადადებები გადაწერეთ სწორად:

1. .....

2. .....

3. .....

11. წაიკითხეთ ტექსტები, დააკვირდით ფოტოებს და ნიმუშის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

ა	
ბ	
გ	
დ	
ე	
ვ	

1	ის აფრიკული ცხოველია. ის ძალიან ჰგავს ცხენს. მას აქვს შავი ან მუქი ყავისფერი ზოლები.
2	მას აქვს გრძელი, წვრილი და ძლიერი ფეხები, მოკლე კუდი, აქვს რქები და რქებს ყოველ წელს იცვლის.
3	ის ყველაზე დიდი ფრინველია. მას აქვს პატარა ფრთები და თავი, გრძელი ფეხები და კისერი. ის ცხოვრობს აფრიკასა და ავსტრალიაში.
4	ისიც ცხოვრობს აფრიკასა და აზიაში. მას აქვს გრძელი კისერი, პატარა თავი და დიდი თვალები, ზურგზე აქვს კუზი. ამიტომ მას კუზიანსაც უწოდებენ.
5	ეს ცხოველი ცხოვრობს წყალში. მას აქვს გრძელი ტანი, კუდი, დიდი თვალები, დიდი კბილები. არის მწვანე. ცხოვრობენ აფრიკაში, აზიასა და ამერიკაში.
6	ეს ავსტრალიური ცხოველია და მისი სიმბოლოა. მას აქვს გრძელი, ძლიერი უკანა ფეხები და პატარა წინა ფეხები. ტანზე ჩანთა აქვს. თავისი შვილი ჩანთაში ჰყავს. ის ჩანთიანი ცხოველია.

1	2	3	4	5	6
გ					
ზებრა					

გრამატიკა

12. წაიკითხეთ და გაიაზრეთ:





ზებრა ჰგავს ცხენს.

ზებრა და ცხენი ჰგვანან ერთმანეთს.

დააკვირდით:

მე ვგავარ დედას.
შენ ჰგავხარ მამას.
ის ჰგავს ბიძას.

ჩვენ ვგავართ მშობლებს.
თქვენ ჰგავხართ მშობლებს.
ისინი ჰგვანან მშობლებს.

ზებრა ჰგავს ცხენს.
(ის ჰგავს მას)

მაიმუნი ჰგავს ადამიანს.
(ის ჰგავს მას)

12. ა) ჩასვით ზმნა საჭირო ფორმით:

1. მე ..... ბებიას.

2. თქვენ ..... ჩემს მასწავლებელს.

3. ის ..... მამას.

4. შენ ..... დედას?

5. ისინი ..... მშობლებს.

6. ჩვენ ..... მეგობრებს.

7. ზებრა ძალიან ..... ცხენს.

8. ჩემი შვილი ..... მამას.

9. კავკასიელები ..... ერთმანეთს.

10. ყველა დღე ერთმანეთს ..... .

12. ბ) ჩასვით სიტყვა სწორი ფორმით:

1. ჩემი შვილი ჰგავს ..... . (მამა, მამას)

2. ზებრა ჰგავს ..... . (ცხენს,ცხენი)

3. მე ძალიან ვგავარ ..... . (ბებია, ბებიას)

4. ბიძაშვილები ჰგვანან ..... . (ბიძას, ბიძა)

5. ვეფხვი ჰგავს ..... . (კატა, კატას)

6. ალი არ ჰგავს ..... . (ელნური, ელნურს)

7. შენ ძალიან ჰგავხარ ..... . (ანაჰიტს, ანაჰიტი)

8. ნაირა და ნუნუ ჰგვანან ..... . (ბებია, ბებიას)

9. მე და ჩემი ძმა ვგავართ ..... . (დედას, დედა)

10. თქვენ ძალიან ჰგავხართ ..... . (ერთმანეთი, ერთმანეთს)

13. მოიფიქრეთ წინადადებები, გამოიყენეთ ზმნის ფორმები:

ვგავარ, ჰგავხარ, ჰგავს, ვგავართ, ჰგავხართ, ჰგვანან:

1. .....

2. .....

3. .....

4. .....

5. .....

6. .....

14. დააკვირდით:

ზოლი აქვს	ზოლიანი
კუზი აქვს	კუზიანი
რქა აქვს	რქიანი

დაიმახსოვრეთ:

- იან ბოლოსართი აღნიშნავს რაიმეს ქონას.

15. დააკვირდით მე-14 დავალებაში მოცემულ სიტყვებს და აწარმოეთ მსგავსად ახალი სიტყვები:

ლაქა ..... ფრთა .....

ნისკარტი ..... კუდი .....

ჩანთა .....

16. მოიფიქრეთ წინადადებები ახალი სიტყვების გამოყენებით:

1 .....

2. .....

3. .....

4. .....

5. .....

ლაპარაკი

17. გამოიყენეთ მოცემული ფრაზები, სიტყვები და ისაუბრეთ ჯიხვისა და სირაქლემას შესახებ:





ეს არის .....

ის ცხოვრობს .....

მას აქვს .....

ის ჰგავს .....

ვიწრო, მოკლე, მსხვილი, რქიანი, კუდი, ბოლო, წვრილი, გრძელი, დიდი, რქა...

18. დააკვირდით ფოტოს, მოიფიქრეთ და დაწერეთ ტექსტი „ზოოპარკში“ (შეგიძლიათ კიდევ ერთხელ გადაიკითხოთ ტექსტი „ზოოპარკში“ (დავალება 9):

გამოიყენეთ სიტყვები: წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ, გალიაში, ვოლიერში, ზოლიანი, რქებიანი, არის, აქვს, ჰგავს....



.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

ლექსიკა: ძვირი, იაფი, ძველი ახალი... კილოგრამი, გრამი.

გრამატიკული საკითხი: თავაზიანი ფორმები: უკაცრავად, დიდი მადლობა, თუ შეიძლება... რა ღირს?

ზმნები: ამიწონეთ, ყიდულობს, იყიდა, იყიდის... მიყვარს-გიყვარს-უყვარს.

თემის გახსნისთვის

1. ნახეთ ვიდეოჩანაწერი და მონიშნეთ, რის შესახებ არის ვიდეო:

ა) ბაზარი; ბ) მაღაზია; გ) სუპერმარკეტი.

2. დააკვირდით სურათებს და მიუწერეთ შესაბამისი სიტყვა:

მაღაზია სუპერმარკეტი ბაზარი







....

3. მონიშნეთ, რა ჩანს ვიდეორგოლში, რა არის სუპერმარკეტში:

ა) რძის პროდუქტები; ბ) ტანსაცმელი; გ) ბოსტნეული.

დააკვირდით და დაიმახსოვრეთ!	
სიტყვა	**განმარტება**
გამყიდველი / კონსულტანტი	ის, ვინც ყიდის პროდუქციას
მყიდველი / კლიენტი	ადამიანი, რომელიც ყიდულობს პროდუქციას
სალარო	ადგილი მაღაზიაში, სადაც იხდიან ფულს

4. დააკვირდით ხაზგასმულ სიტყვებს, მიუწერეთ, რომელი ფრაზა ვის ეკუთვნის, გამყიდველს თუ მყიდველს:

ა) თუ შეიძლება, ამიწონეთ სამი კილო პამიდორი. .....

ბ) რომელი პამიდორი აგიწონოთ, ვარდისფერი თუ წითელი? .....

5. ჩასვით დიალოგში გამოტოვებული სიტყვები:

აგიწონოთ რა ღირს კარტოფილი ფული ამიწონეთ

- უკაცრავად, ახალი კარტოფილი (1) ..... ?
- სამი კილო ხუთი ლარი ღირს.
- თუ შეიძლება, (2) ..... .
- რამდენი კილო (3) ..... ?
- სამი კილო.
- აი, თქვენი (4) ..... .
- ინებეთ (5) ..... , ხუთი ლარი.

გაეცანით ილუსტრირებულ ლექსიკონს:

ხილი



მსხალი



ვაშლი



ბალი



ფორთოხალი



ატამი

ბოსტნეული



კიტრი



პამიდორი



სტაფილო



კარტოფილი



კომბოსტო

სასმელი



ლიმონათი



წყალი



წვენი



ჩაი



ყავა



სვამს (წყალს)



ჭამს (პურს)

6. მიუწერეთ ფოტოს შესაბამისი სიტყვა:

სასმელი ხილი პროდუქტი ბოსტნეული






ა) ..... ბ) ..... გ) ..... დ) .....

7. წაიკითხეთ დიალოგი და დააკვირდით გამუქებულ სიტყვებს:

- დილა მშვიდობისა, დიანა! სად მიდიხარ?
- გამარჯობა, ნატა, სუპერმარკეტში მივდივარ, ხილი და ბოსტნეული **მინდა**.
- მეც სუპერმარკეტში მივდივარ, ჩემს ძმას ლიმონათი **უნდა**, მე ფორთოხლის წვენი მინდა, ლიმონათი არ **მიყვარს**. შენ **გიყვარს** ლიმონათი?
- მე მიყვარს ახალი ხილი. ჩემს დას ბოსტნეული **უყვარს**. ახლა ბებიაჩემია ჩვენთან, მას უყვარს ლიმონათი და მეც ვიყიდი.
- ახალი ხილი და ბოსტნეული ჩვენც **გვიყვარს**. ახლა არ **გვინდა**, გუშინ დედამ ბაზარში იყიდა.
- კი, ბაზარში იაფია ხილი და ბოსტნეული.
- კარგი, წავიდეთ.

8. მიუწერეთ პირის ნაცვალსახელებს შესაბამისი ზმნის ფორმა:

მინდა უყვარს გიყვარს უნდა მიყვარს გინდა

1. მე ....
2. შენ ....
3. მას ....

დააკვირდით ზმნის ფორმების ცხრილს:

ახლანდელი (აწმყო) დრო	მომავალი (მყოფადი) დრო	წარსული (წყვეტილი) დრო
მე ვჭამ (მას)	მე შევჭამ (მას)	მე შევჭამე (ის)
შენ ჭამ (მას)	შენ შეჭამ (მას)	შენ შეჭამე (ის)
ის ჭამს (მას)	ის შეჭამს (მას)	მან შეჭამა (ის)
ჩვენ ვჭამთ (მას)	ჩვენ შევჭამთ (მას)	ჩვენ შევჭამეთ (ის)
თქვენ ჭამთ (მას)	თქვენ შეჭამთ (მას)	თქვენ შეჭამეთ (ის)
ისინი ჭამენ (მას)	ისინი შეჭამენ (მას)	მათ შეჭამეს (ის)
მაგალითი: მე ვჭამ ხილს. შენ ჭამ ხილს? ის (ჩემი ძმა) ჭამს ხილს.	**მაგალითი:** მე შევჭამ ხილს. შენ შეჭამ ხილს? ის (ჩემი ძმა) შეჭამს ხილს.	**მაგალითი:** მე შევჭამე ხილი. შენ შეჭამე ხილი? მან (ჩემმა ძმამ) შეჭამა ხილი.

ახლანდელი (აწმყო) დრო	მომავალი (მყოფადი) დრო	წარსული (წყვეტილი) დრო
მე ვსვამ (მას)	მე დავლევ (მას)	მე დავლიე (ის)
შენ სვამ (მას)	შენ დალევ (მას)	შენ დალიე (ის)
ის სვამს (მას)	ის დალევს (მას)	მან დალია (ის)
ჩვენ ვსვამთ (მას)	ჩვენ დავლევთ (მას)	ჩვენ დავლიეთ (ის)
თქვენ სვამთ (მას)	თქვენ დალევთ (მას)	თქვენ დალიეთ (ის)
ისინი სვამენ (მას)	ისინი დალევენ (მას)	მათ დალიეს (ის)
მაგალითი: მე ვსვამ ჩაის. შენ სვამ ჩაის? ის (დედაჩემი) სვამს ჩაის.	**მაგალითი:** მე დავლევ ჩაის. შენ დალევ ჩაის? ის (დედაჩემი) დალევს ჩაის.	მაგალითი: მე დავლიე ჩაი. შენ დალიე ჩაი? მან (დედაჩემმა) დალია ჩაი.

9. ჩასვით ზმნების „ჭამს“, „სვამს“ სწორი ფორმები წინადადებაში:

ნიმუში: *ალექსი ..... წყალს.*
ალექსი სვამს წყალს.

1. ნინა ..... შოკოლადს.

2. ანამ ..... ცხელი რძე.

3. ბავშვებმა გუშინ საზამთრო ..... .

4. ხვალ მარიამი ..... კაკაოს.

5. საუზმეზე დედამ ..... ყავა.

6. ჩემმა დამ კაფეში ..... ჰამბურგერი.

7. დაბადების დღეზე მეგობრებმა ბევრი ლიმონათი ..... .

8. თქვენ რას ..... ყავას თუ ჩაის?

9. შენ ეს ხილი უკვე ..... ?

10. დღეს რომელ წვნიანს ..... ?

10. შეარჩიეთ ფრჩხილებში მოცემული სიტყვებიდან შესაბამისი და ჩაწერეთ:

ნიმუში: *ნაზი ჭამს ..... (კარაქს /კარაქი).*
ნაზი ჭამს კარაქს.

1. ..... დალია ცივი ყავა. (ლეილა/ლეილამ)

2. მამა ჭამს..... . (მწვადს/მწვადი).

3. ..... არ სვამს ჩაის. (ნოდარი/ნოდარს)

4. ხვალ ჩვენ..... დავლევთ. (ღვინო/ღვინოს)

5. ექსკურსიაზე..... ხილს და ნამცხვარს შეჭამენ. (ბავშვებს/ბავშვები)

6. ..... ტორტი არ შეჭამა. (კატო/კატომ)

7. მანანა ყოველ დილით სვამს ცივ..... . (რძეს/რძე)

8. ჩემი მეგობარი არ ჭამს..... . (ბოსტნეულს/ბოსტნეული)

9. ..... არ დალია ალკოჰოლი (თამაზმა/თამაზს).

10. იაპონელები ჭამენ ზღვის ..... . (პროდუქტებს/პროდუქტი)

დააკვირდით თავაზიან ფორმებს და დაიმახსოვრეთ!

თავაზიანი ფორმა	განმარტება
მობრძანდით	მოდი
გნებავთ	გინდა
მიირთვით	ჭამე
ინებეთ	აიღე

11. წაიკითხეთ დიალოგი წყვილში, დააკვირდით გამუქებულ სიტყვებს, მოძებნეთ ცხრილში მათი მნიშვნელობები:

- გამარჯობა, რძის პროდუქტები გაქვთ?
- დიახ, მობრძანდით! რომელი პროდუქტები გნებავთ?
- ახალია? რძე, კარაქი და ყველი მინდა.
- დიახ, ყველაფერი ახალია. რომელი ყველი გნებავთ?
- ნახევარი კილო იმერული ყველი და ნახევარი კილო სულგუნი, ჩემი შვილები იმერულ ყველს არ ჭამენ. აი, ეს ნაჭერი მომეცით.
- ახლავე აგიწონით. 600 გრამია იმერული ყველი, გნებავთ?
- დიახ, ვიყიდი. რამდენი ლარის არის?
- იმერული ყველი 7 ლარის არის, სულგუნი - 11 ლარის.
- ორი ლიტრი რძე და 300 გრამი კარაქიც მომეცით.
- აი, ინებეთ. სულ 35 ლარის არის.
- გმადლობთ. აი, აიღეთ ფული.
- გემრიელად მიირთვით! ნახვამდის!

12. დიალოგის მიხედვით მონიშნეთ სწორი წინადადებები, არასწორი წინადადებები გაასწორეთ და გადაწერეთ:

1. კლიენტი ყიდულობს კარაქს და მაწონს. .....

2. გამყიდველი ეხმარება კლიენტს. .....

3. გამყიდველმა აწონა 18 ლარის ყველი. .....

4. სუპერმარკეტში ძველი რძის პროდუქტებია. .....

5. კლიენტმა ნახევარი კილო კარაქი იყიდა. .....

6. კლიენტის შვილებს უყვართ სულგუნი. .....

ა) .....

ბ) .....

გ) .....

კითხვა

13. წაიკითხეთ ტექსტი:

სუპერმარკეტი

სუპერმარკეტი დიდი მაღაზიაა. აქ არის პროდუქტი, სასმელი, ხილი, ბოსტნეული, საოჯახო და ჰიგიენის ნივთები. სუპერმარკეტში ბევრი პროდუქტია: ხორცი, თევზი, სოსისი, კვერცხი, რძის პროდუქტები: მაწონი, ყველი, კარაქი, რძე... აქ არის ხილი და ბოსტნეული, ბევრი სასმელი: ლიმონათი, წვენი, ჩაი, ყავა. ხილი და ბოსტნეული ყოველთვის ახალია. ძველ პროდუქტს სუპერმარკეტში არ ყიდიან. ყველა პროდუქტს თავისი ადგილი აქვს.

სუპერმარკეტში მუშაობენ კონსულტანტები. ისინი ეხმარებიან კლიენტებს, რა პროდუქტი უნდათ, სად არის ეს პროდუქტი და როგორია. აქ მუშაობენ მოლარეები. მოლარე სალაროსთან ზის და ფულს იღებს. ერთ სუპერმარკეტში არის 3-4 სალარო. კლიენტები თანხას იხდიან ბარათით ან ნაღდი ფულით.

ახლა სუპერმარკეტი ყველა ქალაქში ბევრია. ერთ ქუჩაზე 2-3 სუპერმარკეტია. ყოველდღე არის აქცია სხვადასხვა პროდუქტზე, ამ დროს პროდუქტი იაფია. აქ ბევრი ადამიანი დადის. ისინი ყიდულობენ ახალ, იაფ პროდუქტებს.

14. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რა არის სუპერმარკეტი ?

.....

2. რას ყიდიან სუპერმარკეტში ?

.....

3. როგორ პროდუქტს ყიდიან სუპერმარკეტში?

.....

4. ვინ მუშაობს სუპერმარკეტში?

.....

5. რას აკეთებს მოლარე?

.....

6. რას ნიშნავს აქცია?

.....

7. როგორ იხდიან კლიენტები თანხას?

.....

8. როდის არის პროდუქტი იაფი სუპერმარკეტში?

.....

9. რამდენი მოლარე მუშაობს ერთ სუპერმარკეტში?

.....

10. ამოწერეთ ტექსტიდან რძის პროდუქტები.

.....

გრამატიკა

დააკვირდით ზმნის ფორმებს!

ახლანდელი დრო	მომავალი დრო	წარსული დრო
მე ვყიდულობ მას	მე ვიყიდი მას	მე ვიყიდე ის
შენ ყიდულობ მას	შენ იყიდი მას	შენ იყიდე ის
ის ყიდულობ მას	ის იყიდის მას	მან იყიდა ის
ჩვენ ვყიდულობთ მას	ჩვენ ვიყიდით მას	ჩვენ ვიყიდეთ ის
თქვენ ყიდულობთ მას	თქვენ იყიდით მას	თქვენ იყიდეთ ის
ისინი ყიდულობენ მას	ისინი იყიდიან მას	მათ იყიდეს ის
მე ვყიდულობ წყალს	მე ვიყიდი ხილს.	მე ვიყიდე ბოსტნეული.
შენ ყიდულობ წვენს	შენ რას იყიდი?	შენ იყიდე ტორტი?
ის ყიდულობს ლიმონათს.	ანა იყიდის კარტოფილს.	ანამ იყიდა ხილი.

15. აირჩიეთ სწორი ფორმა და ჩაწერეთ:

1. ვაჟა სოფლის მაღაზიაში ყიდულობს ..... . (ყველი/ყველს)

2. ლინდა იყიდის ..... . (ხილი/ხილს)

3. ჩვენ გუშინ ვიყიდეთ გემრიელი ..... . (ტორტი/ტორტს)

4. დედაჩემი სუპერმარკეტში ყიდულობს ..... . (კვერცხი/კვერცხს)

5. შენ სად ყიდულობ ..... ? (ყავა/ყავას)

6. ისინი სუპერმარკეტში ყიდულობენ ..... . (პროდუქტი / პროდუქტს)

7. მეგობრებმა გუშინ იყიდეს ბევრი ..... . (სასმელი/სასმელს)

8. ბელა ახალ სუპერმარკეტში იყიდის ..... . (მაწონი/მაწონს)

9. მე ხვალ ვიყიდი ..... . (ხორცი/ხორცს)

10. თქვენ როდის ყიდულობთ ..... ? (თევზი/თევზს)

16. ჩასვით ზმნის შესაფერისი ფორმა:

1. მე ხვალ ..... ბანანს. (ვყიდულობ /ვიყიდე / ვიყიდი)

2. გუშინ ბაზარში მამამ ..... კიტრი და პამიდორი. (ყიდულობს / იყიდა / იყიდის)

3. მეგობრები ქალაქის სუპერმარკეტში ..... სასმელს. (ყიდულობენ / იყიდეს / იყიდიან)

4. ხვალ ..... ვაშლს და მსხალს? (ყიდულობთ / იყიდეთ / იყიდით)

5. სად ..... ბოსტნეულს? (ყიდულობთ / იყიდეთ / იყიდით)

6. ირინამ დღეს ..... კომბოსტო და ბადრიჯანი. (ყიდულობ / იყიდა / იყიდის)

7. ზაზა ხვალ ..... ლუდს და ღვინოს. (ყიდულობს / იყიდა / იყიდის)

8. ნანას მეგობრები ..... შოკოლადის ტორტს. (ყიდულობენ / იყიდეს / იყიდიან)

9. გოგონებმა ..... გემრიელი ნამცხვარი და ისაუზმეს. (ყიდულობენ /იყიდეს / იყიდიან)

10. როდის ..... ეს წვენი? (ყიდულობ / იყიდე / იყიდი)

17. გადაწერე წინადადებები წარსული დროის ფორმით:

ნიმუში: *დიანა ყიდულობს ნამცხვარს.*
დიანამ იყიდა ნამცხვარი.

1. თეონა ყიდულობს ატამს.

.....

2. ბავშვები ყიდულობენ ლიმონათს.

.....

3. დღეს ვიყიდი ახალ მაწონს.

.....

4. მარინე, სად ყიდულობ რძეს?

.....

5. ქალბატონო გალინა, თქვენ იყიდით ყველს?

.....

6. მამა ყიდულობს სასმელებს.

.....

7. ახალ ხილს და ბოსტნეულს ბაზარში ვყიდულობ.

.....

8. ბებია და ბაბუა სოფლის მაღაზიაში ყიდულობენ პროდუქტს.

.....

9. ჩემი მეგობარი ყიდულობს წიგნს.

.....

10. ჩვენ ვიყიდით ახალ მანქანას.

.....

18. ცხრილზე დაკვირვებით აწარმოეთ ახალი ფორმები:

ნიმუში: *ბანანი - ბანანის ტორტი*

1. თუთა .....

2. კომბოსტო .....

3. კარტოფილი .....

4. ანანასი .....

5. ყავა .....

19. მიღებული ფრაზებით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: *მარიამს უყვარს ბანანის ტორტი.*

1.....

2.....

3. .....

4. .....

5. .....

20. დააკვირდით ცხრილს და აწარმოეთ სიტყვის შესაბამისი ფორმა:

ატამი	ატმის
მსხალი	მსხლის
შაქარი	შაქრის

1. ბალი .....

2. ფორთოხალი .....

3. ჭარხალი .....

4. ბადრიჯანი .....

5. ალუბალი .....

21. ჩასვით დიალოგში სიტყვები შესაბამისი ფორმით:

ხილს ბლის დილა მშვიდობისა კომპოტს ატმის

- დილა მშვიდობისა, დედა.

(1) .... , მარიამ.

- სად მიდიხარ?

- ბაზარში, (2) ..... ვიყიდი, კომპოტს გავაკეთებ.

- რის (3) ..... გააკეთებ, (4) .....? მიყვარს თეთრი ბალი.

- კი, შვილო, თეთრი ბლის და (5)..... კომპოტს გავაკეთებ, ატამიც კარგია.

- მეც დაგეხმარები.

- კარგი.

დააკვირდით ცხრილს!

1 კილოგრამი /კილო / კგ = 1000 გრამი	**1 ლარი = 100 თეთრი**
ნახევარი კილო = 500 გრამი	0.5 ლარი = 50 თეთრი
1 გრამი = 1 გრ	1,5 ლარი = ლარ-ნახევარი
1,5 კილოგრამი /კილო = კილო-ნახევარი	2,5 ლარი = ორ-ნახევარი ლარი
2, 5 კილო = ორ-ნახევარი კილო	

22. სურათების მიხედვით დაწერეთ, რა ღირს?





















ნიმუში: *პამიდორი ღირს ლარი და თოთხმეტი თეთრი.*

1. მაკარონი .....

2. ზეთი .....

3. ყავა .....

4. კარტოფილი .....

5. ატამი .....

6. რძე .....

7. ლიმონათი .....

8. წვენი .....

9. ვაშლი .....

მოსმენა

23. მოუსმინეთ ვიდეორეკლამას და მონიშნეთ სწორი პასუხები:



1. რისი რეკლამაა?
ა) მაღაზიის; ბ) აქციის; გ) თეატრის.

2. რომელ სუპერმარკეტშია აქცია?
ა) ნიკორა; ბ) ნიკალა; გ) მაგნიტი.

3. რამდენი დღე გრძელდება აქცია?
ა) 2 დღე; ბ) 4 დღე; გ) 2 კვირა.

4. რომელ პროდუქტზე არ არის აქცია?
ა) შაქარზე; ბ) ზეთზე; გ) სოსისზე.

5. როდის არის აქცია?
ა) გაზაფხულზე; ბ) ზაფხულში; გ) შემოდგომაზე.

6. რა ღირს სოსისი?
ა) ხუთი ლარი და ოთხმოცდაცხრამეტი თეთრი;
ბ) ხუთი ლარი და ოთხმოცდაცხრა თეთრი;
გ) ოთხი ლარი და ოთხმოცდაცხრამეტი თეთრი;

7. რომელი პროდუქტია ყველაზე ძვირი?
ა) ყველი; ბ) სოსისი; გ) ნაყინი.

8. როგორი სუპერმარკეტია ნიკორა?
ა) სუფთა; ბ) სანდო; გ) სასიამოვნო.

9. რა არის ლუდი?
ა) ბოსტნეული; ბ) სასმელი; გ) ხილი.

10. რომელი პროდუქტის ფასია ხუთი ლარი და ორმოცდაცხრა თეთრი?
ა) კექსის; ბ) ლუდის; გ) ნაყინის.

24. მოუსმინეთ დიალოგს და დანომრეთ თანმიმდევრობით:

ფრაზა	განმარტება
გამომართვით ფული	აიღეთ ფული
რამდენი კილო გამოვიდა?	რამდენი კილოა?

ა) - ეს რბილი ნაჭერია და ძვირი ღირს.
ბ) - თხუთმეტი ლარი.
გ) -1- თუ შეიძლება, ხორცის ეს ნაჭერი ამიწონეთ.
დ) - ხურდა ინებეთ.
ე) - ამიწონეთ, თუ შეიძლება. რამდენი კილო გამოვა?
ვ) - რა ღირს?
ზ) - რამდენი მოგართვათ?
თ) - ორ კილო-ნახევარს იწონის, გნებავთ?
ი) - დიდი მადლობა. გამომართვით ფული!
კ) - დიახ, თუ შეიძლება.
ლ) - ინებეთ!
მ) - ცოტას დაგიკლებთ. ოცდათხუთმეტი ლარი მომეცით.

25. მოუსმინეთ დიალოგს და ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

იაფად ლარ-ნახევრად რა ღირს? გმადლობ სასწორი კილო მიირთვით ამიწონეთ ინებეთ ზუსტად

- (1) ..... ეს ვაშლი?
- ორ ლარად მოგართმევთ.
- ძალიან ძვირია, (2) ..... არ მომცემთ?
- რამდენი (3) ..... გინდათ?
- სამი კილო.
- აიღეთ (4) ..... .
- (5) ..... თუ შეიძლება.
- ინებეთ, (6) ..... სამი კილოა.
- თქვენ ზუსტი (7) ..... გაქვთ?
- კი, შეგიძლიათ შეამოწმოთ.
- (8) ..... , ფული.
- გემრიელად (9) ..... .
- (10) ..... .

ლაპარაკი

26. უპასუხეთ კითხვებს და ისაუბრეთ:

1. სად ყიდულობთ ხილს და ბოსტნეულს?
2. ვინ ყიდულობს პროდუქტს თქვენს ოჯახში?
3. არის ბაზარი თქვენს ქალაქში / სოფელში?
4. რა პროდუქტები არის თქვენს ბაზარში?
5. საიდან მოაქვთ პროდუქტი?
6. სუპერმარკეტი არის თქვენს სოფელში/ ქალაქში?
7. როგორი სუპერმარკეტია?
8. რას ყიდულობთ ბაზარში?
9. რას ყიდულობთ სუპერმარკეტში?
10. ბაზრის პროდუქტი მოგწონს თუ სუპერმარკეტის? რატომ?

27. გამოიყენეთ ცხრილის მონაცემები და გაითამაშეთ დიალოგები მეწყვილესთან ერთად:

	იყიდეთ	რაოდენობა	რა ღირს?	თქვენ გაქვთ თანხა.....
სიტუაცია 1	კომბოსტო კვერცხი მაიონეზი	1 პატარა თავი 10 ცალი 200 გრ.	1 კგ. - 1,20 ლარი 1ც - 0, 35 თეთრი 3,70 ლარი	10 ლარი
სიტუაცია 2	ფორთოხალი ბანანი მსხალი	2 კგ. 1,5 კგ. 1 კგ.	4, 00 ლარი 3, 50 ლარი 4, 50 ლარი	20 ლარი
სიტუაცია 3	ლიმონათი პური ყავა	2 ცალი (1-1 ლიტრი) 2 ცალი 300 გრ.	1 ცალი - 1,80 ლარი 1 ცალი - 1,30 ლარი 7, 50 ლარი	15 ლარი

წერა

28. მოცემული ზმნის ფორმების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ვიყიდე .....

გინდა.....

იყიდე.....

იყიდის .....

მიყვარს .....

ვყიდულობ .....

უნდა.....

ვიყიდი .....

ყიდულობ .....

ყიდულობს .....

29. მოცემული ფრაზების გამოყენებით დაწერეთ ორი დიალოგი:

ბაზარში

- ..... მინდა; - რა ღირს? - რა გნებავთ? - გამარჯობა!

- გმადლობთ. - ..... მომეცით; - რამდენი კილოგრამი გინდათ?

- ინებეთ თქვენი ხილი. - გემრიელად მიირთვით; - აი, აიღეთ ფული;

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

სუპერმარკეტში

- დილა მშვიდობისა! - გამარჯობა, რით შემიძლია დაგეხმაროთ?
- .....გაქვთ? - რა ღირს? - .....1 კილო ღირს .... ლარი და ..... თეთრი;
- თუ შეიძლება, ... კილო ამიწონეთ. - დიახ, აგიწონით. - აი, ინებეთ!
- ფული სალაროში გადაიხადეთ. - გმადლობთ. - არაფრის. ნახვამდის.
- კარგად ბრძანდებოდეთ.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

ლექსიკა: სვიტერი, შარვალი, ქურთუკი, პიჯაკი, კაბა, ქვედაბოლო, ჟაკეტი, პერანგი, პალტო, კლასიკური, სპორტული, ფასდაკლება, იზომებს, ყიდულობს...

გრამატიკული საკითხი: თანდებულები (-თვის, -კენ, -იდან, -მდე), ნათესაობითი ბრუნვა.

თემის გახსნისთვის



დააკვირდით ფოტოს, გამოთქვით თქვენი ვარაუდი, რის შესახებ იქნება თემა?

ა) ტანსაცმლის შესახებ;
ბ) ფეხსაცმლის შესახებ;
გ) ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, აქსესუარების შესახებ.

1. გაეცანით ილუსტრირებულ ლექსიკონს და დაიმახსოვრეთ:

ტანსაცმელი



ქურთუკი



შარვალი



პიჯაკი



ქვედაბოლო



ჟაკეტი



კაბა



სვიტერი



პალტო



მაისური



პერანგი

2. დაუკავშირეთ ფოტოები სიტყვებს:

ფეხსაცმელი







ჩუსტი　　კედი　　ბოტასი　　სანდალი　　ჩექმა

ქუდები






კეპი　　თბილი ქუდი　　შლაპა　　მზის ქუდი

აქსესუარები



ხელჩანთა



ყელსაბამი



ქოლგა



საათი



ქამარი



ბეჭედი



სათვალე

3. გაეცანით ლექსიკას, დააჯგუფეთ ცხრილში:

			
შორტი	ჰუდი	ჟილეტი	წინდები

ქურთუკი, პერანგი, შორტი, წინდები, ქამარი, ხელთათმანი, კედი, ბოტასი, კაბა, შარვალი, ქოლგა, საათი, ჩექმა, მაისური, შლაპა, ჰუდი, ქვედაბოლო, მზის ქუდი, სვიტერი, ჟაკეტი, ჟილეტი, ჩუსტი, სანდალი, სათვალე, კეპი, ხელჩანთა.

ტანსაცმელი	ფეხსაცმელი	ქუდი	აქსესუარები

კითხვა

4. წაიკითხეთ ინფორმაცია მეგობრების შესახებ და მონიშნეთ ცხრილში:



ლიზა: მე მომწონს ფერადი პიჯაკები და ფეხსაცმელი, ძალიან მომწონს მოკლე კაბები, არ მომწონს სპორტული ტანსაცმელი და ჯინსები. ჩემი საყვარელი ფერებია თეთრი და ყვითელი. მაქვს ღია ფერის კლასიკური კაბები და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი.

ევა: მე მომწონს მუქი ფერის ტანსაცმელი, მაქვს ფერადი ჯინსები და

პერანგები. არ მომწონს ღია ფერის კაბები. ძალიან მომწონს მწვანე ფერი, ჩემი საყვარელი ტანსაცმელია მწვანე კლასიკური შარვალი და პერანგი, მომწონს ბოტასები და კედები.

ადა: მე ძალიან მომწონს კლასიკური კაბები, პიჯაკები და კლასიკური ფეხსაცმელი. ჩემი საყვარელი ფერია ვარდისფერი. არ მომწონს შარვალი, სპორტული ქურთუკები და ბოტასები. მიყვარს აქსესუარები.

	ლიზა	**ევა**	**ადა**
1. მოსწონს კლასიკური ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.			
2. ძალიან მოსწონს მწვანე ფერი.			
3. არ მოსწონს სპორტული ტანსაცმელი და ჯინსები.			
4. მოსწონს ფერადი პიჯაკები და ფეხსაცმელი.			
5. მოსწონს ბოტასები და კედები.			
6. უყვარს აქსესუარები.			
7. უყვარს ვარდისფერი.			
8. არ მოსწონს ღია ფერის კაბები.			
9. მოსწონს მუქი ფერის ტანსაცმელი.			
10. აქვს ღია ფერის კაბები.			

5. დაწერეთ, როგორი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და აქსესუარი მოგწონთ:

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

წაიკითხეთ ტექსტი:

თბილისი მოლი

საქართველოს დედაქალაქში და დიდ ქალაქებში არის დიდი სავაჭრო ცენტრები, მოლები. აქ იყიდება ყველაფერი, არის კინოთეატრები, რესტორნები და დიდი სუპერმარკეტები.

თბილისის სავაჭრო ცენტრი „თბილისი მოლი“ არის ოთხსართულიანი შენობა. ამ შენობაში შეიძლება ვაჭრობა, დასვენება და გართობა. აქ იყიდება სხვადასხვა ბრენდის ტანსაცმელი.

„თბილისი მოლში“ არის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, აქსესუარები **ქალებისთვის, კაცებისთვის და ბავშვებისთვის**. ხშირად აქვთ ფასდაკლება და აქციები.

ახალგაზრდებს ძალიან უყვართ „თბილისი მოლში“ წასვლა და ვაჭრობა. ისინი სიამოვნებით ყიდულობ**ენ** ხარისხიან ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს. ისვენებენ, კაფეში სვამენ ყავას ან ჩაის და ბედნიერები მიდი**ან** სახლის**კენ**. აქ არის უფასო ინტერნეტიც.

„თბილისი მოლი“ მუშაობს ყოველდღე, დილის 10:00 საათ**იდან** საღამოს 10:00 საათა**მდე**.

6. დაუსვით შეკითხვები მოცემულ წინადადებებში ხაზგასმულ სიტყვებს:

ნიმუში: *„თბილისი მოლი“ არის საქართველოს დედაქალაქში.*
კითხვა: სად არის „თბილისი მოლი“?

1. შენობა არის ოთხსართულიანი.

კითხვა: .....

2. აქ იყიდება სხვადასხვა ბრენდის ტანსაცმელი.

კითხვა: .....

3. „თბილისი მოლში“ არის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, აქსესუარები ქალებისთვის, კაცებისთვის და ბავშვებისთვის.

კითხვა:.....

4. ახალგაზრდები ყიდულობენ ხარისხიან ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს.

კითხვა: .....

5. „თბილისი მოლი“ მუშაობს ყოველდღე, დილის 10:00 საათიდან საღამოს 10:00 საათამდე.

კითხვა: .....

7. მონიშნეთ სწორი პასუხი:

1. „თბილისი მოლი“ მდებარეობს:
ა) ქუთაისში; ბ) თბილისში; გ) ბათუმში.

2. „თბილისი მოლი“ არის:
ა) ერთსართულიანი; ბ) სამსართულიანი; გ) ოთხსართულიანი.

3. „თბილისი მოლში“ იყიდება:
ა) მხოლოდ ქართული ტანსაცმელი;
ბ) სხვადასხვა ბრენდის ტანსაცმელი;
გ) არაბრენდული ტანსაცმელი .

4. მოლში ფასდაკლება აქვთ:
ა) ხშირად; ბ) ზოგჯერ; გ) იშვიათად.

5. მოლი მუშაობს:
ა) შაბათ-კვირას; ბ) კვირაში ექვსი დღეს; გ) მთელი კვირა.

8. დაასრულეთ ფრაზები:

1. საქართველოს დიდ ქალაქებში არის ..... სავაჭრო ..... .

2. „თბილისი მოლი“ არის ..... შენობა.

3. მოლებში არის ..... , ... და დიდი ჰიპერმარკეტები.

4. „თბილისი მოლში“ შეიძლება ..... , დასვენება და ..... .

5. „თბილისი მოლის“ კაფეებში ახალგაზრდები ..... ყავას ან ჩაის.

6. „თბილისი მოლში“ არის უფასო ..... .

9. დაუკავშირეთ ერთმანეთს მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები:

მყიდველი	კონსულტანტი
უნდა	ფასდაკლება
ყიდვა	სურვილი აქვს
დაბალი ფასები	კლიენტი
გამყიდველი	შეძენა

მაცვია + ტანსაცმელი/ფეხსაცმელი
მახურავს + ქუდი
მიკეთია + აქსესუარი
მიჭირავს (ხელში) + აქსესუარი

მე მაცვია	მე მახურავს	მე მიკეთია	მე მიჭირავს
შენ გაცვია	შენ გახურავს	შენ გიკეთია	შენ გიჭირავს
მას აცვია	მას ახურავს	მას უკეთია	მას უჭირავს
ჩვენ გვაცვია	ჩვენ გვახურავს	ჩვენ გვიკეთია	ჩვენ გვიჭირავს
თქვენ გაცვიათ	თქვენ გახურავთ	თქვენ გიკეთიათ	თქვენ გიჭირავთ
მათ აცვიათ	მათ ახურავთ	მათ უკეთიათ	მათ უჭირავთ

10. ჩასვით წინადადებებში სწორი ვარიანტი:

1. ჩვენ გვაცვია ..... (ქუდი / ყელსაბამი / ჟაკეტი)

2. შენ გიკეთია ..... (ქუდი / ყელსაბამი / ჟაკეტი)

3. მე მახურავს ..... (ქუდი / ყელსაბამი / ჟაკეტი)

4. მათ ახურავთ ..... (კეპები / სათვალე / კედები)

5. მე მიკეთია ..... (კეპები / სათვალე / კედები)

6. მათ აცვიათ ..... (ჩექმები / ხელჩანთები / მზის ქუდი)

11. ჩასვით წინადადებებში ნაცვალსახელები: მე/შენ/მას/ჩვენ/თქვენ/მათ

1. ..... გიკეთიათ საათი.

2. ..... ახურავს შლაპა.

3. ..... მიჭირავს ქოლგა.

4. ..... გვაცვია სვიტერი.

5. ..... აცვია კაბა.

6. ..... გახურავს მზის ქუდი.

7. ..... მიკეთია ბეჭედი.

8. ..... უჭირავს ხელჩანთა.

დააკვირდით მოცემულ ფორმებს და მაგალითებს:

ნაცვალსახელი - ფორმა, რომელიც იხმარება სახელის ნაცვლად.

ჩვენებითი > ეს, ის, ამ, იმ

ეს ოთახი - ამ ოთახში;
ის მაღაზია - იმ მაღაზიაში.

მაგალითები:

• **ეს** საათი გუშინ ვიყიდე; **ამ** საათს დაბადების დღეზე გავიკეთებ;
• **ის** გოგო ბათუმში სწავლობს; **იმ** გოგოს ძალიან მოსწონს ბათუმი.

12. შეარჩიეთ და ჩასვით სწორი ფორმა: ეს / ამ

1. ..... ბიჭი არის ჩემი მეგობარი; ..... ბიჭს ჰქვია გიორგი.
2. ..... გოგონა სხვა სკოლაში სწავლობს.
3. ..... ბავშვი ბევრს კითხულობს; ..... ბავშვს უყვარს ხელოვნება.
4. მე მომწონს ..... დიდი სახლი.
5. მასწავლებელი: ..... დავალებას ყველა დაწერთ!
6. ..... ახალი ტელეფონი გიორგისია.
7. ..... მაღაზია ყოველდღე მუშაობს, ... მაღაზიაში არ არის ფასდაკლება.
8. ..... ტორტს შოკოლადის გემო აქვს.

თანდებული	თანდებულის ფუნქცია	ბრუნვა	მაგალითი
-თვის	დანიშნულება	ნათესაობითი ... < ის	ქალებისთვის კაცებისთვის ბავშვებისთვის
-კენ	მიმართულება	ნათესაობითი ... < ის	სახლისკენ
-დან	დაწყებითობა, დრო გამოსვლითობა, ადგილი	მოქმედებითი ... < ით	ორშაბათიდან ... < ით-გან (იდან) სახლიდან ... < ით-გან (იდან)
-მდე	მიღწევითობა, დრო, ადგილი	ვითარებითი ... < ად	ორშაბათამდე სახლამდე

13. ჩასვით წინადადებებში თანდებულები სწორად:

1. გუშინ შვილის..... საინტერესო წიგნი ვიყიდე. (თვის/ დან/ კენ)

2. სუპერმარკეტის..... კარგი გზა გააკეთეს. (დან/ კენ/ თვის)

3. ჩემი და 9:00 საათი..... უკვე სითი მოლშია. (მდე/ კენ/ დან)

4. ეს მაღაზია საღამოს ათ საათა..... მუშაობს. მერე იკეტება. (მდე/ დან/ თვის)

5. ეს ავტობუსი ქალაქის..... მიდის. (მდე/კენ/ თვის)

6. მამამ ბავშვების..... ცირკის ბილეთები იყიდა. (თვის/დან/კენ)

7. გიოს მამა სამსახურა..... ფეხით დადის. (თვის/დან/მდე)

8. ლია დაბადების დღის..... ახალ კაბას იზომებს. (კენ/თვის/დან)

9. ნიკა სახლი..... დილის რვა საათზე გადის. (მდე/დან/თვის)

10. პატარა ლელა სკოლის..... ფერად ფანქრებს ყიდულობს. (დან/თვის/მდე)

საწყისი ფორმა - ყიდვა	
ახლანდელი დრო (აწმყო)	წარსული დრო (წყვეტილი)
მე ვყიდულობ შენ ყიდულობ ის ყიდულობს ჩვენ ვყიდულობთ თქვენ ყიდულობთ ისინი ყიდულობენ	მე ვიყიდე შენ იყიდე მან იყიდა ჩვენ ვიყიდეთ თქვენ იყიდეთ მათ იყიდეს

საწყისი ფორმა - მოზომება	
ახლანდელი დრო (აწმყო)	წარსული დრო (წყვეტილი)
მე ვიზომებ შენ იზომებ ის იზომებს ჩვენ ვიზომებთ თქვენ იზომებთ ისინი იზომებენ	მე მოვიზომე შენ მოიზომე მან მოიზომა ჩვენ მოვიზომეთ თქვენ მოიზომეთ მათ მოიზომეს

14. გამოიყენეთ ცხრილები და წინადადებებში სწორად ჩასვით ზმნები:

1. ყოველ ზაფხულს ჩვენ ..... ბევრ ნაყინს.

2. მამიდამ ..... თბილი პალტო .

3. ლანა, როდის ..... ეს ლამაზი ჰუდი ?

4. წითელკაბიანი ქალბატონი სარკის წინ დგას და ახალ ჟაკეტს ..... .

5. ლამია ყოველთვის ..... ხარისხიან ტანსაცმელს.

6. სად ..... თქვენი შვილის ქურთუკი ?

7. ლიამ გასახდელ ოთახში წითელი სვიტერი ..... და ძალიან მოეწონა.

8. მე შარშან ..... ძალიან ლამაზი კაბა.

9. როცა საშოპინგოდ ვარ, ყოველთვის ჯერ ტანსაცმელს ..... და მერე ..... .

10. მეგობრებმა გასახდელ ოთახში ფერადი კაბები ..... .

11. მეზობლები მარკეტში პროდუქტს ..... .

12. ისინი მაღაზიაში არიან და გემრიელ შოკოლადებს ..... .

13. ქეთი გასახდელ ოთახში შედის და სვიტერს ..... .

კვეცა - ფუძის ბოლოდან ხმოვნის ჩამოშორება ხმოვანი -ა,ე		
სიტყვა	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
მზე	მზ-ის	.....
კაბა	კაბ-ის	კაბ-ებ-ი
ჩანთა	ჩანთ-ის	ჩანთებ-ი

15. ჩასვით სწორი ფორმა:

1. ეს ქალბატონი ..... გამყიდველია. (მაღაზიის/მაღაზიას)

2. ძალიან მომწონს ამ ..... ფორმა. (შლაპას/შლაპის)

3. ამ ..... ფასი მაინტერესებს. (ქოლგას/ქოლგის)

4. ცივა. ძალიან მინდა ..... ყიდვა. (ჩექმის/ჩექმას)

5. იმ ყვავილებიანი ..... მოდელი ძალიან ლამაზია. (კაბას/კაბის)

16. მოცემული სიტყვები გადაიყვანეთ მრავლობით რიცხვში:

ნიმუში: *ეს მაღალყელიანი ჩექმები ძალიან მომწონს (ჩექმა).*

1. ახალ წელს ..... ღია არ არის . (მაღაზია)

2. ნათიას გარდერობში ლამაზ-ლამაზი ..... აქვს. (კაბა)

3. პეპის ფერადი ..... აცვია. (წინდა)

4. ამ მაღაზიაში ტყავის და ნაჭრის ..... იყიდება. (ჩანთა)

5. ძალიან მომწონს ..... .(შლაპა)

6. ლალის შავი ..... აცვია. (ჩექმა)

			
გასახდელი ოთახი	სალარო	ბარათით გადახდა	ნაღდით გადახდა

17. წაიკითხეთ დიალოგი:



- გამარჯობა, დღეს გაქვთ ფასდაკლება?
- დიახ, გვაქვს. რომელი ტანსაცმელი გაინტერესებთ?
- მინდა კლასიკური კაბა ვიყიდო.
- მობრძანდით, აქ ნახეთ!
- ეს კაბა რა ღირს? ზომები გაქვთ?
- დიახ, დღეს მივიღეთ, ყველა ზომა არის. 150 ლარი ღირს.
- მწვანე ფერის გაქვთ? ჩემი საყვარელი ფერის, 44 ზომა მინდა.
- ინებეთ, მოიზომეთ!
- მადლობა, ჩემი ზომაა. შავი პიჯაკიც მინდა ვიყიდო.
- პიჯაკები მესამე სართულზეა.
- აი, ამ შავი ფერის პიჯაკს მოვიზომებ.
- ძალიან კარგი ხარისხია. ძვირიც არაა.
- სად არის გასახდელი ოთახი?
- აი, იქ არის გასახდელი ოთახი.
- ის ლურჯი პიჯაკი რა ღირს?
- 120 ლარი.
- კარგი, ორივეს ვყიდულობ.
- ნაღდით იხდით, თუ ბარათით?
- ბარათით.
- დიდი მადლობა!
- ნახვამდის!

18. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. სად საუბრობენ კონსულტანტი და კლიენტი?

.....

2.რას ყიდულობს კლიენტი?

.....

3. საიდან ჩანს, რომ ამ მაღაზიაში ტანსაცმელი იაფია?

.....

4. რომელია კლიენტის საყვარელი ფერი?

.....

5. რა ზომის კაბა უნდა მას?

.....

6. რა ღირს კაბა? პიჯაკი?

.....

კ) რომელ სართულზეა გასახდელი ოთახი?

.....

ლ) სად იზომებს ტანსაცმელს კლიენტი?

.....

მ) სად იხდის ფულს კლიენტი?

.....

ნ) კლიენტი კაცია თუ ქალი, საიდან ჩანს?

.....

ო) რომელი თავაზიანი ფორმებია გამოყენებული დიალოგში?

.....

19. დააკვირდით ფოტოს, ჩასვით გამოტოვებულ ადგილებში მოცემული სიტყვები/ფრაზები და გაითამაშეთ დიალოგი:

ანიტა და კონსულტანტი



სალარო	რით დაგეხმაროთ	ქურთუკი	ზომა	ლარი

ანიტა: - გამარჯობა!

კონსულტანტი: - გამარჯობა, ...?

ანიტა: - ეს ქურთუკი მომწონს, რა ღირს?

კონსულტანტი: - 115 ..... .

ანიტა: - ფასდაკლება გაქვთ?

კონსულტანტი: - არა, დღეს არ გვაქვს ფასდაკლება.

ანიტა: - წითელი ფერი მინდა, L ..... .

კონსულტანტი: - 5 წუთი დამელოდეთ, მოგიტანთ.

ანიტა: - კარგი.

კონსულტანტი: - აი, თქვენი ..... , თუ ბარათით გადაიხდით, საჩუქარს მიიღებთ.

ანიტა: - ლამაზია, ძალიან მომწონს, ბარათით გადავიხდი.

კონსულტანტი: - აი, ...იქით არის, კარგად ბრძანდებოდეთ!

ანიტა: - დიდი მადლობა, ნახვამდის!

20. მოცემული ზმნების გამოყენებით დაწერეთ ტექსტი:

იზომებს	გადის	მოსწონს	ყიდულობს	ეკითხება	მიდის	იხდის

ანიტა მაღაზიაში

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

21. დაწერეთ, თქვენ რას აკეთებთ, როცა ტანსაცმლის ყიდვა გინდათ.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

11

პროფესიები

ლექსიკა: პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვები.

გრამატიკული საკითხი: პირის ნაცვალსახელები; პირის ნიშნები; -ში, -ზე თანდებულების გამოყენება; -ელი, -სტი მაწარმოებლების გამოყენება.

ზმნები: ვარ, ვცხოვრობ, ვმუშაობ, ვაშენებ, ვკითხულობ, დავიბადე, გავხდი, მქვია, მიყვარს.



თემის გახსნისთვის

1. რომელი პროფესიები იცით? შეავსეთ სქემა:



2. დააკვირდით ილუსტრაციებს და ცხრილში მონიშნეთ, რომლი პროფესიის ადამიანები ამოიცანით:










პროფესიები	✓	პროფესიები	✓
ექიმი		მშენებელი	
პოლიციელი		მასწავლებელი	
სტილისტი		არქიტექტორი	
ჟურნალისტი		ბალერინა	
მზარეული		დამლაგებელი	
მხატვარი		კოსმონავტი	
პილოტი		მძღოლი	

3. დაწერეთ, რომელი პროფესიის ადამიანებს ხედავთ ილუსტრაციებზე:

			
.....	.....	.....	.....

			
.....	.....	.....	.....

ვიდეო

საჩვენებელი ეპიზოდები:

2:17-დან - 3:09-მდე
3:26-დან - 4:31-მდე
4:57-დან - 5:27-მდე
6:16-დან - 7:12-მდე

4. ა) უხმოდ უყურეთ ვიდოჩანაწერს და დაასახელეთ, რომელი პროფესიის ადამიანები დაინახეთ ეკრანზე:

ბ) მოისმინეთ ვიდეოჩანაწერი და ცხრილის პირველ სვეტში თანმიმდევრობით ჩაწერეთ ის პროფესიები, რომლებიც მოისმინეთ:

ვინ	დააკავშირე	რას აკეთებს
		ამზადებს საჭმელს.
		ემსახურება სტუმრებს.
		დაფრინავს კოსმოსში.
		ასწავლის ბავშვებს.
		ბურთით თამაშობს.
		მართავს თვითმფრინავს.
		მღერის.
		მართავს გემს.
		ართობს ბავშვებს.

გ) პროფესიები დააკავშირეთ საქმიანობებთან და გადმოწერეთ მთლიანი წინადადება:

1. .....

2. .....

3. .....

4. .....

5. .....

6. .....

7. .....

8. .....

9. .....

5. ა) კიდევ ერთხელ მოისმინეთ ვიდეოჩანაწერი. წინადადებებში საჭირო ადგილას ჩაწერეთ პროფესიები:

1. ..... მუშაობს რესტორანში.

2. ..... მუშაობს სკოლაში.

3. ..... მუშაობს ცირკში.

4. ..... მუშაობს გემზე.

5. ..... მუშაობს ავიაკომპანიაში.

ბ) მოცემული სიტყვებით შეადგინეთ წინადადებები და ჩაწერეთ:

პროფესია (ვინ?): დამლაგებელი, ექიმი, ჟურნალისტი, ბალერინა, სტილისტი, პოლიციელი.

სამუშაო ადგილი (სად მუშაობს?): დასუფთავების კომპანია, სილამაზის სალონი, პოლიცია, ტელევიზია, პოლიკლინიკა, ოპერა.

ნიმუში: *დამლაგებელი მუშაობს დასუფთავების კომპანიაში.*

1. .....

2. .....

3. .....

4. .....

5. .....

6. .....

6. ტექსტში ჩასვით გამოტოვებული სიტყვები და წაიკითხეთ:

პროფესია ექიმი კოსმონავტი სტილისტი მასწავლებელი
მხატვარი პოლიციელი ჟურნალისტი მშენებელი ბალერინა
მზარეული არქიტექტორი

ყველა ..... საინტერესოა. გიყვარს გემრიელი საჭმელები? მოგწონს ცაში ფრენა? შენი ჰობია ხატვა? ოცნებობ კოსმოსში მოგზაურობაზე? მაშინ იცოდე: ..... კოსმოსში დაფრინავს; .... ლამაზ სურათებს ხატავს; ..... პაციენტებს კურნავს; ..... ბავშვებს ასწავლის; ..... . წესრიგს იცავს; ..... თმებს ჭრის; ..... . ოპერაში ცეკვავს; ..... გემრიელ საჭმელებს ამზადებს; ... . ინტერვიუს წერს; ..... სახლებს, ხიდებს, კონსტრუქციებს აპროექტებს, ... კი აშენებს.
შენ რომელი პროფესია მოგწონს? - აირჩიე!

7. ა) დააკავშირეთ პროფესიები და ზმნები:

ექიმი	ცეკვავს
სტილისტი	აშენებს
მასწავლებელი	აპროექტებს
მხატვარი	კურნავს
მშენებელი	ამზადებს
ბალერინა	ჭრის თმას
მზარეული	ასწავლის
არქიტექტორი	ხატავს

ბ) დაკავშირებული სიტყვები გადაწერეთ თანმიმდევრობით:

1. .....
2. .....
3. .....
4. .....
5. .....
6. .....
7. .....
8. .....

8. დაასრულეთ პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვები დაბოლოებებით:

- ელი; -სტი.

მშენებ..... ; ჟურნალი.....; სტილი..... ; მასწავლებ..... ;

პოლიცი..... ; დამლაგებ..... ;

9. დააკვირდით და ნიმუშის მიხედვით შეავსეთ დიალოგები:

ნიმუში:

*- ვინ გინდა **გახდე**?*
*- მე მინდა **გავხდე** მზარეული.*
- სად მუშაობს მზარეული?
*- მზარეული მუშაობს რესტორან**ში**.*

1. დიალოგი:

- ვინ გინდა .....?

- მე მინდა ..... ჟურნალისტი.

- სად ..... ?

- ჟურნალ..... მუშაობს ტელევიზია..... , რადიო..... ან გაზეთ..... .

2. დიალოგი:

- ვინ .....?

- მე .....მასწავლებ..... .

- .....?

- ..... .

კითხვა

10. წაიკითხეთ ტექსტი და გაიაზრეთ, დააკვირდით ახალ სიტყვებს:

მე და ჩემი ინტერესები

გამარჯობა! მე კაროლინა მქვია. ახლა იაპონიაში ვცხოვრობ, მაგრამ იაპონელი არ ვარ. 26 წლის წინ კიევში დავიბადე და, რა თქმა უნდა, უკრაინელი ვარ. იაპონიაში 2 წლის წინ ჩამოვედი. ტოკიოში ვცხოვრობ. აქ დიდ სამშენებლო კომპანიაში ვმუშაობ. მე პროფესიით არქიტექტორი ვარ. ჩვენი კომპანია ხიდებს და ცათამბჯენებს აშენებს. კომპანიის ოფისი ჩვენი დაპროექტებული და აშენებული ცათამბჯენის მე-100 სართულზე მდებარეობს.

რა თქმა უნდა, ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია. მე ყოველთვის არქიტექტორობა არ მინდოდა. როცა პატარა ვიყავი, ძალიან მინდოდა ნაყინის გამყიდველობა. მერე ხატვა შემიყვარდა, მაგრამ მხატვარი ვერ გავხდი. ერთხელ ბებიამ მითხრა:

- კაროლინა, ძვირფასო, ექიმი გახდი, ექიმობა ძალიან კარგი პროფესიაა.
- რატომ, ბებო? - ვკითხე მე.
- იმიტომ, რომ მე ახლა ყველაზე მეტად ექიმის დახმარება მჭირდება. - მითხრა ბებომ.

ვერც ექიმი გავხდი. მე-6 კლასში მასწავლებელმა კოსმოსზე საინტერესო ამბები წაიკითხა. ძალიან მომეწონა ინფორმაციები კოსმოსზე და დავიწყე ფიქრი კოსმონავტობაზე. შემდეგ მინდოდა ჟურნალისტობაც და მასწავლებლობაც, მაგრამ საბოლოოდ არქიტექტორი გავხდი.

ჩემი ინტერესები არსად წასულა. კოსმოსზე ახლაც ვკითხულობ და ჩემი ჰობია ხატვა.

შენ ვინ ხარ, რა პროფესიის ხარ და რა გიყვარს?



ცათამბჯენი



დახმარება



დავიწყე ფიქრი

11. ა) მონიშნეთ სწორი და არასწორი ინფორმაცია:

ინფორმაცია ტექსტიდან	**+/-**
1. კაროლინა ახლა კიევში ცხოვრობს.	
2. კაროლინა არ არის იაპონელი, ის უკრაინელია.	
3. კაროლინა იაპონიაში 26 წლის წინ ჩავიდა.	
4. კაროლინა პროფესიით არქიტექტორია და სამშენებლო კომპანიაში მუშაობს.	
5. მათი კომპანია გზებს და ხიდებს აშენებს.	-
6. ბებიას უნდოდა, რომ კაროლინა ექიმი გამხდარიყო.	
7. კაროლინას ძალიან უყვარს თავისი პროფესია.	
8. კაროლინას უყვარს ხატვა და მისი ჰობია კოსმონავტობა.	

ბ) გაასწორეთ შეცდომები და დაწერეთ სწორი ინფორმაცია:

1.....

2. .....

3. .....

4. .....

12. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. სად დაიბადა კაროლინა?
2. სადაურია ის?
3. რამდენი წლისაა კაროლინა?
4. რამდენი წელია, რაც ტოკიოში ცხოვრობს?
5. სად მუშაობს კაროლინა?
6. ვინ არის ის პროფესიით?
7. ჩამოთვალეთ, რა პროფესიები მოსწონდა ბავშვობაში კაროლინას?
8. რა პროფესიის არჩევა იყო ბებიას სურვილი?
9. ვინ უამბო კაროლინას საინტერესო ამბები კოსმოსზე?
10. რა არის კაროლინას ჰობი?

გრამატიკა

13. ა) დააკვირდით და შეავსეთ ნიმუშის მიხედვით:

პირის ნაცვლსა-ხელები	ყოფნა	ცხოვრება	მუშაობა	შენება	კითხვა
მე	**ვარ**	ვ-ცხოვრობ			
შენ	**ხარ**	ცხოვრობ			
ის	**არის**	ცხოვრობ-ს			
ჩვენ	**ვართ**	ვ-ცხოვრობ-თ			
თქვენ	**ხართ**	ცხოვრობ-თ			
ისინი	**არიან**	ცხოვრობ-ენ			

ბ) წინადადებებში სწორი ფორმით ჩასვით ზმნები:

1. ჩვენ ერთი კვირაა, რაც აქ ..... , თქვენ დიდი ხანია აქ ..... ? (ცხოვრება)

2. დედაჩემი სკოლაში ..... , დედაშენი სად ..... ? (მუშაობა)

3. რომელი კომპანია ..... ამ ქალაქში კორპუსებს? (შენება)

4. ახლა საინტერესო წიგნს ..... . (კითხვა)

5. ბავშვები ინტერესით ..... სხვადასხვა ინფორმაციას კოსმოსზე. (კითხვა)

6. თქვენ სოფელში პატარა სახლს ..... . (შენება)

7. იმ სახლში ჩემი კარგი მეგობარი ..... , აქ კი ჩემი ნათესავები ..... . (ცხოვრება)

8. ჩვენც ძალიან ბევრს ..... , ისინიც ბევრს ..... . (მუშაობა)

9. სად ..... ჩვენი უცხოელი მეგობრები? (ყოფნა)

10. აი, თქვენ უკვე საქართველოში ..... . (ყოფნა)

გ) ცხრილში მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

1. .....

2. .....

3. .....

4. .....

5. .....

6. .....

7. .....

8. .....

14. ა) დააკვირდით:

პირის ნაცვალსახელები	დაბადება	გახდომა
მე	და-ვ-იბად-ე	გა-ვ-ხდ-ი
შენ	და-იბად-ე	გა-ხდ-ი
ის	და-იბად-ა	გა-ხდ-ა
ჩვენ	და-ვ-იბადე-თ	გა-ვ-ხდი-თ
თქვენ	და-იბადე-თ	გა-ხდი-თ
ისინი	და-იბად-ნენ	გა-ხდ-ნენ

ბ) წინდადებები შეავსეთ პირის ნაცვალსახელებით ან ზმნებით:

დაბადება

1. შენ სად ..... ?

2. ..... საქართველოში დავიბადეთ.

3. თქვენ რომელ წელს ..... ?

4. ..... წინა საუკუნეში დავიბადე.

5. ის ..... ზამთარში.

6. ..... ძალიან საინტერესო ეპოქაში დაიბადნენ.

გახდომა

1. მე ორ წელიწადში პირველი კატეგორიის მძღოლი ..... .

2. ისინი წარმატებული სპორტსმენები ..... .

3. თქვენ როდის ..... ტელეჟურნალისტი?

4. ..... კომპანიის წარმომადგენლები გავხდით ამ კონფერენციაზე.

5. გილოცავ, ... ჩვენი კომპანიის სახე გახდი.

6. ..... გახდა მუსიკალური კონკურსის გამარჯვებული.

გ) შეადგინეთ წინადადებები ცხრილში მოცემული ნიმუშების მიხედვით:

1. .....
2. .....
3. .....
4. .....
5. .....
6. .....
7. .....
8. .....

15. ა) დააკვირდით და შეავსეთ ნიმუშის მიხედვით:

მე	**მქვია**	მ-ი-ყვარს	მინდა
შენ	**გქვია**	გ-ი-ყვარს	
მას	**ჰქვია**	უ-ყვარს	
ჩვენ	**გვქვია**	გვ-ი-ყვარს	
თქვენ	**გქვიათ**	გ-ი-ყვარ-თ	
მათ	**ჰქვიათ**	უ-ყვარ-თ	

ბ) შეავსეთ წინადადებები საჭირო ზმნებით ან პირის ნაცვალსახელებით:

1. **ჩვენ** ..... წიგნების კითხვა.
2. ..... **უნდათ** ახალი საავადმყოფოს აშენება.
3. ..... **უყვარს** ჟურნალისტის პროფესია.

4. **თქვენ** ..... დიზაინერები გამოხვიდეთ.

5. **მას** ..... ექიმის პროფესია, მაგრამ უნდა მასწავლებელი გახდეს.

6. **მე** ..... მზარეულის პროფესია, ... რა პროფესია **გიყვარს**?

7. **მათ** ..... ახალი პროფესიის დაუფლება.

8. ..... **გინდა** კოსმონავტობა?

გ) შეადგინეთ წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით:

1. .....

2. .....

3. .....

4. .....

5. .....

6. .....

7. .....

8. .....

16. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები სწორი ფორმით:

1. კაროლინა იაპონიაში ..... . (ვცხოვრობ)

2. კაროლინა 26 წლის წინ კიევში ..... .(დავიბადე).

3. ის ტოკიოში დიდ სამშენებლო კომპანიაში ..... .(ვმუშაობ)

4. მას ძალიან ..... არქიტექტორის პროფესია . (მიყვარს)

5. კაროლინას ძალიან ..... ინფორმაციები კოსმოსზე. (მომეწონა)

6. მან ..... ფიქრი კოსმონავტობაზე. (დავიწყე)

7. კაროლინა საბოლოოდ არქიტექტორი ..... . (გავხდი)

8. ბავშვობაში კაროლინას ძალიან ..... ნაყინის გამყიდველობა. (მინდოდა)

17. ა) ნაწყვეტი ტექსტიდან გადაიყვანეთ მესამე პირში და ისე ჩაწერეთ:

გამარჯობა! მე კაროლინა მქვია. ახლა იაპონიაში ვცხოვრობ, მაგრამ იაპონელი არ ვარ. 26 წლის წინ კიევში დავიბადე და, რა თქმა უნდა, უკრაინელი ვარ. იაპონიაში 2 წლის წინ ჩამოვედი. ტოკიოში ვცხოვრობ. აქ დიდ სამშენებლო კომპანიაში ვმუშაობ. მე პროფესიით არქიტექტორი ვარ.

მას კაროლინა ჰქვია. .....

.....

.....

.....

.....

.....

ბ) ნიმუშის მიხედვით დასვით შეკითხვები და უპასუხეთ დიალოგის ფორმატში. შეკითხვები ჩაწერეთ პასუხების წინ.

- რა ჰქვია მას?	- მას კაროლინა ჰქვია.
- .....?	- ის ახლა იაპონიაში ცხოვრობს.
- .....?	- ის კიევში დაიბადა.
- .....?	- ის დიდ სამშენებლო კომპანიაში მუშაობს.
- .....?	- ის არის არქიტექტორი.

ლაპარაკი

18. კაროლინას ისტორიის მიხედვით ისაუბრეთ თქვენი პიროვნების და პროფესიის შესახებ, გამოიყენეთ ეს შეკითხვები:

- ვინ ხარ?
- რამდენი წლის წინ დაიბადე და სად?
- სადაური ხარ? სად მუშაობ?
- ვინ ხარ პროფესიით?
- რას აკეთებ?
- როცა პატარა იყავი, ვინ გიდოდა გამხდარიყავი?
- რა არის შენი ჰობი?
- როგორია შენი პროფესია?

წერა

19. თქვენ ისაუბრეთ საკუთარ პროფესიაზე. საუბარი ჩაწერეთ ტექსტად:

ჩემი პროფესია

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

ლექსიკა: საქართველოს გეოგრაფიული ადგილების აღმნიშვნელი სიტყვები; კომპასი და კომპასის მხარეები; ამინდის გამომხატველი სიტყვები.

გრამატიკული საკითხი: რიგობითი რიცხვითი სახელი; სიტყვათწარმოება - ორცნებიანი კომპოზიტები; -ში, -ზე თანდებულები; ანტონიმები.

ზმნები: ცხელა, ცივა, თბილა, გრილა, მდებარეობს.



„ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო -
ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო...“
დუტუ მეგრელი

თემის გახსნისთვის

1. ა) იპოვეთ ევროპის რუკაზე საქართველო:



ბ) იპოვეთ საქართველოს მეზობელი ქვეყნები და დაასახელეთ.

2. დააკვირდით ილუსტრაციას და წაიკითხეთ ინფორმაცია:



ეს არის კომპასი. კომპასი არის ინსტრუმენტი, რომელიც მოგზაურებს და მეზღვაურებს აჩვენებს დედამიწის მხარეებს.

პირველი კომპასი დაამზადეს ჩინეთში 2000 წლის წინ. ევროპაში მას მეთორმეტე საუკუნიდან იყენებენ. კომპასზე მოცემულია მხარეები:

1. **ა** - აღმოსავლეთი
2. **დ** - დასავლეთი
3. **ჩ** - ჩრდილოეთი
4. **ს** - სამხრეთი
5. **ჩ ა** - ჩრდილო-აღმოსავლეთი
6. **ჩ დ** - ჩრდილო-დასავლეთი
7. **ს ა** - სამხრეთ-აღმოსავლეთი
8. **ს დ** - სამხრეთ-დასავლეთი

3. დააკვირდით ილუსტრაციას და სქემაზე დაწერეთ მხარეები:



4. წაიკითხეთ და გაიაზრეთ:

რიცხვითი სახელი

რაოდენობითი რიცხვითი სახელები (რამდენი?): 1 (ერთი); 2 (ორი); 10 (ათი); 17 (ჩვიდმეტი); ბევრი; ცოტა...

რიგობითი რიცხვითი სახელები: (მერამდენე?)

სიტყვა	რიცხვი	სიტყვა	რიცხვი
პირველი	1-ელი	მეცხრამეტე	მე-19
მეორე	მე-2	მეოცე	მე-20
მესამე	მე-3	ოცდამეერთე	21-ე
მეოთხე	მე-4	ოცდამეორე	22-ე
მეხუთე	მე-5	ოცდამესამე	23-ე
მეექვსე	მე-6	ოცდამეოთხე	24-ე
მეშვიდე	მე-7	ოცდამეხუთე	25-ე
მერვე	მე-8	ოცდამეექვსე	26-ე
მეცხრე	მე-9	ოცდამეშვიდე	27-ე
მეათე	მე-10	ოცდამერვე	28-ე
მეთერთმეტე	მე-11	ოცდამეცხრე	29-ე
მეთორმეტე	მე-12	ოცდამეათე	30-ე
მეცამეტე	მე-13	ოცდამეთერთმეტე	31-ე
მეთოთხმეტე	მე-14	ოცდამეთოთხმეტე	34-ე
მეთხუთმეტე	მე-15	ოცდამეცხრამეტე	39-ე
მეთექვსმეტე	მე-16	მეორმოცე	მე-40
მეჩვიდმეტე	მე-17	ორმოცდამეხუთე	45-ე
მეთვრამეტე	მე-18	ორმოცდამეექვსე	46-ე

5. ა) მოცემულ ტექსტში სიტყვიერად ჩაწერილი რიგობითი რიცხვითი სახელები შეცვალეთ რიცხვებით და ისე გადაწერეთ:

პირველი კომპასი დაამზადეს ჩინეთში 2000 წლის წინ. ევროპაში მას **მეთორმეტე** საუკუნიდან იყენებენ.

.....

.....

ბ) ამ ტექსტიდან ამოწერეთ ყველა რიცხვითი სახელი და დაუსვით შეკითხვა:

.....

.....

.....

.....

.....

6. შეავსეთ ცხრილი ნიმუშის მიხედვით:

მეხუთე		ორმოცდამეთექვსმეტე	**56-ე**
მერვე	**მე-8**	მესამოცე	
მეათე		სამოცდამეათე	
მეოცე		სამოცდამეთერთმეტე	
ოცდამეშვიდე		მეოთხმოცე	
ოცდამეათე		ოთხმოცდამეცამეტე	
ორმოცდამეათე		მეასე	

7. დააკვირდით სიტყვებს და ნიმუშის მიხედვით ჩაწერეთ ახალი სიტყვები:

მრავალი რიცხვი	**მრავალრიცხოვანი**
მრავალი ერი	
მრავალი ფერი	
ერთი ფერი	
მრავალი საუკუნე	
მრავალი წელი	

8. ა) გაიაზრეთ სიტყვების მნიშვნელობები:

მრავალი - ბევრი
მშრალი ჰავა - ქარიანი და მზიანი ადგილების ჰავა
ვენახი - ყურძნის ბაღი
ზვრები - ყურძნის დიდი ბაღები



მყინვარები



მდინარე





მწვერვალები



ეს ეკლესია მდებარეობს მთაზე



ეს მეჩეთი მდებარეობს ქალაქ თბილისში



ვენახი



ზვრები

ბ) მოცემული სიტყვები ჩაწერეთ წინადადებებში სწორად:
მდებარეობს, ნოტიო, თბილისში, მშრალი, მრავალფეროვანია.

1. ეს მეჩეთი მდებარეობს ..... .

2. ეს ეკლესია მთაზე ..... .

3. ქარიანი და მზიანი ადგილების ჰავა არის ..... .

4. შემოდგომაზე ბუნება ..... .

5. საქართველო ..... კავკასიაში.

9. წაიკითხეთ ტექსტი და გაიაზრეთ:

საქართველო

სახელმწიფო საქართველო მდებარეობს კავკასიაში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. მას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება რუსეთი, სამხრეთიდან - თურქეთი და სომხეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან კი - აზერბაიჯანი.

საქართველო იყოფა ორ ნაწილად - აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო. თუმცა სამცხე-ჯავახეთი სამხრეთი საქართველოს რეგიონია.

საქართველოს აღმოსავლეთით მდებარეობს რეგიონები: შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი და კახეთი. მის ტერიტორიაზეა აგრეთვე ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეები: ფშავი, ხევსურეთი, ხევი, მთიულეთი, თუშეთი.

დასავლეთი საქართველოს რეგიონებია იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, აჭარა და აფხაზეთი.

საქართველოს დიდი მდინარეებია მტკვარი, რიონი, ალაზანი, იორი... საქართველოში მაღალი მთები და მწვერვალებია. მწვერვალებიდან ყველაზე მაღლებია შხარა, მყინვარწვერი, თეთნულდი, უშბა...

საქართველოში მრავალფეროვანი ჰავაა. სხვადასხვა ადგილას არის როგორც მყინვარები, ისე მშრალი, ზომიერი, ტროპიკული და სუბტროპიკული ჰავა.
საქართველოს დიდი ქალაქებია თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, რუსთავი, გორი, ზუგდიდი, თელავი, ახალციხე...

საქართველოს დედაქალაქია თბილისი. ის მრავალსაუკუნოვანი ქალაქია და აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს. თბილისი მრავალეროვანი ქალაქია. აქ ცხოვრობენ ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, ქურთები, უკრაინელები და სხვ.

საქართველო ყურძნის და ღვინის ქვეყანაა. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაშენებულია ვენახები. კახეთში კი უზარმაზარი ზვრებია.
საქართველოს ბუნება ლამაზია, კულტურა და სამზარეულო კი - ძალიან საინტერესო, ამიტომ აქ ბევრი ტურისტი ჩამოდის.



10. ა) მონიშნეთ სწორი და არასწორი ინფორმაცია (+/-)

1. სახელმწიფო საქართველო მდებარეობს აზიაში.	
2. საქართველოს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება რუსეთი.	
3. საქართველოს თურქეთი და სომხეთი ესაზღვრება სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.	
4. სამცხე - ჯავახეთი მდებარეობს საქართველოს სამხრეთით.	
5. ფშავი, ხევსურეთი, ხევი, მთიულეთი, თუშეთი საქართველოს კუთხეებია.	
6. შხარა, მყინვარწვერი, თეთნულდი და უშბა მდინარეებია.	
7. საქართველოში ერთფეროვანი ჰავაა.	
8. საქართველოში ბევრი ტურისტი ჩამოდის.	

ბ) გაასწორეთ არასწორი ინფორმაცია და სწორად ჩაწერეთ:

.....

.....

.....

.....

11. უპასუხეთ შეკითხვებს და პასუხები ჩაწერეთ:

1. სად მდებარეობს საქართველო?

.....

2. რომელი სახელმწიფოები ესაზღვრება საქართველოს?

.....

3. რომელი მხრიდან ესაზღვრება საქართველოს რუსეთი?

.....

4. რომელი ქვეყნები ესაზღვრება საქართველოს სამხრეთიდან?

.....

5. რომელი მხრიდან ესაზღვრება საქართველოს აზერბაიჯანი?

.....

6. რომელია აღმოსავლეთი საქართველოს რეგიონები?

.....

7. რომელია დასავლეთი საქართველოს რეგიონები?

.....

8. რა არის ალაზანი, მტკვარი, იორი, რიონი?

.....

9. როგორი ჰავაა საქართველოში?

.....

10. სად მდებარეობს საქართველოს დედაქალაქი თბილისი?

.....

11. როგორი ქალაქია თბილისი?

.....

12. რატომ ჩამოდის საქართველოში ბევრი ტურისტი (იმიტომ, რომ...)?

.....

12. ა) ტექსტიდან ამოწერეთ შესაბამისი ინფორმაცია და გაანაწილეთ სქემაში:

აღმოსავლეთი საქართველოს რეგიონები	დასავლეთი საქართველოს რეგიონები	საქართველოს დიდი ქალაქები	საქართველოს დიდი მდინარეები	საქართველოს უმაღლესი მწვერვალები

ბ) ისაუბრეთ სქემის მიხედვით. გამოიყენეთ კონსტრუქციები:

„აღმოსავლეთ/დასავლეთ საქართველოში **მდებარეობს**:...“;
„საქართველოს დიდი ქალაქები/მდინარეები/ უმაღლესი მწვერვალებია...“

13. ა) დააკვირდით რუკაზე მონიშვნებს და მოძებნეთ მწვერვალები: უშბა, შხარა და მყინვარწვერი.



ბ) ისაუბრეთ, საქართველოს რომელ მხარესაა ეს მწვერვალები?

საუბრისას გამოიყენეთ სიტყვები: მდებარეობს; ჩრდილოეთით; დასავლეთ საქართველოში; აღმოსავლეთ საქართველოში.

გრამატიკა

დააკვირდით:

სად? - თბილის**ში**, აღმოსავლეთ საქართველო**ში**, ოთახ**ში**, მთა**ზე**, მოედან**ზე** ...

მაგრამ -

სად (საით)? - საქართველოს აღმოსავლეთ**ით**, საქართველოს დასავლეთ**ით**, საქართველოს სამხრეთ**ით**, საქართველოს ჩრდილოეთ**ით**...

დააკვირდით:

მდებარეობს **ის**

მდებარეობდა **ის**

ეს ზმნა თითქმის არ გვხვდება პირველ და მეორე პირში (მე, შენ...).

მაგალითად: *ბაბილონი* ***მდებარეობდა*** *მდინარე ევფრატის ნაპირზე. ამ ადგილზე ახლა ერაყი* ***მდებარეობს****.*

სად მდებარეობდა ბაბილონი?- მდინარე ევფრატის ნაპირზე.

ახლა რა მდებარეობს ამ ადგილზე? - ერაყი.

14. ა) უპასუხეთ შეკითხვებს და გამოიყენეთ -ით დაბოლოებები:

ნიმუში: *სად მდებარეობს სამცხე-ჯავახეთი? - <u>სამხრეთით</u>.*

1. სად მდებარეობს აჭარა? .....

2. სად მდებარეობს თბილისი? .....

3. სად მდებარეობს მწვერვალი უშბა? .....

4. სად მდებარეობს ქვემო ქართლი? .....

ბ) შეადგინეთ მსგავსი წინადადებები საქართველოს რუკის მიხედვით:

1. .....

2. .....

3. .....

4. .....

5. .....

6. .....

ლექსიკა

15. დააკავშირეთ ანტონიმები:

მაღალი	გრილი
მაქსიმალური	დაბალი
თბილი	მატება
ცხელი	მინიმალური
კლება	ცივი

16. ა) წაიკითხეთ და დაიმახსოვრეთ:

სამი დღის განმავლობაში - სამი დღის პერიოდი; დღეს, ხვალ და ზეგ.
მაღალი ტემპერატურა - სიცხე
დაბალი ტემპერატურა - სიცივე
ნალექი - წვიმა და თოვლი
უნალექო ამინდი - ამინდი, როცა არ წვიმს და არ თოვს.
სანაპირო რაიონები - რაიონები ზღვასთან ახლოს.
ტემპერატურის დაკლება - ჰაერის ტემპერატურა უფრო დაბალი იქნება.
ტემპერატურის მომატება - ჰაერის ტემპერატურა უფრო მაღალი იქნება.
35 °C - ოცდათხუტმეტი გრადუსი ცელსიუსი.

ბ) წინადადებებში ჩასვით გამოტოვებული სიტყვები და ფრაზები:

უნალექო; გრილი; დაბალი ტემპერატურა;

1. თბილისში დღეს ..... იქნება, 12 გრადუსი.

2. ბათუმში არ წვიმს, კიდევ სამი დღე ..... ამინდი იქნება.

3. აღმოსავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურა 39 გრადუსია. უფრო ..... ამინდია ზღვის სანაპიროზე, იქ ჰაერის ტემპერატურა 34 გრადუსი იქნება.

18. მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერს, შეასრულეთ დავალებები:

ა) მოუსმინეთ 0:00-დან 0:28 -მდე, პარალელურად წაიკითხეთ ტექსტი და ჩაწერეთ გამოტოვებული სიტყვები:

სამი დღის განმავლობაში ..... მაღალი ტემპერატურა შენარჩუნდება. გარემოს ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, რომ .....

უნალექო ამინდებია მოსალოდნელი, ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა კი .....
..... გრადუსი იქნება. უნალექო ამინდებია მოსალოდნელი .....
..... , სადაც ჰაერის ტემპერატურა 32-37 გრადუსი იქნება. რაც შეეხება დედაქალაქს - ..... ამავე პერიოდში დღის განმავლობაში ჰაერი 35 გრადუსამდე ..... .

ბ) მოუსმინეთ ვიდეოს 0:31-დან და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. სად იქნება ტემპერატურა 34-39 გრადუსის ფარგლებში?
ა) თბილისში
ბ) იმერეთისა და სამეგრელოს ტერიტორიაზე
გ)ზოგიერთ რაიონში

2. შედარებით გრილია
ა) სანაპირო რაიონები ბ) იმერეთი გ) სამეგრელო

3. თბილისში ტემპერატურა იქნება
ა) მინიმუმ 30-32 გრადუსი გ) 34-39 გრადუსის ფარგლებში დ) 35 გრადუსამდე

4. ტემპერატურის დაკლებას ველოდებით
ა) აღმოსავლეთ საქართველოში ბ) დასავლეთ საქართველოში გ) თბილისში

გ) კიდევ ერთხელ თავიდან ბოლომდე მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერს და მონიშნეთ სწორი და არასწორი ინფორმაცია (+/-):

1	სამი დღის განმავლობაში საქართველოში მაღალი ტემპერატურა შენარჩუნდება.	+
2	სააგენტოში აცხადებენ, რომ დასავლეთ საქართველოში წვიმიანი ამინდებია.	
3	უნალექო ამინდებია მოსალოდნელი აღმოსავლეთ საქართველოში.	
4	თბილისში ამავე პერიოდში დღის განმავლობაში ჰაერი 39 გრადუსამდე გათბება.	
5	შედარებით გრილია დასავლეთში სანაპირო რაიონები.	
6	ასევე ცხელა აღმოსავლეთ საქართველოშიც.	
7	ტემპერატურის დაკლებას დასავლეთ საქართველოში ველოდებით 23 მარტიდან.	

დ) კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ვიდეოს და გაასწორეთ არასწორი ინფორმაცია:

ლაპარაკი

19. დააკვირდით ცხრილში მოცემულ ინფორმაციას და ისაუბრეთ. გამოიყენეთ ფრაზები:

- .....-ით თბილა/გრილა
- .....-ში უფრო მაღალი ტემპერატურაა, ვიდრე .....-ში.
- .....-ში ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურაა ..... .
- ასევე მაღალი/დაბალი ტემპერატურაა .....შიც.
- ნალექიანი/უნალექო ამინდია .....-ში.
- ერთნაირი ტემპერატურაა .....-სა და .....-ში

ამინდის პროგნოზი			
დასავლეთ საქართველოში		**აღმოსავლეთ საქართველოში**	
აჭარა	+ 29 (უნალექო)	თბილისი	+35
აფხაზეთი	+ 25 (წვიმა)	კახეთი	+32-34
გურია	+ 25 (წვიმა)	ქვემო ქართლი	+32-34
იმერეთი	+ 25-27	შიდა ქართლი	+30-32
სამეგრელო	+ 29	მცხეთა-მთიანეთი	+27 (უნალექო)
სვანეთი	+23 (უნალექო)	ხევსურეთი	+26 (წვიმა)

20. ისაუბრეთ, დღეს როგორი ამინდია?

21. მონიშნეთ თქვენი სოფელი/ქალაქი საქართველოს რუკაზე და დაწერეთ მოკლე ინფორმაცია. გამოიყენეთ შეკითხვები:

სად მდებარეობს? რომელ რეგიონში? რომელი რეგიონი ესაზღვრება? როგორი ამინდებია ზამთარში, ზაფხულში? როდის უფრო გრილა, როდის უფრო ცხელა? როგორია შენი სოფელი/ქალაქი?



.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

წიგნი A1, თემა 1 - მე და ჩემი ოჯახი	
სავარჯიშოს №	სწორი პასუხები:
სავარჯიშო 2	დ ე დ ა; პ ა პ ა; ძ მ ა; ბ ე ბ ი ა.
სავარჯიშო 3	- დედა, ცოლი, ბებია, და; - შვილი, შვილიშვილი; - ძმა, პაპა, მამა, ქმარი.
სავარჯიშო 4	1. და; 2. მამა; 3. ბებია .
სავარჯიშო 5	დედა - მამა; ცოლი - ქმარი; ბებია - პაპა; და - ძმა.
სავარჯიშო 7	ფოტო - ეს არის უფროსი ძმა; ეს არის უმცროსი ძმა. ფოტო- ეს არის უმცროსი ძმა; ეს არის უფროსი და. ფოტო - ეს არის უმცროსი და; ეს არის უფროსი ძმა.
სავარჯიშო 8	ქეთევანი - ბებია; გიორგი - მამა; დემეტრე - ძმა; გვანცა - დედა; ვახტანგი - პაპა.
სავარჯიშო 9	მამაჩემი; 2. დედაჩემი; 3. ბებიაჩემი; 4. ბაბუაჩემი; 5. ძმა.
სავარჯიშო 10	1. ვახტანგისა და ქეთევანის შვილი არის გიორგი; 2. დემეტრესა და თამთას პაპა არის ვახტანგი; 3. გიორგის დედა არის ქეთევანი; 4. დემეტრესა და თამთას დედა არის გვანცა; 5. ვახტანგისა და ქეთევანის შვილიშვილები არიან დემეტრე და თამთა.
სავარჯიშო 11	სწორია - 2, 5 არასწორია - 1, 3, 4
სავარჯიშო 12	- შვილი, პაპა, ძმა, დედა, და, მამა, ბაბუა. - შვილები, დები, პაპები, მამები, ბაბუები, დედები, ძმები.
სავარჯიშო 13	1. დები, 2. დედა, 3. ბებიები, 4. მამა, 5. ძმები.
სავარჯიშო 14 ბ	1. ვარ, 2. არის, 3. ხარ, 4. ვართ, 5. არიან, 6. ხართ, 7. არის, 8. ხარ.
სავარჯიშო 14 გ	-ს - გვანცა-ს, დათო-ს, ნუნუ-ს, ერეკლე-ს, გიორგი-ს. -ის - ვახტანგ-ის, ქეთევან-ის, მარიამ-ის.
სავარჯიშო 15	გამარჯობა. მე ვარ მერაბი. შენ ვინ ხარ? გამარჯობა. მე ვარ ელენე. ვინ გყავს ოჯახში? მე მყავს დედა, ბაბუა და ძმა. მამა არ გყავს? არა, მამა არ მყავს . შენ ვინ გყავს ? მე მყავს დედა, მამა, და და შვილი. ეს ვინ არის? ეს არის ნინო. ვინ ჰყავს ნინოს? ნინოს ჰყავს დედა, მამა, უმცროსი ძმა და ბებია. ბაბუა არ ჰყავს.
სავარჯიშო 16	1. თქვენი; 2. დედამისი; 3. მათი; 4. პაპაჩემი; 5. ჩვენი; 6. ბებიაშენი.
სავარჯიშო 17	1. ეს მათი შვილიშვილია; 2. ეს უმცროსი დაა; 3. ის პაპაა; 4. ის უფროსი ძმაა.

სავარჯიშო 19	სავარუდო პასუხები: 1. მაკას ჰყავს დედა; 2. ნინის და სანდროს ჰყავთ ბებია; 3. ნინის ჰყავს ძმა...

წიგნი A1, თემა 2 - ჩვენი სახლი	
სავარჯიშოს №	სწორი პასუხები:
სავარჯიშო 2	1. ეს არის კედელი; 2. ეს არის კარი; 3. ეს არის აივანი; 4. ეს არის საკვამური; 5.ეს არის სახურავი; 6.ეს არის ეზო; 7. ეს არის ფანჯარა.
სავარჯიშო 4	სამზარეულო: ჯამი, ტაფა, თეფში, დანა, ჭურჭლის კარადა, ქვაბი, ჩანგალი, მაცივარი, ჭიქა, გაზქურა, კოვზი. საძინებელი: საწოლი, ტანსაცმლის კარადა, სანათი. სასტუმრო ოთახი: სკამი, ფარდა, საათი, ტელევიზორი, ტახტი, თარო, სავარძელი, მაგიდა. სააბაზანო: აბაზანა, უნიტაზი, პირსაბანი, სარკე, სარეცხის მანქანა.
სავარჯიშო 6	1-გ, 2- დ, 3- ე, 4- ა, 5- ვ, 6-ბ.
სავარჯიშო 7	1. ნაცრისფერი; 2. ყავისფერი; 3. ვარდისფერი, 4. სტაფილოსფერი; 5. იასამნისფერი; 6. ცისფერი.
სავარჯიშო 8	1. ვარდისფერი; 2. მწვანე; 3. სტაფილოსფერი; 4. ნაცრისფერი.
სავარჯიშო 10	წითელი - ხუთი; სტაფილოსფერი - შვიდი; ლურჯი - ორი; იასამნისფერი - ექვსი; ყვითელი - სამი; ყავისფერი - ცხრა; შავი - ოთხი; ნაცრისფერი - ნული; მწვანე - ერთი; ცისფერი - რვა.
სავარჯიშო 12.1	ყვითელი, წითელი, ლურჯი
სავარჯიშო 12.2	სახურავი - ოთხი, წითელი; კარი - ექვსი, ცისფერი, თეთრი; აივანი - სამი, შავი; ფანჯარა - ცხრა, თეთრი.
სავარჯიშო 13.1	სწორია - 2, 5
სავარჯიშო 13.2	1. დემეტრეს სახლი ორსართულიანია; 2. სასტუმრო ოთახში არის სტაფილოსფერი ტახტი და სავარძელი; 3. პირველ სართულზე არის სამზარეულო და სასტუმრო ოთახი; 4. სამზარეულოში ცისფერი ფარდაა.
სავარჯიშო 13.3	1. ორსართულიანია; 2. სამზარეულო; 3. ვარდისფერი; 4. სკამი; 5. საძინებელი.
სავარჯიშო 14	1. მაქვს; 2. გაქვთ; 3. აქვს; 4. აქვთ; 5. გაქვს; 6. გვაქვს.
სავარჯიშო 15	1. მარიამს; 2. დედაჩემს; 3. მამაჩემი; 4. ნანას; 5. ჩემი და.
სავარჯიშო 17	1. ხე არის სახლის მარჯვნივ; 2. ხე არის სახლის მარცხნივ; 3. ხე არის სახლის უკან; 4. ხე არის სახლის წინ.
სავარჯიშო 18	1- ბ; 2- ა; 3- ბ.
სავარჯიშო 19.1	1. -ში; 2. -ზე; 3. -ში; 4. -ზე; 5. - ზე; 6. -ზე.

სავარჯიშო 19.2	-ზე - მაგიდაზე; კედელზე; გაზქურაზე; თაროზე. -ში - ოთახში; კარადაში.
სავარჯიშო 19.3	1. წინ; 2. მარჯვნივ; 3. უკან; 4. მარცხნივ; 5. მარჯვნივ.
სავარჯიშო 20	1. ერთადგილიანი; 2. ოთხსართულიანი; 3. ორადგილიანი; 4. სამთაროიანი; 5. ხუთოთახიანი;
სავარჯიშო 21	1. დიდეზოიანი; 2. ექვსოთახიანი; 3. დიდაივნიანი; 4. ათსართულიანი; 5. ცხრათაროიანი; 6. ოთხადგილიანი.
სავარჯიშო 22	1. სახლი არის დიდეზოიანი; 2. სავარძელი არის ერთადგილიანი; 3. კარადა არის ოთხთაროიანი; 4. სახლი არის ცხრასართულიანი; 5. ტახტი არის სამადგილიანი.
სავარჯიშო 24	1. სახლი არის ორსართულიანი; 2. პირველ სართულზე არის სამი ოთახი; 3. სასტუმრო ოთახში დგას ტახტი, სავარძელი, მაგიდა; 4. თაროზე არის წიგნები; 5. სამზარეულოში არის გაზქურა, მაცივარი და ჭურჭლის კარადა. 6. სახლს აქვს აივანი და დიდი ეზო. 7. ტახტის წინ დგას დიდი მაგიდა. საწოლის მარჯვნივ არის ტან-საცმლის კარადა.

წიგნი A1, თემა 3 - ჩემი დღე	
სავარჯიშოს №	სწორი პასუხები:
სავარჯიშო 2	1. შვიდ საათზე; 2. რვის ნახევარზე; 3. რვის ნახევარზე; 4. რვა საათზე; 5. ცხრის ნახევარზე; 6. პირველ საათზე; 7. ორ საათზე; 8. სამ საათზე; 9.შვიდ საათზე; 10. ათ საათზე.
სავარჯიშო 4	1. დილა / დილას, დილის რვა საათზე; 2. დილა / დილას, დილის ათ საათზე; 3. შუადღე / შუადღისას, შუადღის პირველ საათზე; 4. შუადღე / შუადღისას, შუადღის სამ საათზე; 5. საღამო / საღამოს, საღამოს ექვს საათზე; 6. ღამე / ღამით, ღამის ცხრა საათზე.
სავარჯიშო 5	ა) იღვიძებს; ბ) ხელ-პირს იბანს; გ) კბილებს იხეხავს; დ) საუზმობს; ე) უნივერსიტეტში მიდის; ვ) სახლში მოდის; ზ) სადილობს; თ) ტელევიზორს უყურებს; ი) ვახშმობს; კ) იძინებს.
სავარჯიშო 6	ა) დილის რვის ნახევარზე; ბ) დილის რვის ნახევარზე; გ) რვა საათზე; დ) დილის ცხრის ნახევარზე; ე) პირველ საათზე; ვ) ორ საათზე; ზ) სამ საათზე; თ) შვიდ საათზე; ი) თერთმეტ საათზე.
სავარჯიშო 17	სამი წლის - ერთი; თერთმეტი წლის - 2; ოცდახუთი წლის - 3; ორმოცდაათი წლის - 4. სამოცდათხუთმეტი წლის - 5.
სავარჯიშო 18	ა) ოცდახუთი; ბ) თერთმეტი; გ) სამი; დ) ორმოცდახუთი; ე) სამოცდახუთი.

სავარჯიშო 20	ა) რვის ნახევარზე; ბ) სამი წლის და თერთმეტი წლის; გ) ხელ-პირს იბანს, კბილებს იხეხავს, საუზმობს; დ) ცხრა საათზე; ე) პირველ საათზე, ორ საათზე; ვ) შვიდ საათზე, თერთმეტ საათზე.
სავარჯიშო 21	1 - სწორი; 2 - არა; 3 - სწორი; 4 - არა; 5 - არა; 6 - არა.
სავარჯიშო 22	ა) საუზმობენ; ბ) იღვიძებს; გ) იბანს; დ) საუზმობენ; ე) ვახშმობს; ვ) ვახშმობენ; ზ) სადილობენ.
სავარჯიშო 23	ა) და-ძმა; ბ) და; გ) ძმა; დ) დედ-მამა; ე) მამა; ვ) ქმარი, ცოლი; ზ) ცოლ-ქმარი.
სავარჯიშო 25	ა) ვიბან; ბ) საუზმობს; გ) მიდის; დ) მივდივარ; ე) ვახშმობს და იძინებს.
სავარჯიშო 26	1-7; 2-9; 3-2; 4-1; 5-4; 6-3; 7-5; 8-6; 9-8.
სავარჯიშო 27	ა) სახლში; ბ) კაფეში; გ) უნივერსიტეტში; დ) უნივერსიტეტში; ე) კაფეში; ვ) სახლში.
სავარჯიშო 28	1 - გ; 2- ბ; 3 - გ; 4 - ბ.
სავარჯიშო 29	1 - კი; 2 - არა; 3 - კი; 4 - კი.
სავარჯიშო 30	1 - ვსადილობთ; 2 - ვსადილობ; 3 - ვუყურებთ; 4 - ნახვამდის.
სავარჯიშო 31	4, 2, 8, 5, 1, 7, 6, 3.

წიგნი A1, თემა 4 - როგორია ჩემი მეგობარი	
სავარჯიშოს №	სწორი პასუხები:
სავარჯიშო 1	1. არა; 2. არა; 3. კი; 4. კი; 5. კი; 6. არა; 7. კი; 8. კი; 9. კი.
სავარჯიშო 2	ა) მოკლეთმიანი; ბ) მოკლეცხვირიანი; გ) წითელთმიანი; დ) გრძელთმიანი.
სავარჯიშო 3	ა. 4; ბ. 1; გ. 5; დ. 3; ე. 2; ვ. 6.
სავარჯიშო 4	1-4; 2-7; 3-10; 4-5; 5-9; 6-6; 7-11; 8-3; 9-1; 10-2; 11-8.
სავარჯიშო 5	1-5; 2-6; 3-4; 4-2; 5-1; 6-3.
სავარჯიშო 6	ა) ...თხელტუჩებიანი; ბ) ...შავთმიანი; გ) ...ქერათმიანი; დ) ...ჭაღარათმიანი; ე) ...სქელტუჩებიანი.
სავარჯიშო 7.ბ	1. მამიდა; 2.ბიძა; 3. დეიდაშვილი; 4.მამიდაშვილი; 5. ბიძა; 6. ბიძა.
სავარჯიშო 8	ა) ლიკას სოფელში; ბ) თაკო, 23 წლის; გ) ორივე ქერაა, ცისფერი თვალები აქვთ; დ) 54 წლის, ქერა და ცისფერი თვალები აქვს; ე) შავი თმები.
სავარჯიშო 9	1. დიახ 2. არა; 3. დიახ; 4. დიახ.
სავარჯიშო 10	ა) შავთმიანი; ბ) თაფლისფერთვალებიანი; გ) სქელტუჩებიანი; დ) ქერათმიანი.
სავარჯიშო 11	ა) ჩემი ბიძა 65 წლის კაცია. ბ) ჩემი მამიდა შავთმიანია. გ) ლიკას დეიდაშვილი მოკლეთმიანია. დ) მერაბი გრძელცხვირიანია.

სავარჯიშო 12	ა) აქვს; ბ) აქვს; გ) გაქვს; დ) მაქვს.
სავარჯიშო 13	1-6; 2-7; 3-5; 4-4; 5-1; 6-2; 7-3.
სავარჯიშო 14	ა) ლიკა; ბ) თმის შეღებვა; გ) წაბლისფერი; დ) ხვალ.

წიგნი A, თემა 5 - საიდან ხართ?	
სავარჯიშოს №	სწორი პასუხები:
სავარჯიშო 2	ა) საქართველოსი; ბ) იტალიის.
სავარჯიშო 3	ა) ჩინეთში; ბ) მიშელი; გ) სომხეთში; დ) ქართული; ე) ქართველი; ვ) გერმანულ ენაზე.
სავარჯიშო 4	1-3, 2-6, 3-7, 4-2, 5-1, 6-8, 7-9, 8-4, 9-5, 10-10.
სავარჯიშო 5	1-5, 2-3, 3-6, 4-2, 5-8, 6-1, 7-10, 8-9, 9-4, 10-7.
სავარჯიშო 6	1-ა, 2-გ, 3-ვ, 4-ე, 5-დ, 6-ბ, 7-ზ, 8-თ.
სავარჯიშო 7	ა) ქართველი; ბ) ინგლისური; გ) ინდური; დ) სომეხი; ე) ფრანგული; ვ) იაპონელი; ზ) იაპონური; თ) გერმანული; ი) ინგლისელი; კ) ქართული.
სავარჯიშო 9	ა) საქართველოში; ბ) აზერბაიჯანული; გ) იტალიელი; დ) ქართულს; ე) ქართული; ვ) საქართველო; ზ) იტალიური; თ) ინგლისურ და რუსულ ენებზე; ი) ქართულ ენას.
სავარჯიშო 10	1.მიშელი; 2. სიუი; 3. მარიეტა; 4. არმენი; 5. აითანი; 6. აითანი; 7. დავითი.
სავარჯიშო 11	1 . არასწორი; 2. სწორი; 3. არასწორი; 4. სწორი; 5. არასწორი; 6. სწორი; 7. სწორი; 8. სწორი; 9. სწორი; 10. სწორი.
სავარჯიშო 12	ა) ქართული; ბ) ინგლისურად; გ) იტალიელი; დ) ქართულს; ე) ხაჭაპური; ვ) ფრანგი; ზ) ქართული; თ) გერმანულად; ი) რუსული და გერმანული ენები; კ) საქართველოში.
სავარჯიშო 13	ა) ინგლისური; ბ) ქართულად; გ) ცხოვრობს; დ) ფრანგი; ე) მოსწონს; ვ) უყვარს; ზ) ჩინელი; თ) სწავლობს; ი) ქართული ენა; კ) იცის.
სავარჯიშო 14	ა) ჩემი მეზობელი არის იტალიელი; ბ) ჩემი მეგობარი არის იტალიელი; გ) შენი მეზობელი ფრანგია? დ) შენი მეგობარი აზერბაიჯანელია? ე) მისი მეზობელი სომეხია; ვ) მისი მეგობარი პორტუგალიელია; ზ) ჩვენი მეზობელი იაპონელია; თ) ჩვენი მეგობარი არის გერმანელი; ი) თქვენი მეზობელი ბრაზილიიდანაა? კ) თქვენი მეგობარი ინგლისიდანაა? ლ) მათი მეზობელი ესპანელია; მ) მათი მეგობარი უკრაინელია.
სავარჯიშო 15	ა) იტალიური; ბ) ფრანგული; გ) აზერბაიჯანული; დ) სომხური; ე) პორტუგალიური; ვ) იაპონური; ზ) გერმანული; თ) ბრაზილიური; ი) ინგლისური; კ) ესპანური; ლ) უკრაინული.

სავარჯიშო 16	ა) იტალიური; ბ) შენ კარგად იცი ფრანგული; გ) მან კარგად იცის აზერბაიჯანული; დ) ჩვენ კარგად ვიცით სომხური; ე) თქვენ კარგად იცით პორტუგალიური; ვ) მათ კარგად იციან იაპონური; ზ) მე კარგად ვიცი გერმანული; თ) შენ კარგად იცი ინგლისური; ი) მან კარგად იცის ინგლისური; კ) ჩვენ კარგად ვიცით ესპანური; ლ) თქვენ კარგად იცით უკრაინული.
სავარჯიშო 17	ა) ფრანგულად; ბ) აზერბაიჯანულად; გ) სომხურად; დ) პორტუგალიურად;ე) იაპონურად; ვ) გერმანულად; ზ) თურქულად; თ) ინგლისურად; ი) ესპანურად; კ) უკრაინულად.
სავარჯიშო 18	I - ა; II - ბ; III - ა; IV - ბ.
სავარჯიშო 19	1. დავითი; 2. დავითი; 3. აითანი; 4. აითანი.
სავარჯიშო 20	1. არასწორია; 2. სწორია; 3. სწორია; 4. არასწორია.
სავარჯიშო 21	1-5; 2-3; 3-7; 4-1; 5-2; 6-4; 7-6.

წიგნი A, თემა 6 - როგორი ამინდია?	
სავარჯიშოს №	სწორი პასუხები:
სავარჯიშო 1	ა) მე მიყვარს შემოდგომა (ზაფხული...); ბ) მე მიყვარს წვიმიანი ამინდი, მზიანი ამინდი არ მიყვარს.
სავარჯიშო 2	ა) შემოდგომა; ბ) გაზაფხული; გ) ზაფხული; დ) ზამთარი.
სავარჯიშო 3	1-ბ, 2-ე, 3-დ, 4-გ, 5-ა.
სავარჯიშო 4	ა) მზე; ბ) მზიანი; გ) ღრუბელი; დ) ღრუბლიანი; ე) წვიმა; ვ) წვიმიანი; ზ) თოვლი; თ) თოვლიანი; ი) ქარიანი; კ) ქარი.
სავარჯიშო 5	ა) თოვს; ბ) თოვლი; გ) წვიმა; დ) წვიმს; ე) ქარი ქრის; ვ) ქარი.
სავარჯიშო 6	1-დ; 2-ა; 3-გ; 4-ბ.
სავარჯიშო 7	1-ე; 2-ა; 3-ზ; 4-ვ; 5-კ; 6-ბ; 7-ი; 8-გ; 9-დ; 10-თ.
სავარჯიშო 8	ორშაბათი - გაზაფხული; ხუთშაბათი - ზაფხული; პარასკევი - შემოდგომა;
სავარჯიშო 9	ოთხშაბათი - არ არის ინფორმაცია; ხუთშაბათი - კარგი ამინდი, ცხელა; პარასკევი - ცუდი ამინდი, წვიმს და ქარი ქრის, ცივა; შაბათი - არ არის ინფორმაცია; კვირა - თოვს.
სავარჯიშო 10	ა) ერთი საათი; ბ) შვიდის ნახევარზე; გ) კვირა დღეს; დ) ორშაბათს; ე) შემოდგომაზე; ვ) ზამთარში.
სავარჯიშო 11	1 - კი; 2 - არ არის ინფორმაცია; 3 - კი; 4 - კი; 5 - არა; 6 - კი.

სავარჯიშო 12	დილით თინა ბებია დგება, საუზმეს ამზადებს, საუზმობს, მუშაობს. დღის განმავლობაში ბებია მუშაობს, საჭმელს აკეთებს... საღამოს ბებია ვახშმობს, ბავშვებთან ლაპარაკობს...
სავარჯიშო 13	ა) ვდგები; ბ) საუზმობს; გ) ვთამაშობ; დ) ვაკეთებ; ე) ამზადებს; ვ) კრეფს; ზ) ვლაპარაკობ; თ) ჭამს; ი) სწავლობს; კ) კითხულობს.
სავარჯიშო 14	დგება, საუზმობს, სადილობს, მუშაობს, ვახშმობს, იძინებს.
სავარჯიშო 15	ა) დგება; ბ) იძინებს; გ) მიდის; დ) მუშაობს; ე) მიდის; ვ) უყურებს; ზ) ვახშმობს.
სავარჯიშო 16	I - ა; II – დ.
სავარჯიშო 17	1 - კი; 2 - კი; 3 - კი; 4 - არა; 5 - კი; 6 - არა.
სავარჯიშო 18	1 – 3; 2 – 4; 3 – 2; 4 – 1.
სავარჯიშო 21	ღრუბლიანი, ცივა, სითბოა, წვიმს, სიცივე.

წიგნი A1, თემა 7 - შინაური ცხოველები	
სავარჯიშოს №	სწორი პასუხი
სავარჯიშო 1	ცხოველები
სავარჯიშო 3	1. შინაური; 2. გარეული; 3. გარეული; 4. შინაური; 5.გარეული 6. შინაური; 7. გარეული; 8. შინაური
სავარჯიშო 5	ძაღლი, თხა, ცხვარი, კატა, ღორი, ძროხა, ცხენი, კამეჩი.
სავარჯიშო 6	ძაღლი - ლეკვი; თხა - თიკანი; ცხვარი - ბატკანი; კატა - კნუტი; ღორი - გოჭი; ძროხა - ხბო; ცხენი - კვიცი; კურდღელი - ბაჭია; კამეჩი -ზაქი.
სავარჯიშო 7	ხბო, თიკანი, გოჭი, კვიცი, ბატკანი, ჩოჩორი, ლეკვი, ბაჭია, ზაქი, კნუტი
სავარჯიშო 9	1. ფარეხი 2. ბოსელი 3. თავლა 4. საღორე
სავარჯიშო 11	ა. ფაფარი; ბ. ყური; გ. კუდი; დ. ულვაშები; ე. ყური; ვ. რქა
სავარჯიშო 13	გრძელი, მოკლე, გრძელი, მოკლე
სავარჯიშო 15	1. სტაფილო; 2. ხორცი/ძვალი; 3. ბალახი; 4. რძე/თევზი.
სავარჯიშო 16	1 - გ; 2 - ბ; 3 - გ; 4 - ა; 5 - გ; 6 - ბ; 7 - გ; 8 - გ.
სავარჯიშო 17	I -ბ; II - დ; III -ე; IV - გ; V- ა.
სავარჯიშო 18	1. ცხენი, ძროხა და კამეჩი; 2. ცხენსა და ვირს; 3. სტაფილოს და კომბოსტოს; 4. ძაღლს; 5. ბაჭია; 6. ფარეხში; 7. კამეჩის; 8. ღორს; 9. კატას.
სავარჯიშო 19	დიახ: 1. 3. 5. 6. 7. არა: 2. 4. 8. 9
სავარჯიშო 20	ჰყავს: ძაღლი, ღორები, გოჭები, ძროხები, კატა, ცხენი, ღორი, ბავშვი, ცხვარი, ხბო, კნუტი, კვიცი აქვს: ტელევიზორი, წიგნები, თავლა, მაგიდა, ტელეფონი, რვეული, ბოსელი.
სავრჯიშო 21	1. კატას /კატა; 2. ძაღლს/ძაღლი; 3. კურდღელს /კურდელი; 4. ძროხას / ძროხა.

სავრჯიშო 22	1. მოსწონს; 2. ჭამ; 3. ჰყავს/ ჰქვია; 4 უყვართ; 5. უყვარს.
სავარჯიშო 23	1. კატას კნუტი; 2. ძროხა ბალახს; 3. ძაღლს ხორცი/ძვალი; 4. ცხენს კვიცი; 5. კატას თაგვები/ რძე; 6. კურდღელს სტაფილო.
სავარჯიშო 24	1. საქათმესთან; 2. სახლთან; 3. თავლაში; 4. ჩანთაში; 5. ეზოში; 6. სართულზე; 7. აივანზე; 8. ოთახში; 9. თაროზე; 10. მაგიდაზე .
სავარჯიშო 25	დიალოგი 1: გქვია; მქვია; ჰქვია; ჰქვია. დიალოგი 2: ცხოვრობ; ვცხოვრობ; ვცხოვრობ ცხოვრობენ; ცხოვრობს. დიალოგი 3: გიყვარს; მიყვარს; უყვარს; გყავს; მყავს; ჰყავს.
სავარჯიშო 26	1 - ბ; 2 - გ; 3 - ა; 4 - ბ; 5 - გ
სავარჯიშო 27	1. ძაღლი; 2. ჯეკა; 3. დიდი და ლამაზი; 4. ძაღლის სახლში; 5. კატა; 6. თეთრი და ლამაზი; 7. სახლში.
სავარჯიშო 28	სწორია: 3. 4. 5. 6. არასწორია: 1. 2.
სავარჯიშო 29	- ქეთი, ეს შენი ძაღლია? - დიახ, დათო, ჩემი ძაღლია. - როგორი ლამაზი და დიდია. რა ჰქვია?
	ჯეკა. დათო, შენც გყავს ძაღლი? - არა, მე კატა მყავს. როგორია? სად ცხოვრობს? - თეთრი და ლამაზია. ჩვენთან ცხოვრობს სოფელში. - სახლში? დიახ, სახლში. და შენი ძაღლი? ჩემი ძაღლიც ჩემთან, მაგრამ მას თავისი სახლი აქვს. - რა საინტერესოა.

წიგნი A1, თემა 8 - ზოოპარკი	
სავარჯიშოს №	სწორი პასუხები:
სავარჯიშო 2	ცხოველები - დათვი, მგელი, მელა, ლომი, ვეფხვი, ჯიხვი, მაიმუნი, ნიანგი, სპილო, კუ, აქლემი. ფრინველები - ბუ, არწივი, მერცხალი, ხოხობი, ფარშავანგი, ყვავი, თუთიყუში, მტრედი, სირაქლემა.
სავარჯიშო 3	1. ფრთა; 2. რქა; 3. ნისკარტი; 4. ფრთა; 5. კუდი; 6. ფრთა.
სავარჯიშო 4	1. ბუ; 2. მაიმუნი; 3. სირაქლემა; 4. სპილო; 5. მერცხალი.
სავარჯიშო 5	სპილო - დიდი თავი; ფართო ყურები; მოკლე კისერი; მსხვილი ფეხები; გრძელი ხორთუმი. ჟირაფი - პატარა თავი; ვიწრო ყურები; გრძელი კისერი; წვრილი ფეხები; პატარა რქები.
სავარჯიშო 6	მსხვილი - წვრილი; დიდი - პატარა; გრძელი - მოკლე; ფართო - ვიწრო.

სავარჯიშო 8	1. ნიკა და დედა არიან ზოოპარკში; 2. ზოოპარკში არიან ზებრა, ლომი, ვეფხვი, სპილო, აქლემი, მაიმუნი, ჟირაფი. 3. მაიმუნის გალია არის სპილოს ვოლიერის მარჯვნივ. სპილო, ლომი, ვეფხვი და ჟირაფი აფრიკაში ცხოვრობენ. ისინი ზოოპარშიც ცხოვრობენ. ზოოპარკში ნიკამ ნახა ფარშავანგი.
სავარჯიშო 9	სწორია - 1, 5; არასწორია - 2, 3, 4.
სავარჯიშო 10	1. ზოოპარკში ბევრი ხალხია; 2. ჟირაფს აქვს ყავისფერი ლაქები. 3. სპილო წყალს ხორთუმით სვამს.
სავარჯიშო 11	1. გ- ზებრა; 2. ვ - ირემი; 3. ე- სირაქლემა; 4. ბ - აქლემი; 5. ა - ნიანგი; 6. დ - კენგურუ.
სავარჯიშო 12.1	1. ვგავარ; 2. ჰგავხართ; 3. ჰგავს; 4. ჰგავხარ; 5. ჰგვანან; 6. ვგავართ; 7. ჰგავს; 8. ჰგავს; ჰგვანან; 10. ჰგავს.
სავარჯიშო 12.2	1. მამას; 2. ცხენს; 3. ბებიას; 4. ბიძას; 5. კატას; 6. ელნურს; 7. ანაჰიტს; 8. ბებიას; 9. დედას; 10. ერთმანეთს.
სავარჯიშო 15	ლაქა - ლაქიანი; ფრთა - ფრთიანი; ნისკარტი - ნისკარტიანი; კუდი - კუდიანი; ჩანთა- ჩანთიანი.
სავარჯიშო 17	ეს არის ჯიხვი. ის ცხოვრობს კავკასიაში. მას აქვს დიდი რქები და პატარა კუდი. ის ჰგავს თხას. ეს არის სირაქლემა. ის ცხოვრობს აფრიკასა და ავსტრალიაში. მას აქვს პატარა ფრთები და თავი, გრძელი ფეხები და კისერი. ის ჰგავს აქლემს.

წიგნი A1, თემა 9 - სუპერმარკეტში	
სავარჯიშოს №	სწორი პასუხები:
სავარჯიშო 1	გ) სუპერმარკეტში
სავარჯიშო 2	ა) ბაზარი; ბ) მაღაზია; გ) სუპერმარკეტი.
სავარჯიშო 3	ა) რძის პროდუქტები
სავარჯიშო 4	ა) მყიდველს; ბ) გამყიდველს.
სავარჯიშო 5	1.რა ღირს?; 2. ამიწონეთ; 3. აგიწონოთ; 4. კარტოფილი; 5. ფული.
სავარჯიშო 6	ა) ხილი; ბ) ბოსტნეული; გ) სასმელი; დ) პროდუქტი.
სავარჯიშო 8	1.მე მინდა, მიყვარს; 2. გინდა, გიყვარს; 3. უნდა, უყვარს.
სავარჯიშო 9	1.ჭამს; 2. დალია; 3. შეჭამეს; 4. დალევს; 5. დალია; 6. ჭამა; 7. დალიეს; 8. დალევთ; 9. შეჭამე; 10. დალევ.
სავარჯიშო 10	1. ლეილამ; 2. მწვადს; 3. ნოდარი; 4. ღვინოს; 5. ბავშვები; 6. კატომ; 7. რძეს; 8. ბოსტნეულს; 9. თამაზმა; 10. პროდუქტებს.
სავარჯიშო 12	სწორია: 2; 3; 6.

სავარჯიშო 14	1. დიდი მაღაზია; 2. პროდუქტი,სასმელი, ხილი, ბოსტნეული; 3. ახალი; 4. კონსულტანტი; 5. ფულს იღებს; 6. ფასდაკლება; 7. ბარათით ან ნაღდი ფულით; 8. აქციის დროს; 9. 2-3; 10. ყველი, მაწონი, რძე....
სავარჯიშო 15	1.ყველს; 2. ხილს; 3. ტორტი; 4. კვერცხს; 5. ყავას; 6. პროდუქტს; 7. სასმელი; 8. მაწონს; 9.ხორცს; 10. თევზს.
სავარჯიშო 16	1.ვიყიდი; 2. იყიდა; 3.ყიდულობენ; 4. იყიდით; 5.ყიდულობთ; 6.იყიდა; 7. იყიდის; 8.ყიდულობენ; 9. იყიდეს; 10.იყიდე.
სავარჯიშო 17	1. თეონამ იყიდა ატამი; 2. ბავშვებმა იყიდეს ლიმონათი; 3. დღეს ვიყიდე ახალი მაწონი; 4. მარინე, სად იყიდე რძე? 5. ქალბატონო გალინა, თქვენ იყიდეთ ყველი? 6. მამამ იყიდა სასმელები; 7. ახალი ხილი და ბოსტნეული ბაზარში ვიყიდე; 8. ბებიამ და ბაბუამ სოფლის მაღაზიაში იყიდეს პროდუქტი; 9. ჩემმა მეგობარმა იყიდა წიგნი; 10. ჩვენ ვიყიდეთ ახალი მანქანა.
სავარჯიშო 18	1.თუთის...; 2. კომბოსტოს...; 3. კარტოფილის...; 4. ანანასის...; 5. ყავის...;
სავარჯიშო 20	1. ბლის; 2. ფორთოხლის; 3. ჭარხლის; 4. ბადრიჯნის; 5. ალუბლის.
სავარჯიშო 21	1. დილა მშვიდობისა; 2. ხილს; 3. კომპოტს; 4. ბლის; 5. ატმის.
სავარჯიშო 22	1. ოთხი ლარი და ორმოცდაათი თეთრი; 2. ხუთი ლარი და სამოცდაათი თეთრი; 3. სამი ლარი და ორმოცდაათი თეთრი; 4.ორმოცდათორმეტი თეთრი; 5. ლარი და სამი თეთრი; 6. ორი ლარი და ოთხმოცდათხუთმეტი თეთრი; 7. ორი ლარი და ორმოცდახუთი თეთრი; 8. სამი ლარი და სამოცი თეთრი; 9. ორი ლარი და ოთხმოცდაექვსი თეთრი.
სავარჯიშო 23	1.აქციის; 2. ნიკორა; 3. 2 კვირა; 4. შაქარზე; 5. ზაფხულში; 6. ხუთი ლარი და ოთხმოცდაცხრამეტი თეთრი; 7. ყველი; 8.სანდო; 9.სასმელი; 10.ნაყინის.
სავარჯიშო 24	ა-2; ბ-4; გ-1; დ-12; ე-5; ვ-3; ზ-9; თ-6; ი-11; კ-7; ლ-8; მ-10;
სავარჯიშო 25	1. რა ღირს?; 2. იაფად; 3. კილო; 4. ლარ-ნახევრად; 5. ამიწონეთ; 6. ზუსტად; 7. სასწორი; 8. ინებეთ; 9. მიირთვით; 10. გმადლობ;

წიგნი A1, თემა 10 - საყიდლებზე, ტანსაცმლის მაღაზიაში	
სავარჯიშოს №	სწორი პასუხები:
სავარჯიშო 2	ფეხსაცმელი: ბოტასები, ჩექმები, კედები, ჩუსტი, სანდალი. ქუდები: შლაპა,მზის ქუდი, კეპი, თბილი ქუდი. აქსესუარები: საათი, ქამარი, სათვალე, ბეჭედი, ყელსაბამი, ხელ-ჩანთა, ქოლგა.
სავარჯიშო 3	ტანსაცმელი: ქურთუკი, პერანგი, შორტი, წინდები, ხელთათ-მანი, შარვალი, მაისური, ჰუდი, ქვედაბოლო, სვიტერი, ჟაკეტი, ჟილეტი. ფეხსაცმელი: კედი, ბოტასი, ჩექმა, ჩუსტი, სანდალი. ქუდი: შლაპა, კეპი, მზის ქუდი. აქსესუარები: ქამარი, ქოლგა, საათი, სათვალე, ხელჩანთა.
სავარჯიშო 4	1. ადა; 2. ევა; 3. ადა; 4. ლიზა; 5. ევა; 6. ადა; 7. ადა; 8. ევა; 9. ევა; 10. ლიზა
სავარჯიშო 6	1. რამდენსართულიანია შენობა?; 2. რა იყიდება აქ?; 3. ვისთვის არის „თბილისი მოლში“ ფეხსაცმელი, ტანსაცმელი და აქსესუარი?; 4. ვინ ყიდულობს ხარისხიან ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს?; 5. როდის მუშაობს „თბილისი მოლი?”
სავარჯიშო 7	1. ბ; 2. გ; 3. ბ; 4. ა; 5. გ
სავარჯიშო 8	1. დიდი სავაჭრო ცენტრები; 2. ოთხსართულიანი; 3. კინოთეატრები, რესტორნები; 4. ვაჭრობა/გართობა; 5. სვამენ; 6. ინტერნეტი;
სავარჯიშო 9	მყიდველი-კლიენტი; უნდა-სურვილი აქვს; ყიდვა-შეძენა; გამყიდველი-კონსულტანტი;
სავარჯიშო 10	1. ჟაკეტი; 2. ყელსაბამი; 3. ქუდი; 4. ქოლგა; 5. კეპები; 6. სათვალე; 7. ჩანთები; 8. ჩექმები.
სავარჯიშო 11	1. თქვენ; 2. მას; 3. მე; 4. ჩვენ; 5. მას; 6. შენ; 7. მე; 8. მას
სავარჯიშო 12	1. ეს/ამ; 2. ეს; 3. ეს/ამ; 4. ეს; 5. ამ; 6. ეს; 7. ეს/ამ; 8. ამ
სავარჯიშო 13	1. -თვის; 2.-კენ; 3. -დან; 4. -მდე; 5. -კენ; 6. -თვის; 7. -მდე 8. -თვის; 9. -დან; 10. -თვის
სავარჯიშო 14	1. ვყიდულობთ; 2. იყიდა; 3. იყიდე; 4. იზომებს; 5. ყიდულობს; 6. იყიდეთ; 7. მოიზომა; 8. ვიყიდე. 9. ვიზომებ/ვყიდულობ; 10. მოიზომეს; 11. ყიდულობენ; 12. ყიდულობენ; 13. იზომებს.
სავარჯიშო 15	1. მაღაზიის; 2. შლაპის; 3. ქოლგის; 4. ჩექმის; 5. კაბის.
სავარჯიშო 16	1. მაღაზიები; 2. კაბები; 3. წინდები; 4. ხელჩანთები; 5. შლაპები; 6. ჩექმები.

წიგნი A1, თემა11 - პროფესიები	
სავარჯიშოს №	სწორი პასუხები:
სავარჯიშო 2	მშენებელი; მასწავლებელი; დამლაგებელი; ექიმი; მზარეული; სტილისტი; მხატვარი; ბალერინა.
სავარჯიშო 3	კოსმონავტი; მხატვარი; პოლიციელი; ექიმი; მშენებელი; მასწავლებელი; პილოტი; ჟურნალისტი.
სავარჯიშო 4 ა)	მასწავლებელი; მშენებელი; გემის კაპიტანი; პილოტი; მზარეული; მიმტანი; მომღერალი; ფეხბურთელი; მხატვარი; ჯამბაზი; კოსმონავტი.
სავარჯიშო 4 ბ)	მზარეული ამზადებს საჭმელს. მიმტანი ემსახურება სტუმრებს. კოსმონავტი დაფრინავს კოსმოსში. მასწავლებელი ასწავლის ბავშვებს. ფეხბურთელი ბურთით თამაშობს. პილოტი მართავს თვითმფრინავს. მომღერალი მღერის სიმღერებს. გემის კაპიტანი მართავს გემს. ჯამბაზი ართობს ბავშვებს.
სავარჯიშო 5 ა)	მიმტანი მუშაობს რესტორანში. მასწავლებელი მუშაობს სკოლაში. ჯამბაზი მუშაობს ცირკში. გემის კაპიტანი მუშაობს გემზე. პილოტი მუშაობს ავიაკომპანიაში.
სავარჯიშო 6	ყველა პროფესია საინტერესოა. გიყვარს გემრიელი საჭმელები? მოგწონს ცაში ფრენა? შენი ჰობია ხატვა? ოცნებობ კოსმოსში მოგზაურობაზე? მაშინ იცოდე: კოსმონავტი კოსმოსში დაფრინავს; მხატვარი ლამაზ სურათებს ხატავს; ექიმი პაციენტებს კურნავს; მასწავლებელი ბავშვებს ასწავლის; პოლიციელი წესრიგს იცავს; სტილისტი თმებს ჭრის; ბალერინა ოპერაში ცეკვავს; მზარეული გემრიელ საჭმელებს ამზადებს; ჟურნალისტი ინტერვიუს წერს; არქიტექტორი სახლებს, ხიდებს, კონსტრუქციებს აპროექტებს, მშენებელი კი აშენებს. შენ რომელი პროფესია მოგწონს? - აირჩიე!
სავარჯიშო 8	მშენებელი , ჟურნალისტი; სტილისტი; მასწავლებელი; პოლიციელი; დამლაგებელი.
სავარჯიშო 9	დიალოგი: - ვინ გინდა გახდე? - მე მინდა გავხდე ჟურნალისტი. - სად მუშაობს ჟურნალისტი? - ჟურნალისტი მუშაობს ტელევიზიაში, რადიოში ან გაზეთში. დიალოგი: - ვინ გინდა გახდე ? - მე მინდა გავხდე მასწავლებელი. - სად მუშაობს მასწავლებელი? - მასწავლებელი მუშაობს სკოლაში.

სავარჯიშო 11 ა)	კაროლინა ახლა კიევში ცხოვრობს - კაროლინა არ არის იაპონელი, ის უკრაინელია + კაროლინა იაპონიაში 26 წლის წინ ჩავიდა - კაროლინა პროფესიით არქიტექტორია და სამშენებლო კომპანიაში მუშაობს + მათი კომპანია გზებს და ხიდებს აშენებს - ბებიას უნდოდა, რომ კაროლინა ექიმი გამხდარიყო + კაროლინას ძალიან უყვარს თავისი პროფესია + კაროლინას უყვარს ხატვა და მისი ჰობია კოსმონავტობა -
სავარჯიშო 11 ბ)	კაროლინა ახლა იაპონიაში ცხოვრობს. კაროლინა იაპონიაში 2 წლის წინ ჩავიდა. მათი კომპანია ხიდებს და ცათამბჯენებს აშენებს. კაროლინას უყვარს თავისი პროფესია და მისი ჰობია ხატვა.
სავარჯიშო 12	კაროლინა დაიბადა კიევში. ის არის უკრაინელი. კაროლინა 26 წლისაა. ის 2 წელია ტოკიოში ცხოვრობს. კაროლინა სამშენებლო კომპანიაში მუშაობს. ის პროფესიით არქიტექტორია. კაროლინას მოსწონდა კოსმონავტობა, ჟურნალისტობა და მასწავლებლობა. ბებიას სურვილი იყო ექიმობა. კაროლინას საინტერესო ამბები კოსმოსზე უამბო მასწავლებელმა. კაროლინას ჰობია ხატვა.
სავარჯიშო 13 ბ)	ჩვენ ერთი კვირაა, რაც აქ ვცხოვრობთ, თქვენ დიდი ხანია აქ ცხოვრობთ? დედაჩემი სკოლაში მუშაობს, დედაშენი სად მუშაობს ? რომელი კომპანია აშენებს ამ ქალაქში კორპუსებს? ახლა საინტერესო წიგნს ვკითხულობ. ბავშვები ინტერესით კითხულობს სხვადასხვა ინფორმაციას კოსმოსზე. თქვენ სოფელში პატარა სახლს აშენებთ. იმ სახლში ჩემი კარგი მეგობარი ცხოვრობს, აქ კი ჩემი ნათესავები ცხოვრობენ. ჩვენც ძალიან ბევრს ვმუშაობთ, ისინიც ბევრს მუშაობენ. სად არიან ჩვენი უცხოელი მეგობრები? აი, თქვენ უკვე საქართველოში ხართ .

სავარჯიშო 14 ბ)	დაბადება შენ სად დაიბადე? ჩვენ საქართველოში დავიბადეთ. თქვენ რომელ წელს დაიბადეთ? მე წინა საუკუნეში დავიბადე. ის დაიბადა ზამთარში. ისინი ძალიან საინტერესო ეპოქაში დაიბადნენ. გახდომა მე ორ წელიწადში პირველი კატეგორიის მძღოლი გავხდები. ისინი წარმატებული სპორტსმენები გახდნენ. თქვენ როდის გახდებით ტელეჟურნალისტი? ჩვენ კომპანიის წარმომადგენლები გავხდით ამ კონფერენციაზე. გილოცავ, შენ ჩვენი კომპანიის სახე გახდი. ის გახდა მუსიკალური კონკურსის გამარჯვებული.
სავარჯიშო 15 ა)	მინდა გინდა უნდა გვინდა გინდათ უნდათ
სავარჯიშო 15 ბ)	ჩვენ გვიყვარს წიგნების კითხვა. მათ უნდათ ახალი საავადმყოფოს აშენება. მას უყვარს ჟურნალისტის პროფესია. თქვენ გინდათ დიზაინერები გამოხვიდეთ. მას უყვარს ექიმის პროფესია, მაგრამ უნდა მასწავლებელი გახდეს. მე მიყვარს მზარეულის პროფესია, შენ რა პროფესია გიყვარს? მათ უნდათ ახალი პროფესიის დაუფლება. შენ გინდა კოსმონავტობა?
სავარჯიშო 16	კაროლინა იაპონიაში ცხოვრობს. კაროლინა 26 წლის წინ კიევში დაიბადა. ის ტოკიოში დიდ სამშენებლო კომპანიაში მუშაობს. მას ძალიან უყვარს არქიტექტორის პროფესია. კაროლინას ძალიან მოეწონა ინფორმაცია კოსმოსზე. მან დაიწყო ფიქრი კოსმონავტობაზე. კაროლინა საბოლოოდ არქიტექტორი გახდა. ბავშვობაში კაროლინას ძალიან უნდოდა ნაყინის გამოყიდველობა.
სავარჯიშო 17 ა)	მას კაროლინა ჰქვია. ახლა იაპონიაში ცხოვრობს, მაგრამ იაპონელი არ არის. 26 წლის წინ კიევში დაიბადა და, რა თქმა უნდა, უკრაინელია. იაპონიაში 2 წლის წინ ჩამოვიდა. ტოკიოში ცხოვრობს. აქ დიდ სამშენებლო კომპანიაში მუშაობს. ის პროფესიით არქიტექტორია.
სავარჯიშო 17 ბ)	რა ჰქვია მას? - - მას კაროლინა ჰქვია. ის ახლა სად ცხოვრობს? - ის ახლა იაპონიაში ცხოვრობს. ის სად დაიბადა? - ის კიევში დაიბადა. ის სად მუშაობს? - ის დიდ სამშენებლო კომპანიაში მუშაობს. ვინ არის ის პროფესიით? - ის არის არქიტექტორი.

წიგნი A1, თემა12 - საქართველო	
სავარჯიშოს №	სწორი პასუხები:
სავარჯიშო 5 ა)	1-ელი კომპასი დაამზადეს ჩინეთში 2000 წლის წინ. ევროპაში მას მე-12 საუკუნიდან იყენებენ.
სავარჯიშო 5 ბ)	პირველი - რომელი? 2000 - რამდენი? მეთორმეტე - მერამდენე?
სავარჯიშო 7	მრავალი რიცხვი - მრალავალრიცხოვანი მრავალი ერი - მრავალეროვანი მრავალი ფერი - მრავალფეროვანი ერთი ფერი - ერთფეროვანი მრავალი საუკუნე - მრავალსაუკუნოვანი მრავალი წელი - მრავალწლოვანი
სავარჯიშო 8 ბ)	ეს მეჩეთი მდებარეობს თბილისში. ეს ეკლესია მთაზე მდებარეობს. ქარიანი და მზიანი ადგილების ჰავა არის მშრალი. შემოდგომაზე ბუნება მრავალფეროვანია. საქართველო მდებარეობს კავკასიაში.
სავარჯიშო 10 ა)	სახელმწიფო საქართველო მდებარეობს აზიაში - საქართველოს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება რუსეთი + საქართველოს თურქეთი და სომხეთი ესაზღვრება სამხრეთ-აღმოსავლეთიდან - სამცხე- ჯავახეთი მდებარეოს საქართველოს სამხრეთით + ფშავი, ხევსურეთი, ხევი, მთიულეთი, თუშეთი საქართველოს კუთხეებია + შხარა, მყინვარწვერი, თეთნულდი და უშბა მდინარეებია - საქართველოში ერთფეროვანი ჰავაა - საქართველოში ბევრი ტურისტი ჩამოდის +
სავარჯიშო 10 ბ)	სახელმწიფო საქართველო მდებარეობს კავკასიაში. საქართველოს სამხრეთიდან ესაზღვრება სომხეთი და თურქეთი. შხარა, მყინვარწვერი, თეთნულდი და უშბა მწვერვალებია. საქართველოში მრავალფეროვანი ჰავაა.

სავარჯიშო 11	საქართველო მდებარეობს კავკასიაში. საქართველოს ესაზღვრება რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი. საქართველოს რუსეთი ესაზღვრება ჩრდილოეთიდან. საქართველოს სამხრეთიდან ესაზღვრება თურქეთი და სომხეთი. საქართველოს აზერბაიჯანი ესაზღვრება სამხრეთ- აღმოსავლეთიდან. აღმოსავლეთი საქართველოს რეგიონებია შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი და კახეთი. დასავლეთი საქართველოს რეგიონებია იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, აჭარა და აფხაზეთი. ალაზანი, მტკვარი, იორი, რიონი მდინარეებია. საქართველოში მრავალფეროვანი ჰავაა. თბილისი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში. თბილისი მრავალეროვანი ქალაქია. იმიტომ, რომ საქართველოს ბუნება ლამაზია, კულტურა და სამზარეულო კი -ძალიან საინტერესო.
სავარჯიშო 14 ა)	აჭარა მდებარეობს დასავლეთ საქართველოში. თბილისი აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს. მწვერვალი უშბა მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთით. ქვემო ქართლი მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთით.
სავარჯიშო 16 ბ)	თბილისში დღეს დაბალი ტემპერეტურა იქნება, 12 გრადუსი. ბათუმში არ წვიმს, კიდევ სამი დღე უნალექო ამინდი იქნება. აღმოსავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურა 39 გრადუსია. უფრო გრილი ამინდია ზღვის სანაპიროზე, იქ ჰაერის ტემპერატურა 34 გრადუსი იქნება.
სავარჯიშო 18 ა)	სამი დღის განმავლობაში საქართველოში მაღალი ტემპერატურა შენარჩუნდება. გარემოს ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, რომ დასავლეთ საქართველოში უნალექო ამინდებია მოსალოდნელი, ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა კი 34° - 39° გრადუსი იქნება. უნალექო ამინდებია მოსალოდნელი აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ჰაერის ტემპერატურა 32°-37° გრადუსი იქნება. რაც შეეხება დედაქალაქს - თბილისში ამავე პერიოდში დღის განმავლობაში ჰაერი 35 გრადუსამდე გათბება.
სავარჯიშო 18 ბ)	ბ) იმერეთისა და სამეგრელოს ტერიტორიაზე ა) სანაპირო რაიონები დ) 35 გრადუსამდე ბ) დასავლეთ საქართველოში